ზugdidis municipalitetis მeris angariSi

2026 wels gaweuli muSaobis Sesaxeb

შესავალი

- **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები**

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

- **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა**

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

- **მერის ანგარიში შედგენილია**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე.

- **ანგარიშის სტრუქტურა**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური გეგმა, უზრუნველყოფს მისი პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული, კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, ახალგაზრდული, სოციალური, ჯანდაცვის პროექტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებას. აღნიშნული სფეროები, პროექტები და პროგრამები, როგორც პრიორიტეტული მიმართულებები, განსაზღვრავენ ბიუჯეტის ხარჯვით პოლიტიკასაც. შესაბამისად, მერის ანგარიშის სტრუქტურა მოიცავს:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტსა და სახელმწიფო შესყიდვების მონაცემებს;
- ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებას;
- დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებას;
- განათლების პრიორიტეტის დაფინანსებას;
- კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებას;
- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო პროცესის ეფექტიანი ორგანიზება, კოორდინაცია და მეთოდური უზრუნველყოფა.

2026 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამსახურის საქმიანობა მიმართული იყო მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის უწყვეტობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, საბიუჯეტო რესურსების დაგეგმვისა და განაწილების, ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგისა და ანალიზის, ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებული პროცედურების სათანადო ორგანიზებისკენ.

ამასთან, სამსახურის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდებოდა მუნიციპალიტეტის საშუალო ვადიანი სამოქმედო პრიორიტეტების განსაზღვრას, პრიორიტეტის დოკუმენტზე მუშაობას, 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციას და მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტში საჭირო ცვლილებების განხორციელებას.

ბიუჯეტის დაგეგმვა, ფორმირება და შესრულების მართვა

მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს ბიუჯეტის დაგეგმვა, ფორმირება, დაზუსტება და შესრულების მიმდინარეობის კონტროლი.

2027 წლის ბიუჯეტის მომზადების საფუძველი გახდა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობა. აღნიშნული პროცესის ორგანიზების მიზნით, 2026 წლის 27 თებერვალს გამოიცა მერის ბრძანება №ბ24.242605818, რომლითაც განისაზღვრა პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისთვის საჭირო ინფორმაციის ჩამონათვალი, პასუხისმგებელი პირები, დავალებები და მათი შესრულების ვადები.

აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს მიეწოდათ შესაბამის მოთხოვნები 2027 წლისთვის პროგრამული და ფინანსური პარამეტრების, ასევე საპროექტო წინადადებების წარმოდგენის შესახებ.

სამსახური აგრძელებს მუშაობას 2027 წლის ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის ფორმირების მიმართულებით, სადაც გათვალისწინებული იქნება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი ვადები და მოთხოვნები.

2026 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, წლის დასაწყისში არსებული ფულადი ნაშთების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან და რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხების, აგრეთვე სხვა ფინანსური რესურსების დაზუსტების მიზნით, განხორციელდა 9 ცვლილება. ცვლილებების შედეგად გაიზარდა ბიუჯეტის მოცულობა და მიმდინარე წლის 30 სექტემბრის

მდგომარეობით ფინანსურმა პარამეტრმა შეადგინა 116,277.8 ათ. ლარი, მათ შორის საკუთარი სახსრებით 79,892.3 ათ. ლარი, ხოლო სახელწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები 36,385.5 ათ. ლარი.

სანგარიშო პერიოდში სამსახურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა 2026 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ შესაბამისი მასალების დამუშავება, შესრულების მაჩვენებლის ანალიზი და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება.

ბიუჯეტის შემოსულობები და შემოსავლების შესრულების მონიტორინგი

2026 წლის საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ განსაკუთრებული როლი დაეთმო ბიუჯეტის შემოსულობების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასებასა და შემოსავლების დინამიკის ანალიზს.

2026 წლის 9 თვის მონაცემებით ბიუჯეტის შემოსულობამ შეადგინა 71,151.5 ათ. ლარი, გეგმა პროგნოზი შეადგენდა 86,138.9 ათ. ლარს.

ბიუჯეტის შემოსავლების ფაქტობრივმა შესრულებამ 9 თვეში შეადგინა 70,653.3 ათ. ლარი, გეგმა-პროგნოზი 84,469.7 ათ. ლარი, შემოსავლებს დააკლდა 13,816.4 ათ. ლარი, რაც გამოწვეულია არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების ფაქტობრივი მაჩვენებლით, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთავრობის განკარგულებებით მისაღები თანხების ფაქტიური შესრულებაზე დამოკიდებულებამ.

საგადასახადო შემოსავლების სახით 9 თვეში ბიუჯეტში მობილიზებულია 43 640.4 ათ. ლარი, მათ შორის ქონების გადასახადი სახით - 4,145.8 ათ. ლარი, წლიური გეგმის - 39%-ს შეადგენს, ხოლო დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით 39,494.6 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის -74 %-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტების სახით 9 თვეში მიიღო **15724.4** ათ. ლარი.

კაპიტალური ტრანსფერების სრულად ათვისების დინამიკაზე გავლენას ახდენს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ვადები, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა, ცალკეულ შემთხვევებში ელექტრონული ტენდერების არშემდგარი შედეგები ან პროცედურების გახანგძლივება.

სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 5,533.8 ათ. ლარი, გეგმა-პროგნოზი იყო - 5,968.4 ათ. ლარი, შესრულება 92%. არაფინანსური აქტივების კლებიდან გათვალისწინებული 1,669,2 ათ. ლარიდან შემოსულია 498.2 ათ. ლარი, შესრულება 29%.

ბიუჯეტის გადასახდელების და საბიუჯეტო ასიგნებების მართვა

სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელების ფინანსური უზრუნველყოფა, საბიუჯეტო ასიგნებების მიზნობრივი განაწილება და შესაბამისი ხარჯების შესრულების მონიტორინგი.

2026 წლის გადასახდელების 9 თვის გეგმა პროგნოზი 91514.1 ათ. ლარია, ხოლო საკასო შესრულების მაჩვენებელმა კი - 56,043.0 ათ. ლარი შეადგინა.

გადასახდელების გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით შესრულების განსხვავება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსების ნაწილის აუთვისებლობასთან, რაც თავის მხრივ განპირობებულია ინფრასტრუქტურული პროექტების ვადებითა და შესრულებით.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დასაფინანსებლად საბიუჯეტო რესურსების გამოყოფა განხორციელდა უწყვეტად შესაბამისი საჭიროებების გათვალისწინებით.

საბიუჯეტო დაგეგმვის და ანალიზის განყოფილება

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის და ანალიზის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს ბიუჯეტის პროექტის, ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლების შემუშავებას, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშებაში მონაწილეობის მიღებას, ბიუჯეტის პროექტის თაობაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაციას. ანალიზის ჩატარებას, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას, შეიმუშავებს წინადადებებს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ოდენობის თაობაზე. ორგანიზებას უკეთებს წარმოდგენილი მასალების და პროგრამების მონაცემების საფუძველზე ამზადებს კვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშებს.

2026 წლის ბიუჯეტი, დამტკიცდა 2025 წლის 29 დეკემბრის №39 დადგენილებით. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, განყოფილებამ მოახდინა შემოსულობებისა და გადასახდელების განწერა კვარტალების მიხედვით, დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად ასიგნების ოდენობის შესახებ განყოფილებამ წერილობით აცნობა შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაცია - დაწესებულებებს (ააიპ-ები და შპს-ები). საბიუჯეტო დაწესებულებებმა ბიუჯეტის დამტკიცებიდან ორი კვირის ვადაში წარმოადგინეს ხარჯთაღრიცხვები, რომელიც გადამოწმებული იქნა საბიუჯეტო დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების უფროსი სპეციალისტების მიერ. იანვრის თვეში დაზუსტდა წლის ბოლოს დარჩენილი როგორც საკუთარი ბიუჯეტის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერების ნაშთი, რის შედეგადაც მომზადდა საჭირო მასალები ბიუჯეტში ცვლილების შესატანად და წარდგენილი იქნა საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით საკრებულოს 21 იანვრის №5 დადგენილებით შევიდა 1-ლი ცვლილება დამტკიცებულ ბიუჯეტში, რომელიც ეხებოდა 2025 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი და ადგილობრივი ბიუჯეტით დადგენილი, ვალდებულებათა ქვეშ მყოფი და გაუხარჯავი თავისუფალი ფულადი ნაშთების გათვალისწინებას მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში.

ცნობილია, რომ ბიუჯეტი „ცოცხალი“ ფინანსური ორგანიზმია. მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და ზოგიერთი გადაუდებელი ახალი საჭიროებების წარმოშობასთან დაკავშირებით საწყისი დამტკიცებული ბიუჯეტი განიცდის გარკვეულ კორექტივებს და საჭირო ხდება მასში ცვლილებების შეტანა. ამასთან დაკავშირებით პროცედურული საკითხების ორგანიზება და დოკუმენტის პროექტის მომზადება საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების უშუალო მოვალეობას წარმოადგენს. 9 თვეში საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად მომზადდა ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების თაობაზე საკრებულოს 10 ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი. უნდა ითქვას, რომ განხორციელებულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებისა და დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში არსებული თანხების ორგანიზაციულ და პროგრამულ კოდებს შორის რაციონალურ გადანაწილებას, ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების, სოციალური, ჯანდაცვის და სხვა საჭიროების განსახორციელებლად და ფინანსური რესურსების ოპერატიულად მობილიზებას. ყოველივე ეს პოზიტიურად აისახა მუნიციპალიტეტის ცხოვრების მთელ რიგ მნიშვნელოვან სფეროებში.

ბიუჯეტში შეტანილ ყოველ ცვლილებასთან დაკავშირებით მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობის ელექტრონული ვერსია, როგორც შემოსავლების, ასევე გადასახდელების ნაწილში, რომელსაც ადასტურებს სამსახურის ან საბიუჯეტო დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების უფროსი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტი (ცვლილების ცნობა) დგება ბიუჯეტში შეტანილი ყველა ცვლილების მიხედვით, როგორც მთავრობის განკარგულებით მიღებული სახსრების, ასევე საკუთარი შემოსავლების გადაჭარბებით მიღების შემთხვევაში, იქნება ეს ორგანიზაციულ კოდებს, ფუნქციონალურ მუხლებსა თუ კვარტლებს შორის ცვლილება.

განყოფილება საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობას იღებს მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშებაში, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საწარმოების საფინანსო მდგომარეობის შესწავლაში, ახდენს ბიუჯეტის, როგორც შემოსულობების, ასევე გადასახდელების განწერას კვარტალების მიხედვით. ამასთან ამზადებს ყოველკვარტალურ ბიუჯეტის შესრულების (გეგმის ნაწილში) მიმოხილვის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საშემოსავლო ნაწილთან ერთად წარედგინება საკრებულოს განსახილველად.

სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ ბრძანების გამოცემის შემდეგ განყოფილების შესაბამის მოხელის (მოხელეების) მიერ ზუსტდება გეგმა ამა თუ იმ დარგში, დგება ხარჯთა ნუსხების ცვლილების ცნობის ელექტრონული ვერსია. განვლილ პერიოდში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 15,6 ათასი ლარი, რომელიც დაზუსტებულია მიზნობრიობის მიხედვით ბიუჯეტის სხვადასხვა დარგებში.

ბიუჯეტის ყოველი ვერსია დგება, როგორც Excel-ის, Word-ის, ასევე e-budget-ის მართვის ელექტრონული სისტემით. Word-ის ფორმატით შედგენილი ბიუჯეტი

გადაეცემა საჯრებულოს განსახილველად, დასამტკიცებლად და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოსაქვეყნებლად.

განყოფილებას ყოველდღიურად უხდება საქმის წარმოება ელექტრონული პროგრამით შემოსული წერილების, დავალებების შესასრულებლად, ასევე მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებისა და ფუნქციების განხორციელების თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცედურული საკითხია მთავარი ფინანსური დოკუმენტის - ბიუჯეტის შედგენა-ფორმირება. ამ მიმართულებით, საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, 2027 წლის ბიუჯეტზე მუშაობა დაიწყო მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტის და საშუალო ვადიანი გეგმის შედგენის ღონისძიებების განხორციელებით. კონკრეტულად, ამ საკითხზე 2026 წლის 27 თებერვალს გამოიცა მერის ბრძანება (№ბ24. 242605818), რომლითაც განისაზღვრა პრიორიტეტის შედგენისათვის საჭირო ინფორმაციების ნუსხა, განაწილდა დავალებები და შესრულების ვადები.

ზემოაღნიშნული ბრძანებით გაწერილი ღონისძიებების მიხედვით, მარტის თვიდან მერიის ყველა სამსახურს, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, - როგორც მხარჯავ სუბიექტებს მიეწოდათ საკითხთა ჩამონათვალი, რომელიც ითვალისწინებდა 2027 წლისათვის პროგრამულად და ფინანსური პარამეტრებით საპროექტო წინადადებათა წარმოდგენას. პროექტის მოსამზადებლად საბიუჯეტო ორგანიზაციებს და მხარჯავ სუბიექტებს დაეგზავნათ საბიუჯეტო განაცხადები.

მიმდინარე ეტაპზე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებიდან და მერიის სამსახურებიდან მიღებულია პირველადი მონაცემები, რომლის მიხედვით საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად ივლისის თვეში ფინანსთა სამინისტროდან დაშვებული ძირითადი დასაგეგმი პარამეტრების საფუძველზე მერს წარედგინა საბიუჯეტო წლის დასაგეგმი პარამეტრების პირველადი ვერსია, რომელიც მოიცავს საგადასახადო შემოსავლების კონკრეტულ მაჩვენებლებს, რაც წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირების წყაროს დაახლოებით 80%-ის ოდენობით. ამასთან, მომავალი წლის ბიუჯეტში ოქტომბრის თვის მონაცემებით მოსალოდნელია თვითმმართველობის ბიუჯეტის ფორმირების დროს შემოსავლის წყაროს ცვლილება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 10.08.2026 წლის №ბ24.24262228 ბრძანების ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის მომზადების შესახებ“ შესაბამისად, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მიმდინარე წლის 14 აგვისტოს განიხილა 2027-2030 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი პირველადი ბიუჯეტის პროექტები, საბიუჯეტო მოთხოვნები და შესაბამისი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებისათვის საჭირო შემოსავლები. სამუშაო ჯგუფის მიერ

წარმოდგენილი მასალების განხილვისა და დამუშავების შედეგად, ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის საპროგნოზო ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, განისაზღვრა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის ასიგნებების და საშტატო რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები, რომელიც გაეგზავნა მერიის სტრუქტურულ ერთეულებს და საბიუჯეტო ორგანიზაციებს. 31 აგვისტომდე მიღებული იქნა დაზუსტებული მონაცემები. მიმდინარე ეტაპზე განყოფილების მუშაკების მიერ მიმდინარეოს წარმოდეგენილი მასალების ანალიზი და მუშაობა ხარჯების ოპტიმიზაციის მიმართულებით.

ფინანსური ვალდებულბების მართვისა და ანგარიშგების განყოფილება

ხაზინის ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, სახაზინო მომსახურების უზრუნველყოფა სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. განვლილ ზემოთ აღნიშნულ პერიოდში სამსახურმა გასწია მუნიციპალიტეტის მხარჯავი სუბიექტების შეუფერხებელი მომსახურება საბიუჯეტო თანხების ტრანზაქციების განხორციელების კუთხით. სახაზინო დანაყოფი ემსახურება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს (მერია, საკრებულო), საბიუჯეტო პროგრამების განმახორციელებელ მერიის სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს.

სახაზინო მომსახურება მოიცავდა ინფრასტრუქტურული პროექტების, სოციალური და ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის სფეროში განხორციელებული პროგრამების (ქვეპროგრამების) და მმართველობის კუთხით გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საანგარიშსწორებო ოპერაციებს საშუმაოების შემსრულებელ და საქონლისა და მომსახურების მომწოდებელ მეწარმე სუბიექტებთან.

სახაზინო მომსახურების ოპერაციები წარმოებდა დროულად და შეუფერხებლად, მერიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან წარმოდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილება

საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილება ხელმძღვანელობს და თავის საქმიანობას წარმართავს სახელმწიფო ხაზინის დებულებით, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ესბა-ს) გამოყენებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებებით, შესაბამისი ინსტრუქციებით, საბიუჯეტო ურთიერთობებისა და სხვა საკანონმდებლო აქტებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით დამტკიცებული სამსახურის საშუმაო გეგმის მიხედვით და სამსახურის უფროსის მიერ გაცემული დირექტივებით.

განყოფილების გაწეული მუშაობა მოიცავს შემდეგს:

ელექტრონული პროგრამა- MSDA-ს მეშვეობით განყოფილებაში დღის განმავლობაში შემოსული წერილების გადანაწილება თითოეულ მუშაკს თავიანთი სამუშაო მიმართულების მიხედვით. განყოფილების უფროსი ანაწილებს დავალებებს მუშაკებს შორის და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;

განყოფილების დანიშნულებაა ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგების შედგენა, სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვა, ორგანიზება და წარმართვა. კერძოდ, განყოფილება ახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს სინთეზურად და ანალიზურად პირველადი დოკუმენტების მონაცემების საფუძველზე;

მუნიციპალიტეტის განკარგვაში არსებული თვითმმართველობის ქონების ასახვა ხორციელდება ქონების მართვის ელექტრონულ (eproperty.ge) პროგრამაში ყოველდღიურად. 2026 წლის 1 იანვრიდან დღეის მდგომარეობით ქონების მართვის ელექტრონულ პროგრამაში სულ დარეგისტრირდა 664 დასახელების მატერიალური ფასეულობა (ძირითადი აქტივი - უძრავი, მოძრავი და მცირეფასიანი აქტივი) რომლის ღირებულებამ შეადგინა 24 902 000 ლარი;

სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ელექტრონული სისტემის (etreasury.ge) მეშვეობით განყოფილება ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს შრომის ანაზღაურების დარიცხვას და ამასთან დაკავშირებულ შემდგომ მომსახურებას. კერძოდ, შრომის ანაზღაურების სახით საკრებულოს თანამშრომლებზე მიმდინარე წლის 9 თვეში გაცემულია 1 375 912 ლარი, ხოლო მერიის თანამშრომლებზე - 6 986 668 ლარი;

განყოფილება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარადგენს დეკლარაციებს შემოსავლების სამსახურსა და სტატისტიკის ეროვნულ სააგენტოში.

მნიშვნელოვანი ღონისძიებებია განხორციელებული ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების კუთხით, ელექტრონული ინვენტარიზაციის განხორციელების პროცესში განყოფილება აქტიურად არის ჩართული. ,,საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარებისა და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის #364 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის და ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების, მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის კომისიის შექმნის შესახებ“ მერის ბრძანების საფუძველზე ინვენტარიზაციის ფარგლებში განყოფილების ჩართულობით განხორციელდა მატერიალური ფასეულობის აღწერა, აღწერილი მონაცემების შედარება სააღრიცხვო მონაცემებთან, ინვენტარიზაციის შუაალედური უწყისის გაფორმება-შედგენა. დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს ინვენტარიზაციის პროცესი.

განყოფილება მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს მუშაობას და ჯეროვან ყურადღებას დაუთმობს მასზე ზემდგომი ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით, მერიისა და შესაბამისი სამსახურის დებულებებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას.

საქმიანობის ძირითადი შედეგები და შემდგომი მიმართულებები

2026 წლის საანგარიშო პერიოდში საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საქმიანობა ორიენტირებული იყო მუნიციპალიტეტის ფინანსური რესურსების დაგეგმვისა და მართვის პროცესის გაუმჯობესებაზე, საბიუჯეტო პროცედურების კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე და ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის მუდმივ მონიტორინგზე.

სამსახურის მიერ განხორციელებული სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდებოდა როგორც მიმდინარე ბიუჯეტის შესრულების პროცესის მართვას, ისე მომდევნო საბიუჯეტო წლის დაგეგმვისთვის საჭირო ღონისძიებების დროულ განხორციელებას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს, ფინანსური რესურსების საჭიროებების იდენტიფიცირებას, საბიუჯეტო პროგრამების ფინანსური პარამეტრების დაზუსტებას და სტრუქტურული ერთეულებიდან შესაბამისი ინფორმაციის კონსოლიდაციას.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ეტაპზე სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩება ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგის გაგრძელება, საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი და მიზნობრივი გამოყენების ხელშეწყობა, 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ფორმირება და საბიუჯეტო პროცესის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარმართვა.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ურბანული განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითადი პრიორიტეტებია საავტომობილო გზების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება, წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია, დასასვენებელი პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობა, სანიაღვრე სისტემების მშენებლობა, სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ა.შ.

2026 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით გამოიყო 38 381.3 ათასი ლარი. მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 33 495.4 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით 4 885,9 ათასი ლარი. 2026 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრებიდან დახარჯულია 18 877.6 ათასი ლარი.

სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელდა 85 ინფრასტრუქტურული პროექტი, მიმდინარეობს 51 პროექტი და წლის ბოლომდე დამატებით განხორციელდება 53 პროექტი, რომლებზეც მიმდინარეობს შესყიდვის პროცედურები.

<u>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება</u>

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის გამოთვილია 22 958.2 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამით 2026 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება 35 კმ-მდე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია

წყალმომარაგების სისტემების მშენებლობისთვის გამოყოფილია 1 186.9 ათასი ლარი. წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია განხორციელების შედეგად დაახლოებით 180 კომლისთვის გაუმჯობესდა წყლის მიწოდების სერვისი.

სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია

აღნიშნული მიმართულებით გამოყოფილია 386.9 ათასი ლარი. სანიაღვრე სისტემა მოწესრიგდება 830 გრძ/მეტრზე.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილია 1 571.9 ათასი ლარი, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 444.7 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამით წლის ბოლომდე განხორციელდება 68 პროექტი.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებისთვის გამოყოფილია 835.3 ათასი ლარი;

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა

მრავალბინიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობისთვის 2026 წლის ბიუჯეტით გამოყოფილია 600.2 ათასი ლარი. ხორციელდება ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქუჩა N8-ში და ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, დავით გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე (დევნილთა დასახლება) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოფილია 3 739.1 ათასი ლარი, აქედან 3 636.4 ათას ლარს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები. სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში აშენდა 2 საავტომობილო ხიდი, 1 საფეხმავლო ხიდი და 7 ხიდბოგირი, გადაიხურა 3 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და 1 ადმინისტრაციული შენობა, ხორციელდება 1454 გრძ/მეტრი სანიაღვრე არხის მოწყობა/რეაბილიტაცია და 982 გრძ/მეტრი ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა.

მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობა

აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია 135.9 ათასი ლარი. ხორციელდება შემდეგი პროექტები:

- ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ცენტრში ცხაურის მოწყობის სამუშაოები;
- ქალაქ ზუგდიდში, ბადრი ბერანძის ქ. N11-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში საჩრდილობლის მოწყობის სამუშაოები;
- რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოხუმის ქუჩის V ჩიხში მილხიდის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდში, ბორჯომის ქუჩის მე-2 შესახვევთან მილხიდის მოწყობის სამუშაოები;
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საფარჯიკიოს, ბოჯოთის და საგახარიოს უბანში გარე განათების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ცენტრში სატრენაჟორო სივრცის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში, ყოფილი მეურნეობის დასახლებაში არსებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა დელეგირებული თანხებით

აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 3 400 000 ლარი. განხორციელდა 12 საჯარო სკოლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები, 2 საჯარო სკოლაში მოეწყო გათბობის სისტემა. ამჟამად მიმდინარეობს 3 სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაციის, 5 საჯარო სკოლაში გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები. წლის ბოლომდე განხორციელდება კიდევ 10 სკოლაში მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია

სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 755.9 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილების სპეციალისტების მიერ, მომზადდა 199 სატენდერო და გამარტივებული წესით შესყიდვის მოთხოვნის განაცხადი. მათ შორის 36 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, ხოლო 163 სამუშაოების და სხვადასხვა სახის მომსახურების შესყიდვაზე.

2026 წელს გაფორმდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის 2 მიღება-ჩაბარების აქტი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მომართვების საფუძველზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილების სპეციალისტების მიერ ვიზუალური დათვალიერების შედეგად შესწავლილ იქნა შესაძლო მეწყერსაშიშ ზონებში მდებარე 34 შენობა-ნაგებობა. დათვალიერების აქტები გადაეგზავნა შესაბამის სამსახურს.

2026 წელს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების დათვალიერების საფუძველზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილების სპეციალისტების მიერ, შედგენილ იქნა 42 დეფექტური აქტი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე გამოყოფილია 831.0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში, არქიტექტურის განყოფილებამ, მშენებლობის ნებართვის, მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების, არქიტექტურულ-კონსტრუქციული პროექტის შეთანხმების, მშენებლობის ვადის გაგრძელების და დემონტაჟის ნებართვის მოთხოვნით შემოსულ 353 კორესპონდენციებზე მოახდინა რეაგირება, მათ შორის:

- მშენებლობის ნებართვები გაიცა 105 ობიექტზე;
- დემონტაჟის ნებართვები გაიცა 33 ობიექტზე;
- მშენებლობის ვადა გაგრძელდა 33 ობიექტზე;
- პროექტის შეთანხმება გაიცა 34 ობიექტზე;
- მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცდა 148 ობიექტზე;
- მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელმა შეადგინა **80 877.21 ლარი.**

საანგარიშო პერიოდში, უნებართვოთ აშენებული ობიექტების მართვის და ლეგალიზების განყოფილებამ რეაგირება მოახდინა შემოსულ კორესპონდენციებზე, მათ შორის:

- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის (შენობა-ნაგებობა) დაკანონება/ლეგალიზება - 62;
- ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის დაყოფა/გაერთიანება - 564;
- შენობა-ნაგებობის კლასის დადგენა, შენობა-ნაგებობის 2023 წლის 1 დეკემბრამდე აშენების ფაქტის დადასტურება - 420;
- შენობა-ნაგებობის დაყოფა/გაერთიანება - 24;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ განსაცორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ - სულ 9 დასრულებული და მიმდინარე პროექტი; საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ - სულ 5 დასრულებული და მიმდინარე პროექტი.

შესყიდვების სამსახური

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების თანახმად, ხორციელდებოდა ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს

შესყიდვაზე გამოცხადდა 195 ელექტრონული ტენდერი, რისთვისაც მომზადდა შესაბამისი სატენდერო მასალები. სატენდერო განცხადებები და დოკუმენტაცია ქვეყნდებოდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარიმართა ორი ძირითადი მიმართულებით, რასაც უზრუნველყოფდა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები:

1) შესყიდვების სამსახურის საქონლისა და მომსახურების შესყიდვის განყოფილება;
2) შესყიდვების სამსახურის სამშენებლო პროექტებისა და სამუშაოების შესყიდვის განყოფილება.

პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, განყოფილებები უზრუნველყოფდა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ ხელწერილების, სატენდერო კომისიის ოქმებისა და სხვა საჭირო დოკუმენტების შემუშავებას, რითაც ხორციელდებოდა სატენდერო პროცედურების ძირითადი ნაწილის მართვა. ასევე სამსახურის დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშების მომზადება და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დროული წარდგენა.

ელექტრონული ტენდერის, გამარტივებული შესყიდვის ან კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე დადებული ყველა ხელშეკრულება, აგრეთვე ხელშეკრულების ცვლილების (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის) ამსახველი დოკუმენტაცია, გაფორმების თარიღიდან 10 კალენდარული დღის ვადაში რეგისტრირდებოდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის ელექტრონული სისტემის შესაბამის მოდულში. ამასთანავე, სისტემაში ოპერატიულად იტვირთებოდა ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ: მიღება-ჩაბარების აქტები და ინსპექტირების ჯგუფის დასკვნები. სისტემის მეშვეობით ასევე აისახებოდა ინფორმაცია საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ, რის საფუძველზეც ხელშეკრულებებს ენიჭებოდა შესაბამისი სტატუსი: „შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“.

კონსოლიდირებული ტენდერებით სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით, ctd.spa.ge სისტემის საშუალებით ივსებოდა ანგარიშები და გეგმები; კერძოდ, სისტემაში აისახებოდა რაოდენობრივი მონაცემები ფიჭური სატელეფონო მომსახურების, ნავთობპროდუქტების (საწვავის), საბეჭდი ქაღალდის, უწყვეტი კვების წყაროების (UPS), პრინტერების, კომპიუტერების, მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების საბურავების, სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორების, ძრავის ზეთებისა და ზეთის ფილტრების შესახებ, რომელთა შესყიდვასაც გეგმავდა მუნიციპალიტეტი 2025-2026 წლების განმავლობაში.

1. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მონაცემები და მაჩვენებლები

საანგარიშო პერიოდში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 35 152 073,59 ლარი. ბიუჯეტის რაციონალური ხარჯვისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული ასიგნებები შესყიდვის საშუალებების მიხედვით პროპორციულად გადანაწილდა. კერძოდ, შესყიდვების უდიდესი ნაწილი _ 80.99%, რაც ფინანსურ გამოსახულებაში შეადგენს 28 469 930,33 ლარს, მიემართა ელექტრონულ

ტენდერებზე. ჯანსაღი კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფით, კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელდა 3 909 717,34 ლარის ღირებულების შესყიდვა (მთლიანი მოცულობის 11.12%),ხოლო კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, გადაუდებელი აუცილებლობისა თუ ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის წესით აითვისა 2 535 569,92 ლარი, რაც საერთო მაჩვენებლის 7.21%-ს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში სულ მომზადდა და გაფორმდა 435 ხელშეკრულება, რომლებიც შესყიდვის ობიექტების მიხედვით კლასიფიცირდა შემდეგნაირად: მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით გაფორმდა 122 ხელშეკრულება, მატერიალური აქტივების, ტექნიკისა და ინვენტარის შესაძენად _ 114 ხელშეკრულება, ხოლო სამუშაოს შესრულებისთვის 199 ხელშეკრულება.

2. ელექტრონული ტენდერების ანალიზი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სულ გამოცხადდა 195 ელექტრონული ტენდერი, რომელთა ჯამურმა სავარაუდო ღირებულებამ 33 251 915,36 ლარი შეადგინა. წარმატებით დასრულებული და „ხელშეკრულება დადებულია“ სტატუსის მქონე ტენდერების საფუძველზე გაფორმდა 28 469 930,33 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები. სატენდერო ვაჭრობის შედეგად, თავდაპირველ სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებით მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 4 781 985,03 ლარი, რაც საშუალო ეკონომიურ მაჩვენებელში პროცენტულად 14.38%-ს უტოლდება. ელექტრონული ტენდერებით განხორციელებული შესყიდვების წილი მთლიან შესყიდვებში 80.99%-ით განისაზღვრა. აღნიშნული ტენდერები, როგორც რაოდენობრივი, ისე ფინანსური კუთხით, განსხვავებული პროპორციით გადანაწილდა შესყიდვის ობიექტების ტიპებზე, რაც ასახავს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს ინფრასტრუქტურული პროექტების, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისა და საქონლის მიწოდების მიმართულებით. ფინანსური თვალსაზრისით, საქონლის შესყიდვაზე გაფორმდა 925 750.62 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, სხვადასხვა სერვისების შესყიდვას 2 419 246.4 ლარი, ხოლო სამუშაოების შესყიდვას მოხმარდა 25 124 933.31 ლარი.

3. კონსოლიდირებული შესყიდვების ანალიზი

მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონსოლიდირებულ ტენდერებს, რაც უზრუნველყოფს მასშტაბურ ეკონომიასა და პროცესის მაღალ სტანდარტიზაციას. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს ცენტრალიზებულ შესყიდვებს კრიტიკულად მნიშვნელოვან ობიექტებზე, როგორიცაა ფიჭური სატელეფონო მომსახურება, ნავთობპროდუქტები (საწვავი), საბეჭდი ქაღალდი, უწყვეტი კვების წყაროები (UPS), პრინტერები, კომპიუტერები, მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების საბურავები, სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორები, ძრავის ზეთები და ზეთის ფილტრები. მუნიციპალიტეტმა შესყიდვების წლიურ გეგმაში მიუთითა სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე, რის შედეგადაც იყისრა ვალდებულება, დადოს ხელშეკრულება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით გამოვლენილ მიმწოდებელთან. საანგარიშო პერიოდში კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში გაფორმდა 49 ხელშეკრულება, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 3 909 717,34 ლარი შეადგინა, რაც მთლიანი განხორციელებული შესყიდვების 11.12%-ს წარმოადგენს.

4. გამარტივებული შესყიდვების ანალიზი და სამართლებრივი საფუძვლები

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია გამარტივებული შესყიდვის მეთოდს იყენებდა მხოლოდ კანონმდებლობით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში. აღნიშნული მეთოდით გაფორმებული ხელშეკრულებების ფინანსური წილი მთლიან შესყიდვებში შეადგენს 7.21%-ს. გამარტივებული შესყიდვის წესით სულ გაფორმდა 184 ხელშეკრულება, რომელთა საერთო ღირებულებამ 2 535 569,92 ლარი შეადგინა. აღნიშნული შესყიდვები, ხელშეკრულებების ღირებულებების მიხედვით, განსხვავებული პროპორციით გადანაწილდა შესყიდვის ობიექტების ტიპებზე. კერძოდ, ფინანსური კუთხით, მატერიალური აქტივებისა და საქონლის შეძენაზე მიმართულ იქნა 70 870,74 ლარი (რაც გამარტივებული შესყიდვების ბიუჯეტის 2.8%-ია), 1 297 117,1 ლარი (51.16%) მომსახურების შესყიდვაზე, ხოლო 1 167 582.08 ლარი (46.05%) მოხმარდა სხვადასხვა სახის სამუშაოების შესყიდვას.

5. გამარტივებული შესყიდვების ადმინისტრირება და სააგენტოსთან კოორდინაცია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია გამარტივებული შესყიდვის პროცედურებს ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

აღნიშნული წესი ავალდებულებს შემსყიდველ ორგანიზაციას, სააგენტოსთან შეათანხმოს ისეთი შესყიდვები, რომლებიც განპირობებულია გადაუდებელი აუცილებლობით, ექსკლუზიური უფლებამოსილებით ან სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში ჩატარების საჭიროებით.

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარდგენილი მომართვებისა და მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკური მაჩვენებლები ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

შესყიდვის საფუძველი	რაოდენობა	თანხმობა	უარყოფა	განუხილველი	გახმობილი
გადაუდებელი აუცილებლობა	3	3	0	0	0
ექსკლუზივი	11	9	0	0	2

6. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების ანალიზი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

სახელმწიფო შესყიდვების პროცესის სამართლიანობისა და კანონიერების უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტი ხელმძღვანელობს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის №12 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესით“. აღნიშნული ნორმატიული აქტი უზრუნველყოფს

პრეტენდენტთა უფლებების დაცვას და მათ შესაძლებლობას, გაასაჩივრონ შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებები დავების განხილვის საბჭოში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ სატენდერო პროცედურებთან დაკავშირებით დაფიქსირდა გასაჩივრების 43 შემთხვევა. დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკა შემდეგნაირია:

საჩივარი დაკმაყოფილდა: 18 შემთხვევა;

საჩივარი არ დაკმაყოფილდა: 9 შემთხვევა;

საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 14 შემთხვევა;

საჩივარი დაუშვებლად მიჩნეული 2 შემთხვევა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ დაფიქსირებულა.

დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსება

ა(ა)იპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრი”

2026 წლის 9 თვეში ა(ა)ი.პ. ,, ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ მიერ სამუშაოები სრულდებოდა დამტკიცებული გეგმების შესაბამისად:

განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩებისა და დასახლებების გეგმიური დასუფთავება; . გაუმჯობესდა ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ორგანიზება; .განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ცენტრალურ ქუჩებს, სკვერებსა და ხალხმრავალ ადგილებს; გაიზარდა კონტროლი სამუშაო პროცესის ხარისხზე და დროულობაზე. .გაძლიერდა თანამშრომელთა პასუხისმგებლობა და გუნდური მუშაობა.

ცენტრი აქტიურად მუშაობს ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შენარჩუნების მიმართულებით,დასუფთავების ღონისძიებები ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებას და მოქალაქეების ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.

მიმდინარეობს ქაღალდისა და მუყაოს ნარჩენების სეპარირება - რეციკლირების პროცესი, რის შედეგადაც ნაკლები ზიანი ადგება გარემოს. სეპარირების პროცესები მუნიციპალიტეტში მზარდი მაჩვენებლებით ხასიათდება და მეორადი

ნედლეულის რეალიზაციის შედეგად იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები.

2026 წლის 9 თვეში მყარი ნარჩენების გატანის სერვისი შეუფერხებლად მიეწოდებოდა ქალაქისა და 48 სასოფლო - ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობას და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულ კომერციულ, ინსტიტუციურ და ინდუსტრიულ ობიექტებს (ე.წ. Cii - ს ობიექტებს).

ნარჩენების შეგროვება - ტრანსპორტირება ძირითადად ხდებოდა 3 მეთოდის გამოყენებით, კერძოდ: 1. კოლექტიური (კონტეინერული) შეგროვების მეთოდით. 2. კარდაკარ შემოვლის მეთოდით. 3. დამგველი მანქანით და ხელით დაგვისა და აკრეფის წესით. ამ პროცესში ჩართული იყო 47 ერთეული სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალება და ტექნიკა, 2482 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი და 338 სხვადასხვა სპეციალობის მუშახელი. 2026 წლის 9 თვეში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებულია და ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებულია 25205.67 ტონა მყარი მუნიციპალური ნარჩენი, ხოლო ცალკე 271.9 ტონა ქაღალდი და მუყაო (დაახლოებით 15.2 მ3) დაექვემდებარა სეპარირებულ შეგროვებას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქსა და სასოფლო-ტერიტორიულ ერთეულებში ყოველდღიურად საშუალოდ დაგვა - აკრეფის წესით სუფთავდებოდა 45,7 ჰექტარი ფართობი. მათ შორის ქალაქის ტერიტორიაზე 31,1 ჰექტარი, სასოფლო - ტერიტორიულ ერთეულებში კი 14,6 ჰექტარი. ხელის აკრეფის წესით სუფთავდებოდა ქალაქისა და სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების ცენტრები, მთავარი გზების გზისპირები და ტროტუარები, მასობრივი თავშეყრის ადგილები, ბაღები და სკვერები. სისტემატიურად ზღვის ამონაყარისაგან იწმინდებოდა 3-6 ჰექტარი ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლი;

სამსახურის მიერ ყოველდღიურად სუფთავდებოდა ქალაქის მრავალსართულიანი სახლების ეზოები, ქალაქის ცენტრალური ხეივანი, დადიანების სასახლის ბაღი, ფრანგული ბაღი, ცენტრალური სუპერმარკეტის შიდა და გარე პერიმეტრები, ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან მდებარე სკვერი და მისი მიმდებარე ტერიტორია, სკეიტ - პარკი „ ვეტერანთა ხეივანი, გულუას სახელობის სკვერი, ქალაქის რკინიგზის სადგური და მისი მიმდებარე ტერიტორიები , ზუგდიდის ცენტრალური ავტოსადგური და მისი მიმდებარე ტერიტორიები და „ი ქ კ“ -ის დასახლება .

ყოველდღიურად ხდებოდა ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული როგორც ქალაქის ისე სასოფლო ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე მდებარე 80- ზე მეტი სასაფლაოდან;

2026 წლის 1 ოქტომბრისთვის ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული იყო 1267 ნაგავ -შემკრები კონტეინერი, მათ შორის 1,1 მ3 მოცულობის 831 ერთეული, რომელიც ფარავდა ქალაქის მოსახლეობისათვის მისაწოდებელი მომსახურეობის 46 % - ს. ქალაქის მოსახლეობის დანარჩენ რაოდენობას (54 %) მომსახურეობა მიეწოდებოდა კარდაკარ შემოვლის (ე. წ. ,,ზარის პრინციპის) მეთოდით; ნარჩენების გატანის სერვისით უზრუნველყოფილი იყო ქალაქის მოსახლეობის 100 %.

100 % - იანი მომსახურეობით იყო უზრუნველყოფილი ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე კომერციული, ინსტიტუციური და ინდუსტრიული ობიექტები .

მეეზოვე - დამგველების მიერ ყოველდღიურად სუფთავდებოდა ქალაქის მრავალსართულიანი სახლების 15 ეზო.

2026 წლის 1 ოქტომბრისათვის მუნიციპალიტეტის 48 სასოფლო - ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე განთავსებული იყო 1215 ერთეული ნაგავ - შემკრები კონტეინერი, მათ შორის 1,1 მ3 მოცულობის 871 ერთეული, რომელიც ფარავდა სოფლის მოსახლეობისათვის მომსახურეობის მიწოდების 26 % - ს, მოსახლეობის 64% - ს მომსახურეობა მიეწოდებოდა კარდაკარ შემოვლით. მომსახურეობით უზრუნველყოფილი იყო სოფლის მოსახლეობის 90 %.

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცენტრის მატერიალურ - ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებას და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას . 2023 წელს სამსახურს, ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის პროგრამის ფარგლებში, გადმოეცა 16 ერთეული სხვადასხვა სახის ტექნიკა, სატრანსპორტო , მოსარწყავი და დამგველი საშუალებები, 2482 ერთეული ნაგავ - შემკრები კონტეინერი. ცენტრზე აღჭურვილობის გადმოცემამ მკვეთრად გააუმჯობესა მოსახლეობის მომსახურეობის დონე და ხარისხი როგორც ქალაქში, ასევე სასოფლო - ტერიტორიულ ერთეულებში და მოგვცა შესაძლებლობა დაგვეწყო მყარი ნარჩენების სეპარირება - რეციკლირების პროცესები.

2026 წლის 9 თვეში ა.(ა)ი.პ. ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრ“-ის მიერ გაწეულმა საოპერაციო დანახარჯებმა საკასო შესრულების მიხედვით შეადგინა სულ 5929,6 ათასი ლარი. 2026 წლის 9 თვეში ცენტრში განხორციელდა 90 სახელმწიფო შესყიდვა,თანხით **1 552,0** ლარის.

დასუფთავების მოსაკრებლის გეგმა მიმდინარე წლის 9 თვეში 71.9 % შესრულდა . გაწეული მომსახურეობით მოსაკრებლის სახით ადგილობრივ ბიუჯეტში 2026 წლის 9 თვეში მიღებული იქნა 646.7 ათასი ლარი, 61.8 ათასი ლარით მეტი წინა წელთან შედარებით.

ცენტრს გააჩნია სრულყოფილი მატერიალურ - ტექნიკური ბა : კერძოდ 2026 წლის
9 თვეში ცენტრს ერიცხება 47 ერთეული სხვადასხვა სახის ტექნიკა.

2026 წლის 9 თვის შედეგები ცხადყოფს რომ ა.(ა).ი.პ. „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ მიერ განხორციელებული მომსახურებები წარმატებით შესრულდა და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებასა და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის გაუმჯობესებას .

ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“

ა.(ა).ი.პ. ,,ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის“ ადმინისტრაცია ახდენს შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციას, უზრუნველყოფს გასაგზავნი კორესპონდენციის ადრესატებისთვის მათთვის სასურველი ფორმით მიწოდებას (ელ.ფოსტა, ფოსტა, სატელეფონო ზარით დაუწყება), სამართლებრივი დოკუმენტების, ხელშეკრულებების, შეთანხმებების, მემორანდუმების მომზადებასა და რეგისტრაციას, შრომის უსაფრთხოების სისტემების მართვას, პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და

თავისუფლებების, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების, დაცვას.

ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში აქტიურად ხორციელდება პროექტები ეკო-განათლების მიმართულებით, სადაც გამოიყენება გარემოსდაცვითი განათლების საერთაშორისო პროგრამა საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის. საგანმანათლებლო მიმართულებთ გვაქვს სხვადასხვა სახის პროექტები:

- ✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე პროექტი „გამხმარი ხეების ახალი სიცოცხლე“ აქტიურად გრძელდება. პროექტის ფარგლებში ბაღის სხვადასხვა ლოკაციაზე 7 ხის ქანდაკებაა განთავსებული.
- ✓ 20-21 ნოემბერს ბოტანიკურმა ბაღმა მონაწილეობა მიიღო ბათუმის ბულვარის მიერ ორგანიზებულ საერთშორისო კონფერენციაში.
- ✓ ბოტანიკურ ბაღში საახალწლო ღონისძიება ჩატარდა. ღონისძიების ფარგლებში ბაღის ეზოში მოეწყო საშობაო გამოფენა-გაყიდვა, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის და სახელოვნებო სკოლების გაერთიანების აღსაზრდელების მონაწილეოთ ჩატარდა საახალწლო კონცერტი. ღონისძიებას 800-მდე სტუმარი ჰყავდა.
- ✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი მუნიციპალიტეტში (და არა მარტო) მოქმედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს სთავაზობს, ახალ საგანმანათლებლო პროექტს „ბუნების მკვლევარი (აღმოაჩინე, ისწავლე, დაიცავი)“. პროექტის ფარგლებში ბოტანიკურ ბაღს 6 საჯარო სკოლის 120-მდე მოსწავლე ეწვია.
- ✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის გუნდი სამუშაო ვიზიტით საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღს სტუმრობდა. ვიზიტის ფარგლებში, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული მცენარეების აღსადგენად, კოლეგებს საჩუქრად სხვადასხვა სახეობის ნერგები უსახსოვრეს.
- ✓ ბოტანიკური ბაღის ინიციატივით ჩატარდა ფოტო კონკურსი „აღმოაჩინე გაზაფხული შენი ობიექტივით“, რომლის გამარჯვებულცსა გადაეცა ბოტანიკური ბაღის 3 თვიანი ვაუჩერი (Mego ბარათი).
- ✓ 27 აპრილს ბაღში აღინიშნა „ისტორიული ბაღების ევროპული დღე“, რომლის ფარგლებში ბღში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება.
- ✓ 7 მაისს ბოტანიკურ ბაღს, ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, კაუნასის ტექნოლოგიების განათლების ცენტრის დელეგაცია ეწვია.
- ✓ 1 ივნისს ბოტანიკურ ბაღში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა, რომელსაც 1000 მეტი სტუმარი ჰყავდა.
- ✓ 5 ივნისს ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველწლიური გარემოსდაცვითი აქტივობების ფარგლებში გარემოს დაცვის სერთაშორისო დღე აღინიშნა.
- ✓ ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ნარჩენების სეპარირების სისტემა დაინერგა და ახალი ურნები განთავსდა.
- ✓ 23 ივნისს ბოტანიკურ ბაღში ოლიმპიზმის საერთაშორისო დღე აღინიშნა.
- ✓ 17 ივლისს, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის საზეიმო დახურვას უმასპინძლა, ღონისძიებას 500 სტუმარი დაესწრო.
- ✓ 18 ივლისს ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მიერ ორგანიზებული ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის ფესტივალის „მდუმარე ნოტები“-ს ფარგლებში, კონცერტს – „ქართული და მსოფლიო კინომუსიკა“-ს უმასპინძლა, რომელსაც 500-ზე მეტი სტუმარი დაესწრო.

✓ 17 ივლისს, ზუგდიდის ბოტანიკურმა ბაღმა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის საზეიმო დახურვის ღონისძიებას უმასპინძლა. ღონისძიებას 500-მდე სტუმარი დაესწრო.

✓ 8 ივლისს, 19:00 საათზე, ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის ფესტივალის „მდუმარე ნოტები“ ფარგლებში, გრანდიოზული კონცერტი – „ქართული და მსოფლიო კინომუსიკა“ გაიმართა, რომელსაც 500-ზე მეტი სტუმარი დაესწრო.

30 ფასიანი ღონისძიება ჩატარდა (ღია სივრცის გაჭირავება), რომლის ღირებულება 9000 ლარია.

✓2025 წლის 1 ოქტომბრიდან 2026 წლია 1 ოქტომბრამდე ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის სხვადასხვა ტერიტორიაზე ღია სივრცესა და დახურულ გრუნტში დაირგო როგორც შესყიდული, ასევე უსასყიდლოდ გადმოცემული და საკუთარი ძალებით გამოყვანილი მცენარეთა ნერგები, სულ: 19475 ერთეული. მათ შორის, ხე-ბუჩქი 3399 ერთეული, ბალახოვან-ყვავილოვანი მცენარე - 16076 ერთეული;

✓შესყიდულ იქნა სულ 124 სახეობის 10972 ერთეული ნერგი. მათ შორის , ხე-ბუჩქი 172 ერთეული, ბალახოვან-ყვავილოვანი 10800 ერთეული.

✓საქართველოს ეროვნულმა ბოტანიკურმა ბაღმა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) ზუგდიდის ოფისმა და ზუგდიდში მცხოვრებმა ფიზიკურმა პირებმა უსასყიდლოდ გადმოგვცეს 922 ერთეული ნერგი. მათ შორის: ხე-ბუჩქი 367 ერთეული, ბალახოვან-ყვავილოვანი 555 ერთეული;

✓ზუგდიდის ბულვარის რეკონსტრუქციისას, სკეიტ პარკის მიმდებარე ტერიტორიიდან აღებულ იქნა და საჩუქრად გადმოგვეცა 2 ერთეული მაგნოლია სტელატა და 225 ერთეული ბერძნული ბზა (ბზისგან მოეწყო ახალი ხეივანი).

✓სათბურში არსებული დაკალმებული და ქოთნებში ჩარგული მცენარეები სულ: 8099 ერთეული. მათ შორის 4524 ხე-ბუჩქი და 3575 ერთეული ბალახოვან-ყვავილოვანი მცენარე.

✓სარეალიზაციოდ გამოყვანილ იქნა 31 სახეობის 1106-მდე ერთეული ქოთნის მცენარე და რეალიზებულ იქნა 184 ერთეული;

✓ველური ვარდის შტამბზე დაიმყნო 15 ძირი ვარდის კულტურული ფორმა და ბალამწარაზე დაიმყნო 12 ძირი იაპონური საკურას დეკორატიული ფორმა.

✓შეივსო კავკასიური რცხილების ხეივანი 15 ერთეული ნერგით და მოეწყო კოლხური ბზისა (320 ერთეული) და გარდენიას ხეივანი (42 ერთეული).

✓აღდგა კედრების ხეივანი.

✓მოეწყო დროშის, გულის და ქართული წარწერა ,,ზუგდიდი“ ფორმის ყვავილნარი სხვადასხვა ფერის ფოთლისა და ყვავილი ბეგონიას ჩითილებით.

დენდროლოგია:

✓მიმდინარეობს ფენოლოგიური დაკვირვება ხე-მცენარეებსა და ბუჩქებზე, როგორც მორფოლოგიური, ასევე ანატომიური თვალსაზრისით. ასევე, ხე-მცენარეებისა და ბუჩქების ინვენტარიზაცია-პასპორტიზაციის გაციფრულება ძირითადი სისტემატიკური კატეგორიებისა და წესების მიხედვით. ეტიკეტირებული და გაციფრულებულია დამატებით 1060 ხე-ბუჩქი. მომზადდა 8 დენდროლოგიური აქტი დასკვნებით.

ჰერბარიუმები და თესლები:

✓ეთნობოტანიკურ კუთხეში აპრილის თვეში დაითესა უძველესი კულტურა ღომის ღომი და სექტემბრის თვეში აღებულ იქნა მოსავალი, სამომავლოდ შენახულ იქნა თესლები.

✓ ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა ბაღის ტერიტორიის, შენობა-ნაგებობებისა და საპირფარეშოების დასუფთავება, ასევე ბაღში არსებული სკამების, ნაგვის урნებისა და ნათურების გაწმენდა-დასუფთავება.

✓ პერიოდულად ხდებოდა ბაღში არსებული ნათურების განახლება/შეკეთება. სულ გამოიცვალა 260 ნათურა, აქედან დაბალი ნათების 18 ვატიანები - 140 ცალი და მაღალი ნათების 36 ვატიანები - 120 ცალი.

✓ ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა ბაღის ტერიტორიაზე წყალმომარაგებითი სამუშაოები და მათი საზედამხედველო სამუშაოები,რაც გულისხმობს: სარწყავი სისტემის გამართულობას, ხელოვნურ ტბებთან, ავზებთან, სველ წერტილებთან წყალმომარაგების უწყრუნველყოფას, ღია არხების ამოწმენდას, მდ. ჩხოუშიასთან ხელოვნური ტბების დამაკავშირებელ მილზე არსებული ვინტილის შეცვლას.

✓ ბაღმა შეიძინა დამატებით კიდევ ერთი სატრანსპორტო საშუალება-სამბორბლიანი ელექტრო ტრიციკლი, ასევე ხუთი ცალი ბალახის საკრეჭი აპარატი (Baikal hy-tv630), ერთი ცალი გაზონის საკრეჭი აპარატი ბენზინზე (lm51z-2l np170) და ორი ცალი ჰაერდამბერი აპარატი.

✓ 2025 1 ოქტომბრიდან 2026 წლის 1 ოქტომბრამდე საანგარიშო პერიოდში შესყიდვების განყოფილების მიერ გაფორმებულ იქნა 99 ხელშეკრულება, მათ შორის 88 - გამარტივებული შესყიდვის წესით, 7 - კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, 4 ელექტრონული ტენდერი . სახელშეკრულებო თანხამ ჯამში შეადგინა 204 743,84 ლარი. აქედან, 132 954,54 - ლარი გამარტივებული შესყიდვა, 24 119,30 ლარი -კონსოლიდირებული ტენდერი, ხოლო 47 670 ლარი ელექტრონული ტენდერი.

✓ დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა ა(ა)იპ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის 2025-2026 წლის საკუთარი შემოსავლები.

(ააიპ) ,,ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“-ს მიერ 2025 1 ოქტომბრიდან 2026 წლის 1 ოქტომბრამდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან საბიუჯეტო ასიგნების სახით მიღებულ იქნა 1 515 558,55 ლარი. აღნიშნულ პერიოდზე საკასო ხარჯმა შეადგინა 1 514 833,05 ლარი.

საკუთარმა შემოსავლებმა მიმდინარე წლის 2025 1 ოქტომბრიდან 2026 წლის 1 ოქტომბრამდე შეადგინა 251 756,41 ლარი. საკუთარი შემოსავლებიდან 2025 1 ოქტომბრიდან 2026 წლის 1 ოქტომბრამდე გახარჯულ იქნა 283 845,88 ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გახარჯულ იქნა 47 181. 20 ლარი

ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების მიზნით, 2026 წლის ბიუჯეტის ფარგლებში, 2025 წლის 01 ნოემბრიდან 2026 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაფორმდა სულ 170 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება. გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით, შეადგინა 1 473 501 (ერთი მილიონ ოთხას სამოცდაცამეტი ათას ხუთას ერთი) ლარი. აქედან საკუთარი შემოსავლებიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 57 515,70 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასთხუთმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნება 1 415 985,30 (ერთი მილიონ ოთხასთხუთმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდახუთი ლარი და 30 თეთრი) ლარს.

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-სათვის 2025 წლის 1 ნოემბრიდან 2026 წლის 1 ოქტომბრამდე ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებიდან ათვისებულია 5 081 958 ლარი.

საანგარიშო პერიოდში საკუთარი შემოსავლებიდან შემოსულია (სასათვალაო მიწის სარგებლობის საფასური) 64 895 ლარი. შესაბამის პერიოდში საკუთარი შემოსავლებიდან სხვადასხვა კეთილმოწყობითი სამუშაოების შესასრულებად გაიხარჯა 57 146 ლარი,

„ცენტრი“-ს სარგებლობაში და საკუთრებაშია სულ 19 ერთეული სატრანსპორტო საშუალება.

საანგარიშო პერიოდში ტრანსპორტისა და ტექნიკა-დანადგარების განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოები: გზის მოსწორება - 10290 მეტრი; სანიაღვრე არხის ამოწმენდა და მოწყობა - 6192 მეტრი; მილების ჩადება და ხიდბოგირების მოწყობა - 15 ერთეული; ნარჩენების და ტერიტორიის მოსწორებითი სამუშაოები 670 მ$^{2;}$ სტიქიის დროს (დიდთოვლობა) გზების გაწმენდა 1150 მეტრი. სამშენებლო ნარჩენებისგან გაწმენდის და ტერიტორიის მოსწორებითი სამუშაოები 9290 მ^2 . მდინარის კალაპოტის ამოწმენდა -1605 მეტრი; მოშანდაგება და გზის მოსწორება - 27550 მეტრი. სამშენებლო ნარჩენებისგან გაწმენდა- 6900 მ ^{2} .

გარე - განათების ქსელის მოვლა პატრონობის მიზნით გაწეული ხარჯი შეადგენს 249 622 (ორას ორმოცდაცხრა ათას ექვსას ოცდაორი) ლარს. წყალმომარაგების ქსელის მოვლა პატრონობისთვის გაწეული ხარჯი შეადგენს - 38 367 (ოცდათვრამეტი ათას სამას სამოცდაშვიდი) ლარს.

გამწვანების და ბიოლოგიური მართვის განყოფილება სისტემატურად ახორციელებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული გამწვანების ობიექტების მოწყობასთან, მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ სამუშაოებს.

მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე 2025 წლის 1 ნოემბრიდან 2026 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში მოქალაქეებზე (ჭირისუფლებზე) სარგებლობის უფლებით გადაცემული სასაფლაო მიწის ნაკვეთის ფართობმა შეადგინა 5187,43 მ^3; საფლავზე მომსახურების საფასურის სახით შემოსულმა თანხამ (რომელიც განსაზღვრულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის N58 დადგენილებით, დამტკიცებული ,, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისს და მოვლა პატრონობის წესით) შეადგინა 64 895, (სამოცდაოთხი ათას რვაას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი; მოქალაქების განცხადების საფუძველზე უფასოდ გაცემული იქნა 123 მ^3 სასაფლაო მიწის ფართობი.

ზუგდიდის მუნციპალიტეტის ტერიტორიაზე დიდთოვლობისგან გამოწვეულ პრობლემებთან დაკავშირებით, განხორციელდა ტექნიკური მარილის მოყრა. მოთხოვნის საფუძველზე შესრულდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიაზე რამოდენიმეჯერ სანიაღვრე არხების ამოწმენდითი და ცხაურის აღდგენითი სარეაბილიტაციო სამუშაოები. სკვერებში, პარკებსა და ბაღებში მოსასვენებელი სკამებისა და სანაგვე ურნების რეაბილიტაცია განხორციელდა. წელიწადის სხვადასხვა დროს, რამოდენიმეჯერ სკვერებისა და პარკების მოწესრიგების, ასევე მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ლოკაციაზე ტერიტორიის მოშანდაკებითი სამუშაოები შესრულდა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ლოკაციებზე ხიდების, მოსაცდელებისა და საფეხბურთო მოედნის

სარეაბილიტაციო (აღდგენითი) სამუშაოები მიმდინარეობს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიაზე დამონტაჟდა სხვადასხვა აღმნიშვნელი საგზაო ნიშნები. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიაზე დამონტაჟდა სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბარიერი, ხოლო არსებულ ბარიერებს, ბორდიურებსა და წრიულებს ჩაუტარდა აღდგენითი და შეღებვითი სამუშაოები. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიაზე დამონტაჟდა სადღესასწაულო და საინფორმაციო ბანერები და არსებულ ბანერებს ჩაუტარდა სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები. საცხოვრებელი კორპუსების, ბაღების, ადმინისტრაციული შენობების დაზიანებული სახურავების, კედლების, შესასვლელი ჭიშკრის, დაზიანებული ღობეების და კიბის მოაჯირის, მორყეული ფილების აღდგენითი და წყალსაწრეტი მილების გაწმენდითი სამუშაოები შესრულდა.

,,ცენტრი“-ს მიერ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობითი სამუშაოებისათვის, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 195 180 (ას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ას ოთხმოცი) ლარი.

განათლების პრიორიტეტის დაფინანსება

განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური

განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება

❖ **საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური ხელშეწყობა**
პროგრამული კოდი 0405

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 01 ოქტომბრიდან 2026 წლის 01 ოქტომბრამდე ორგანიზაციული ბიუჯეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების პროგრამით (კოდი 04 05) გაიხარჯა- 157 695 (ას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ექვსას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი.

ზემოაღნიშნული თანხები მიიმართა შემდეგ ღონისძიებებზე:

- მერის სახელობის სტიპენდია

მერის სახელობის სტიპენდია ენიშნებათ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე;

მერის სტიპენდია წესდება თვეში 250 ლარის (არსებული გადასახადების ჩათვლით) ოდენობით, სტიპენდიანტებს სტიპენდია ეძლევა ყოველთვიურად ერთი სასწავლო წლის განმავლობაში (9 თვე;) სტიპენდია სტუდენტს ერიცხება ჰ/საბანკო ანგარიშზე.

მერის სახელობის სტიპენდია დანიშნული ჰქონდა 129 სტუდენტს, ხოლო მარტიდან სტიპენდია გაიცა 128 სტუდენტზე.

- ოქტომბერი - 32 250 ლარი
- ნოემბერი - 32 250 ლარი
- დეკემბერი - 32 250 ლარი

სულ გაიხარჯა - 96 750 ლარი.

- ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების

ფინანსური მხარდაჭერა;

საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური ხელშეწყობა ითვალისწინებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტებისთვის ფინანსურ დახმარებას; დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი კომისია. სტუდენტის დაფინანსება განისაზღვრება სემესტრულად, თითოეული სემესტრი- არაუმეტეს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარით.

ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში თანხის ჩარიცხვა ხორციელდება სტუდენტის პირად საბანკო ანგარიშზე. ჩატარდა კომისიის ერთი სხდომა, დაფინანსდა 38 სტუდენტი, გაიხარჯა---57 000 ლარი;

- წიგნის პრეზენტაცია: ,,ჩანაწერები ლიტერატურული ბანაკიდან“ (ყვავილების თაიგული 640, ფურშეტი 2085) გაიხარჯა - 2 725 ლარი.
- მერის სტიპენდიანტებისთვის სერტიფიკატის ბეჭდვა, გაიხარჯა - 1220 ლარი.

❖ საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური ხელშეწყობა პროგრამული კოდი 0404

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 01 ოქტომბრიდან 2026 წლის 01 ოქტომბრამდე ორგანიზაციული ბიუჯეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების პროგრამით (კოდი 04 04) გაიხარჯა 335 115 (სამას ოცდათხუთმეტი ათას ას თხუთმეტი) ლარი.

- ნიკოსეულ სასახლეში გამართული წარმატებული პედაგოგებისთვის ყვავილების თაიგულის გადაცემა. გაიხარჯა - 240 ლარი.

- მასწავლებლის ეროვნულ დღესთან დაკავშირებით (სიგელების ბეჭდვა 370, მასწავლებლის ფულადი ჯილდო 13 500, ყვავილების თაიგული 576, ფურშეტი 2450) გაიხარჯა - 17 136 ლარი.

- მერის სახელობის სტიპენდია

მერის სახელობის სტიპენდია ენიშნებათ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე;

მერის სტიპენდია წესდება თვეში 250 ლარის (არსებული გადასახადების ჩათვლით) ოდენობით, სტიპენდიანტებს სტიპენდია ეძლევა ყოველთვიურად ერთი

სასწავლო წლის განმავლობაში (9 თვე;) სტიპენდია სტუდენტს ერიცხება ჰ/საბანკო ანგარიშზე.

მერის სახელობის სტიპენდია დანიშნული ჰქონდა 129 სტუდენტს. ერთმა სტუდენტმა, მარიამ პერტაიამ სწავლა დაასრულა თებერვლის ბოლოს და სტიპენდია მარტიდან მიეცა 128 სტუდენტს.

2026 წელი: **სულ გაიხარჯა - 192 500 (ას ოთხმოცდათორმეტი ათას ხუთასი) ლარი.**

- ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა;

საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური ხელშეწყობა ითვალისწინებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტებისთვის ფინანსურ დახმარებას; დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი კომისია. სტუდენტის დაფინანსება განისაზღვრება სემესტრულად, თითოეული სემესტრი- არაუმეტეს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარით.

ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში თანხის ჩარიცხვა ხორციელდება სტუდენტის პირად საბანკო ანგარიშზე.

ჩატარდა კომისიის 6 სხდომა, დაფინანსდა 52 სტუდენტი - გაიხარჯა 78 000 (სამოცდათვრამეთი ათასი) ლარი.

- ესეებისა და ნიჭო კეცხოველის სასკოლო პრემიის კონკურსებში გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცა წიგნები (2025 წელს შესყიდული) და სასაჩუქრე ბარათი (20ც)
  გაიხარჯა - 1 000 ლარი.
- საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები და მათი მასწავლებლები დაჯილდოვდა სასაჩუქრე ბარათით (15ც) გაიხარჯა - 1500 ლარი.
- დედაენის დღესთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილის ძეგლის შემკობა ყვავილის გვირგვინით გაიხარჯა - 147 ლარი.
- საჯარო და კერძო სკოლების მედალოსნების დაჯილდოება სასაჩუქრე ვაუჩერებით (179ც.) გაიხარჯა - 17 900 ლარი.
- ა(ა)ჰ „საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია“ საქართველოს სკაუტებისთვის მიერ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩითახევში განხორციელდა ზაფხულის ახალგაზრდული სკაუტური ბანაკი გაიხარჯა - 26 432 ლარი.
- ბიოტექნოლოგიების ბანაკში მონაწილე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის 10 მოსწავლე დაჯილდოვდა სასაჩუქრე ვაუჩერებით (10ც.) გაიხარჯა 500 ლარი.

❖ **ს.ს.ი.პ. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელშეწყობა**
პროგრამული კოდი 04 06

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 0406 კოდით გათვალისწინებული 50 000 ლარი სრულად გაიხარჯა, უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი მაშტაბური პროექტის-ინტერნაციონალური, ინტერ დისციპლინური კონფერენციის: ,,კულტურა, რელიგია, ადამიანი"-ორგანიზებისა და განხორციელებისთვის.

❖ **სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა**

პროგრამული კოდი 05 01 02

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 01 ოქტომბრიდან 2026 წლის 01 ოქტომბრამდე ორგანიზაციული ბიუჯეტის სპორტული და ახალგაზრდული პროგრამის დაფინანსების პროგრამით (კოდი 05 01 02) გაიხარჯა 59 565 (ორმოცდათხუთმეტი ათას ხუთას სამოცდახუთი) ლარი.

- „ტექნოლოგიური ბანაკი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ახალგაზრდებისთვის ორგანიზების მომსახურებისთვის ა(ა)იპ ახალგაზრდული ინოვაციების ცენტრისთვის თანხის გადარიცხვა - 5000 ლარი;
- „ავტო დრაგის" სპორტულ ღონისძიებაზე გაწეული სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების შესყიდვა ბიუჯეტი: - 750 ლარი;
- ფურშეტის (ორგანიზება) მომსახურების შესყიდვა („ავტო დრაგის" ღონისძიება) ბიუჯეტი: - 200 ლარი;
- სპორტული ღონისძიება- ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში „ავტო დრაგის" ჩემპიონატი ბიუჯეტი: - 6980 ლარი;
- ბრენდირებული ჩანთების, საწერჯალმების და ბლოჯნოტების შესყიდვა -- 1810 ლარი; გადაეცა საჩუქრად ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეებს მოსწავლე-ახალგაზრდების სასახლის თეატრალური სტუდიის მონაწილეებს, წვევამდელ ახალგაზრდებს.
- საავტომობილო სპორტული ღონისძიება -"GDS Park Drift" ჩემპიონატი;

ღონისძიების მიზანია: საავტომობილო სპორტის განვითარება, ახალგაზრდებში სპორტული აქტივობის პოპულარიზაცია და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა, საავტომობილო სპორტული მიმართულების განვითარება.

ბიუჯეტი: 20 000 ლარი ;

- ჩემპიონატი კომპაჯ სპორტინგში

კომპაჯ სპორტინგი არის ინგლისური და საერთაშორისო სპორტინგის ერთერთი სახეობა, რომელიც მოიცავს მიზანში სროლას.

ღონისძიების მიზანია: კომპაჯ სპორტინგის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია მოსახლეობის თართო ფენებში; სპორტსმენთა კვალიფიკაციის ამაღლება; ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ოირემეს ადმინისრაციულ ერთეულში გაიმართა ჩემპიონატი კომპაკ სპორტინგში, მოეწყო შეკიბრისთვის საჭირო უსაფრთხო სივრცე, სასროლი მოედანი და სასროლი პოზიციები. ტურნირი A, B, C და D (ადგილობრივი მოყვარულები) კატეგორიებში (საქართველოს ფედერაციის მსროლელთა რეიტინგის მიხედვით) ჩატარდა. თითოეულ კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები.

შეკიბრი ჩატარდა საერთაშორისო სპორტინგის ფედერაციის -FITASC - ის COMPAK SPORTING -ის წესებით. ბიუჯეტი: 19 950 ლარი;

- ბიოტექნოლოგიების ბანაკი

ა(ა)იპ „ახალგაზრდული ინოვაციების ცენტრი“

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, ზუგდიდისა და სენაკის ტექნოპარკის ორგანიზებით მესტიაში ჩატარდა 6 დღიანი ბიოტექნოლოგიების ბანაკი, რომლის მიზანია 15-17 წლის მოსწავლეებში ბიოტექნოლოგიების მიმართ ინტერესის გაღვივება, თანამედროვე ტექნოლოგიების როლის გააზრება და მათი მნიშვნელობის წარმოჩენა, სხვადასხვა სფეროში, მონაწილეთა ინოვაციური და კრიტიკული აზროვნების, პრობლემების იდენტიფიცირებისა და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას. ბიუჯეტი: 4875 ლარი;

❖ რაგბის განვითარების პროგრამა

ა(ა)იპ “რაგბის კლუბი ზუგდიდი”

პროგრამული კოდი: 05 01 04

დამტკიცებული ბიუჯეტი: 280 217.20 (ორას ოთხმოცი ათას ორას ჩვიდმეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარი.

2026 წლის 9 თვეში პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 194 285,6 (ას ოთხმოცდათოთხმეტი ათას ორას ოთხმოცდახუთი ლარი და 60 თეთრი). აღნიშნული თანხა მოხმარდა ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ზუგდიდის“ ფინანსურ მხარდაჭერას. პროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდა თაობის სპორტული აღზრდის ხელშეწყობა, საკლუბო რაგბის განვითარება, რაგბის, როგორც სპორტის სახეობის, პოპულარიზაცია და სპორტსმენებისთვის შესაბამისი საწვრთნელი და საკონკურსო პირობების უზრუნველყოფა.

❖ სპორტული კლუბების ხელშეწყობის პროგრამა

ა(ა)იპ საცხენოსნო კლუბი ,,ხარება”

პროგრამული კოდი: 05 03

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 01 ოქტომბრიდან 2026 წლის 01 ოქტომბრამდე ორგანიზაციული ბიუჯეტის პროგრამით (კოდი 05 03) გაიხარჯა 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი.

ა(ა)იპ საცხენოსნო კლუბ ხარებას ცხენოსნობის სპორტულ და ეროვნულ სახეობების განვითარების/პოპულარიზების განვითარება, სპორტული ღონისძიების-დღის მოწყობა - 20 000 ლარი, ცხენების კვების ხარჯი - 60 000 ლარი.

პროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ საცხენოსნო კლუბ „ხარებას“ ფინანსურ მხარდაჭერას, რაც მიზნად ისახავს სპორტული და ტრადიციული ცხენოსნობის განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობას. კლუბი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილეობს ქვეყნის მასშტაბით გამართულ ეროვნულ (ისინდი, ცხენბურთი, დოღი, მარულა) და კლასიკურ საცხენოსნო შეკიბრებებში, რითაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის ღირსეულ წარმომადგენლობასა და სპორტის აღნიშნული სახეობის განვითარებას.

კულტურის და ძეგლთა დაცვის განყოფილება

❖ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა

პროგრამული კოდი 05 02 02

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული ბიუჯეტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამით საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ ღონისძიებებზე საერთო ჯამში გაიხარჯა **16 338 (თექვსმეტი ათას სამასოცდათვრამეტი) ლარი,** რომელიც მიიმართა შემდეგ ღონისძიებებზე:

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამით განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საგანმანათლებლო პროექტი **,,ნორჩი მკვლევარი 2025“**, რომლის ფარგლებში 11 და 12 ოქტომბერს მოეწყო ფინალური ტურში გამარჯვებული და წარჩინებული მოსწავლე - ახალგაზრდებისთვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაგეგმილი შემეცნებით - საგანმანათლებლო ტურის ორგანიზება - **ბიუჯეტი 6 606 ლარი.**
- ომში დაღუპული დარჩელის მკვიდრი მეომრების უკვდავსაყოფად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე შინმოუსვლელთა მემორიალზე განთავსდა სახელობითი სია (უჟანგავი ფოლადისგან გამოჭრილი ასოებით) - **ბიუჯეტი 9 732 ლარი.**

❖ კულტურული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამა

პროგრამული კოდი 05 02 04

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული ბიუჯეტის კულტურული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამით საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ ღონისძიებებზე საერთო ჯამში გაიხარჯა **293 658 (ორასოთხმოცდაცამეტი ათას ექვსასორმოცდათვრამეტი) ლარი,** რომელიც მიიმართა შემდეგ ღონისძიებებზე:

- სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით რუხის ხიდზე გაიმართა მდუმარე აქცია სანთლებით - **ბიუჯეტი 750 ლარი.**
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ,,კულტურის სფეროს პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა

შ.პ.ს. ხელოვნებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი ,,ოდიშის“ პროექტი ,,ცეკვა ერთსულოვნებისთვის“ - **ბიუჯეტი 10 000 ლარი.**

- დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, სსიპ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროფესიული სახელმწიფო ინტეგრირებული თეატრის ,,აზდაკის ბაღი“ სპექტაკლის ,,მე ვხედავ მზეს“ ჩვენება - **ბიუჯეტი 9 500 ლარი.**
- 31 მარტს, პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ პოეტ თინათინ მღვდლიაშვილს გადაეცა ყვავილების თაიგული - **ბიუჯეტი 100 ლარი.**
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში საზღვაო სეზონის ოფიციალური გახსნის ღონისძიებასთან დაკავშირებით, ქართული მუსიკალური ჯგუფის ,,ურსა“ კონცერტი - **ბიუჯეტი 30 000 ლარი.**
- ,,ვლაქერნობის“ დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებისთვის ანსამბლის ,,ქართული ხმები” კონცერტი - **ბიუჯეტი 18 000 ლარი.**
- ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო ცენტრში გამართულ გორის ქალთა გუნდის (ხელმძღვანელი თეონა ცირამუა) კონცერტზე თეონა ცირამუას გადაეცა ყვავილების თაიგული - **ბიუჯეტი 87 ლარი.**
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საპატიო ზუგდიდელის, ზუგდიდის საპატიო მოქალაქის და ზუგდიდის დამსახურებული მოღვაწის დაჯილდოების ცერემონია - **ბიუჯეტი 224 221 ლარი.** (ღონისძიების ორგანიზების მომსახურება 215 300 ლარი, ქალაქის სიმბოლური გასაღებისა და საპატიო წოდების აღმნიშვნელი მედლების დამზადების მომსახურება 8060 ლარი, სასაჩუქრე ყვავილები 861 ლარი).
- სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით რუხის ხიდზე გაიმართა მდუმარე აქცია სანთლებით - **ბიუჯეტი 1 000 ლარი.**

❖ რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამული კოდი 05 02 06

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული ბიუჯეტის რელიგიის ხელშეწყობის პროგრამით საანგარიშო პერიოდში გაიხარჯა **160 000 (ასსამოცი ათასი) ლარი,** რომელიც გადაირიცხა მიზნობრივად. პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს საპატრიარქო ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის დაფინანსებას, რომელიც მოიცავს ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მამათა სამონასტრო კომპლექსის (140 000 ლარი), ზუგდიდის მაცხოვრის კვირაცხოვლობის სახელობის ეკლესიის (5 000 ლარი), რუხის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის (5 000 ლარი), კორცხელის ივერიის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის სახელობის დედათა მონასტრის (5 000 ლარი) და ჯიხაშკარის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესიის (5 000 ლარი) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ხარჯების უზრუნველყოფას.

❖ სსიპ ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამული კოდი 05 02 08

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული ბიუჯეტის ს.ს.ი.პ. ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური ხელშეწყობის პროგრამით საანგარიშო პერიოდში გაიხარჯა **20 000 (ოცი ათასი) ლარი,** რომელიც გადაირიცხა მიზნობრივად - ორენოვანი წიგნის ,,სამეგრელო - ქართული კულტურის ისტორიის ქრონიკები" მესამე ტომის გამოსაცემად.

- **ს.ს.ი.პ. ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ხელშეწყობის პროგრამა**

პროგრამული კოდი 05 05

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული ბიუჯეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ხელშეწყობის პროგრამით საანგარიშო პერიოდში გაიხარჯა **45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი,** რომელიც გადაირიცხა მიზნობრივად.

- ს.ს.ი.პ. ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს ფარგლებში საგასტროლე ტურნეებისა და ახალი სპექტაკლების სადადგმო ხარჯებისთვის გაიხარჯა **30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.**
- სსიპ ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის საიუბილეო წიგნის გამოცემის ხარჯების ანაზღაურების მიზნით, გამონაკლისის სახით, ერთჯერადად გაიხარჯა **15 000 (თხუთმეტი ათასი)** ლარი.

ა(ა)იპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 63 საბავშო ბაღი; მათგან 18 - ქალაქში, ხოლო 45- ადმინისტრაციულ ერთეულებში, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი. სულ 3553 ბავშვთა კონტიგენტით; სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 1186 თანამშრომელი, 164 სააღმზრდელო ჯგუფით;

ააიპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი, გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ,ზუგდიდის მერიის შესაბამისი სამსახურების ჩართულობით, უზრუნველყოფენ შესაბამისი ღონისძიებების

განხორციელებას, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 2030 წლის 1 იანვრამდე, მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან დაიწყონ და დაასრულონ როგორც საჯარო, ისე კერძო საბავშვო ბაღების ავტორიზაცია.

მთავრობის მიერ დამტკიცებული ავტორიზაციის წესის მიხედვით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციას ანხორციელებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, (2030 წლის 1 იანვრამდე). მიმდინარე წელი წარმოადგენს ერთგვარ მოსამზადებელ პერიოდს, ხოლო ამ გარდამავალი პერიოდის კერძოდ, 2025 წლის შემდეგ ადრეული და სკოლამდელი საალმზრდელო დაწესებულებების ეტაპობრივი ავტორიზაცია მოხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი გრაფიკის შესაბამისად.

ავტორიზაციის სტატუსის მისანიჭებლად, სახელმწიფო სისტემაში დარეგისტრირებულმა აიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საალმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს დაქვემდებარებულმა 2025 წელს 9 (ცხრა) საბავშვო ბაღმა გაიარა ავტორიცაზია: მიმდინარე წელს, სტატუსის მოსაპოვებლად დარეგისტრირებულმა 5 (ხუთივე) საბავშვო ბაღმა გაიარა ავტორიზაცია.

ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად დაიგეგმა: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი საალმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, საბავშვო ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ეტაპობრივად მიმდინარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების თანამშრომელთა გადამზადება „აღმზრდელ პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული“-ს მიხედვით გადამზადდა 150 აღმზრდელი და საბავშვო ბაღის გამგეები, 66 საათიანი ტრენინგ-კურსის დასასრულს, მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება, რომლის წარმატებით ჩაბარების შედეგად მათ გადაეცათ სერტიფიკატები,რომელსაც ორგანიზებას უწევდა ტენდერში გამარჯვებული ა.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აღნიშნული ტრეინგ-მოდულით დაგეგმილია, ეტაპობრივად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პერსონალის სრულად გადამზადება.

საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი დარეგულირებულია "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488

დადგენილებით, "აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #478 დადგენილებით.

ჩამოყალიბებული სახელფასო პოლიტიკის თანახმად, 2024-25 წელსაც გაგრძელდა შრომის ანაზღაურების ზრდა. საბავშვო ბაღის და ადმინისტრაციულ პერსონალს თანამდებობრივი სარგო გაეზარდათ 10%-ით და დამატებით 125 ლარით.

მიმდინარე წელს ექსპლუატაციაში შევიდა ახალ აშენებული,სტანდარტების შესაბამისი: შამგონის, ქვემო კახათის და დარჩელის N1 , ოდიშის ,,ოდიშის“ და ერგეტის საბავშვო ბაღები, რომელიც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ასევე იგეგმება 2026 წლამდე კახათის ,,რწმენა“, ნარაზენის N2, რიყის, ცაცხვის და ოქტომბრის საბავშვო ბაღების ექსპლუატაციაში შესვლა. აგრეთვე აშენებულია და ეტაპობრივად ექსპლუატაციაში შევა: რუხის, ჭითაწყარის, ინგირის წითელქუდა და N5 საბავშვო ბაღები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის N39 დადგენილების საფუძველზე ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ბიუჯეტი (ასიგნება) განისაზღვრა 16 200 000 (თექვსმეტი მილიონ ორასი ათასი) ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში ბიუჯეტი გაიზარდა და დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 16 300 000 (თექვსმეტი მილიონ სამასი ათასი) ლარს.

ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა „ოდიში 1919“

2026 წლის 20 იანვარს საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“-ის ძირითადი გუნდი გასხვისდა და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ლიგა 2-ში ასპარეზობას აგრძელებს შპს „ოდიში 1919“-ის სახელით. აღნიშნული ცვლილების შედეგად, 2026 წლის თებერვლიდან დაიწყო რეორგანიზაციის პროცესი და შეიცვალა ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“-ის სახელწოდება და წესდება და ეწოდა: ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა **„ოდიში 1919“**.

აღნიშნული ცვლილების შემდეგ სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება გახდა ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის განვითარება, ასაკობრივი გუნდების ფუნქციონირება, ფეხბურთელთა მომზადება და სპორტული განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ამასთან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ 2025 წელს საფეხბურთო სკოლას მიენიჭა II კატეგორია, რომლის ფარგლებში სკოლამ მიიღო 20 000,00 (ოცი ათასი) ლარის დაფინანსება და სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი საჩუქრად. აღნიშნული

თანხა სრულად იქნა ათვისებული 2026 წელს და მოხმარდა სპორტული ინვენტარისა და სათამაშო ფორმების შეძენას, რამაც ხელი შეუწყო სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესებას.

საფეხბურთო სკოლის ასაკობრივი გუნდები აქტიურად მონაწილეობდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჩემპიონატში. რეგიონულ ჩემპიონატში მონაწილეობდნენ შემდეგი ასაკობრივი გუნდები: U10; U11; U11-ის დუბლები; U12; U12-ის დუბლები; U13; U13-ის დუბლები; U14.

2026 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, აღნიშნულმა გუნდებმა ჯამში ჩაატარეს 140 საშინაო და გასვლითი ოფიციალური მატჩი. U15 და U17 ასაკობრივი გუნდები მონაწილეობენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა ლიგის „ბრინჯაოს ლიგაში“. 2026 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, აღნიშნულმა ასაკობრივმა გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა 32 ოფიციალურ მატჩში და სეზონის დაწყებამდე გამართეს 8 ამხანაგური შეხვედრა.

2026 წლის საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა და მიღწეული შედეგები: 2026 წლის პირველ ნახევარში საფეხბურთო სკოლამ მნიშვნელოვანი შედეგები აჩვენა საერთაშორისო ტურნირებში:

VICE NEON CUP - რიზე, ფინდიქლი, თურქეთი

ტურნირზე საფეხბურთო სკოლა წარმოდგენილი იყო ორი ასაკობრივი გუნდით:

• U10 გუნდი „ოდიში A“ - ოქროს ლიგის ჩემპიონი;
• U11 გუნდი „ოდიში B“ - ოქროს ლიგის ჩემპიონი.

SOFIKO YOUTH CUP - საბერძნეთი

• U11 ასაკობრივი გუნდი - ვერცხლის ლიგის ჩემპიონი;
• U11-ის დუბლების გუნდი - ვერცხლის ლიგის ჩემპიონი.

SUMMER CUP 2026 - ORDU, თურქეთი

• U11 ასაკობრივი გუნდი - ვერცხლის ლიგის ჩემპიონი;
• U12 ასაკობრივი გუნდი - ვერცხლის ლიგის ჩემპიონი.

საანგარიშო პერიოდში საფეხბურთო სკოლის ასაკობრივმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირში:

ოთარ ძალამიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი

• U12 ასაკობრივი გუნდი - I ადგილი.

საბავშვო საფეხბურთო ფესტივალი „წყალტუბო 2026“

• U11 და U12 ასაკობრივმა გუნდებმა წარმატებით იასპარეზეს.

კახა კალაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი - KALA CUP 2026

• U12 - I ადგილი;
• U11 - წარმატებული მონაწილეობა.

ბექა გოცირიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი - BEKA CUP 2026

• U12 - I ადგილი.

მეფე დავითის თასი - KING DAVID CUP

• U11 და U11-ის დუბლების გუნდებმა წარმატებით იასპარეზეს.

„შავი ზღვის ფესტივალი 2026“ - BLACK SEA FESTIVAL

ტურნირში წარმატებით მონაწილეობდნენ: U9, U11, U12; U13 და U14 ასაკობრივი გუნდები.

„შავი ზღვის თასი 2026“

• U12 ასაკობრივმა გუნდმა წარმატებით იასპარეზა.

ბათუმის საერთაშორისო ტურნირი - BATUMI INTERNATIONAL CUP

• U11-ის დუბლების გუნდმა წარმატებით მიიღო მონაწილეობა.

გენო ადამიას სახელობის ბავშვთა საფეხბურთო ტურნირი

ტურნირში მონაწილეობდნენ U9 და U9-ის დუბლების გუნდებ, სადაც U9-ის ძირითადმა გუნდმა დაიკავა I ადგილი, U9-ის დუბლების გუნდმა დაიკავა II ადგილი და ზუგდიდის „ბაიას“ საფეხბურთო კლუბმა დაიკავა III ადგილი.

რეგიონალური ნაკრების შემადგენლობაში საფეხბურთო სკოლის 9 ახალგაზრდა ფეხბურთელის შერჩევა წარმოადგენს სკოლის სამწვრთნელო საქმიანობისა და ფეხბურთელთა სისტემური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს. აღნიშნული ფაქტი ასევე მიუთითებს, რომ სკოლაში შექმნილი სასწავლო-საწვრთნელი სისტემა ხელს უწყობს ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოვლენას, განვითარებასა და უფრო მაღალ დონეზე მათი სპორტული შესაძლებლობების რეალიზებას.

2025-2026 წლის 11 თვის სუბსიდია შეადგენდა - 653753 ლარს.შემოსავალმა კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ნაწილში შეადგინა 336897 ლარი. ხარჯმა შეადგენა - 285 415 ლარი.

ა (ა)ი პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში (კოდი 050201) ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნების და კულტურის განვითარების ცენტრის” სუბსიდია 2025 წლის 1 ნოემბრიდა 2026 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით შეადგენს 1596500 ლარს. ცენტრის საჯასო შესრულება 2025 წლის 1 ნოემბრიდან 2026 წლის 5 ოქტომბრის ჩთვლით ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 1596498 ლარს.

ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნების და კულტურის განვითარების ცენტრი“-ს საკუთარი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს, ცენტრისთვის უზუფრუქტით გადმოცემული უძრავი ქონების დაქირავებიდან მიღებული შემოსავალი. კერძოდ, სამხატვრო გალერეას, სარეპეტიციო და საკონცერტო დარბაზის დაქირავებიდან მიღებული შემოსავალი. 2025 წლის 1 ნოემბრიდან 2026 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით შემოსავალი საკუთარი სახსრებიდან შეადგენს 36137 ლარს. 2025 წელს 1 ნოემბრიდან 2026 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით ცენტრის საჯასო შესრულება საკუთარი სახსრებიდან შეადგენს 25690 ლარს.

ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“-ს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებები:

1. 12 დეკემბერს - ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის საკონცერტო დარბაზში, ამავე ცენტრის ფოლკლორული ანსამბლების საანგარიშო კონცერტი გაიმართა.
2. 17 დეკემბერს - ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ჩხორიის სამოყვარულო თეატრმა მაყურებელს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლი ,,კუკარაჩა" წარუდგინა . რეჟისორი-ვეფხვია გორგოძე, მხატვარი - რევდიჯ შარია.
3. 1-7 იანვარს -მიხეილ- მაცი ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეაში ზუგდიდელი მხატვრების საახალწლო- საშობაო გამოფენა მოეწყო.
4. 24 თებერვალს -სამხატვრო გალერეაში თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტის ლიზა ვეკუას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოეწყო.
5. 25 თებერვალს - ცენტრის ფოლკლორული ანსამბლი ,,ოდოია" მიწვეული იყო ტელეკომპანია ,,იმედის" სატელევიზიო გადაცემაში ,,ჩემი საქართველო".
6. 3 მარტს- დედის დღისადმი მიძღვნილი ზუგდიდელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.
7. 12 მარტს - დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სლოგანით ,,გაზაფხულს ია ამოდის..." ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა. მონაწილეობდნენ: ანსამბლი ,,ოდოია", კვარტეტი ,,აკორდი", მუსიკალური ბენდი, ლაშა თოდუა და მაია ჩიტაია.
8. 6 აპრილს -მიხეილ (მაცი) ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეაში ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრების სააღდგომო გამოფენა გაიხსნა. წარმოდგენილი იყო ჟანრობრივად და თემატიკურად მრავალფეროვანი ნამუშევრები: ფერწერა, ნაქარგობა, თექა გრაფიკა.
9. 5 მაისს- რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ ,,ჩელას" უფროსი თაობა მიწვეული გახლდათ გურიის მუნიციპალიტეტში ქ. ოზურგეთში დამსახურებული ქორეოგრაფის, ბ-ნ ვაჟა ახვლედიანის სახელობითი ვარსკვლავის გახსნის ცერემონიაზე.
10. 14 მაისს - ზუგდიდის ცენტრალურ ბიბილოთკაში საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის ნაზი მეშველიანის წიგნის ,,შეუდრეკელნი"-ს პრეზენტაცია გაიმართა. საღამოს მეორე ნაწილი კი დაეთმო ცენტრის მუზეუმების განყოფილების მედია მუზეუმის კურატორის მარინა დამენიას საჯარო ლექციას თემაზე- ზუგდიდი ბეჭდურ მედიაში.
11. 2-3 ივნისს ქ.თბილისში საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ორგანიზებულ მუსიკალურ ტელეპროექტ ,,ხალხური"-ს ნახევარფინალში ცენტრის პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორული ანსამბლი ,,ოდოია" მონაწილეობდა. ჟიურის გადაწყვეტილებით ანსამბლი ფინალში გადავიდა და 12-13 ივნისს, მიწვეული იყო ტელეპროექტ ,,ხალხური"-ს მე -2 სეზონის დახურვაზე.
12. 5-12 ივლისს თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. ბაიბურთში ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა, სადაც მიწვეული იყო ცენტრის ბავშვთა და მოზარდთა სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ცისკარი."
ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ლატვია, ირანი, მოლდავეთი, ბულგარეთი, აზერბაიჯანი,რუსეთი, თურქეეთი..
13. 18 აგვისტოს - მუზეუმების განყოფილებას - სპორტის მუზეუმს, მედია მუზეუმსა და ზვიად გამსახურდიას ოთახ- მუზეუმს თურქეთიდან ლაზები სტუმრობდნენ.

სტუმრებზე განსაკუთრებული შტაბეჭდილება მოახდინა პირველი პრეზიდენტის ოთახ- მუზეუმში განთავსებულმა ექსპონანტებმა.

14. 2 სექტემბერს -ჩხორიის სამოყვარულო თეატრში ლანა მანველის ,,ბედნიერების დღე" სპექტაკლის პრემიერა გაიმართა. რეჟისორი ვეფხვია გორგოძე, მხატვარი - რევდიჯ შარია.
15. 18 სექტემბერს - ცენტრის რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ჩელა “ქალაქ თბილისში იმყოფებოდა, სადაც მონაწილეობა მიიღო სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის სახალხო მეგაპროექტ, ნიჭიერის “შესარჩევ ტურში.
16. 5 ოქტომბერს - რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ,,ჩელა“ ქალაქ თბილისში იმყოფებოდა. ანსამბლი სამაუწყებლო კომპანია ,,რუსთავი 2“-ის სახალხო მეგაპროექტ - ,,ნიჭიერის“ პირველ საჯონკურსო კონცერტზე წარსდგა მაყურებლის წინაშე და ჟიურის გადაწყვეტილებით შემდეგ ტურში გადავიდა.

ა(ა)იპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“

ა(ა)იპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების „ 2025 წლის 1 ოქტომბრიდან 2026 წლის 1 ოქტომბრამდე ბიუჯეტის ასიგნება შეადგენს 1305850.26 (ერთი მილიონ სამას ხუთი ათას რვაას ორმოცდაათი და 26 თეთრი) ლარი. მიღებული ასიგნება გაიხარჯა გეგმაზომიერად ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით. საკუთარი სახსრების ფაქტიური შემოსავალი შეადგენს (სწავლის ქირა,დარბაზის ქირა) -114587.82 ლარს.

2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე სახელოვნებო სკოლების გაერთიანებისთვის იყო აქტიური, მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი შემოქმედებითი პერიოდი. წლის განმავლობაში გაერთიანების მუსიკალური და სახვითი ხელოვნების მიმართულებების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ ადგილობრივ, რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებაში. გაიმართა კონცერტები, გამოფენები, კონკურსები, ფესტივალები, საგანმანათლებლო შეხვედრები და შემოქმედებითი პროექტები.

2025 წლის 8 ნოემბერს, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე, საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის ორგანიზებით, ხალხური შემოქმედების XVII რესპუბლიკური ფესტივალი „შენ ხარ ვენახი“ გაიმართა. ფესტივალში მიწვეული იყო კონკურსებში მრავალგზის გამარჯვებული საგუნდო-სამუსიკო სკოლის აკადემიური გუნდი. წარმატებული მონაწილეობისთვის კოლექტივს სპეციალური ჯილდო-გრან-პრი გადაეცა, გუნდის ხელმძღვანელს დენიზა ლუკავასა და კონცერტმაისტერს ნესტან პერტაიას კი -ლაურეატის დიპლომები.

10 ნოემბერს ბათუმში, საქართველოს ხელოვანთა კავშირის „ხელოვანები მომავლისთვის“ ორგანიზებით გამართულ კლასიკური მუსიკის XVIII საფესტივალო პროექტში „ფესტივალიდან - ფესტივალამდე“ წარმატებით მონაწილეობდნენ N1 სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო და

საორკესტრო მიმართულებების მოსწავლეები. ნოემბერი ასევე აქტიური იყო სახელოვნებო სკოლების შიდა შემოქმედებითი ცხოვრებისთვის. სამხატვრო სკოლაში გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით გაიმართა უმცროსკლასელთა ნამუშევრების გამოფენა, სადაც მოსწავლეებმა ქართული ტაძრები საკუთარი ხედვით წარმოადგინეს.

22 ნოემბერს ფესტივალ „ქართულში“ მონაწილეობდნენ გაერთიანების ფოლკლორული ანსამბლები „კირიბიში“, „ლილე“ და დარჩელის შემოქმედებითი ჯგუფი.

24 ნოემბერს N2 სამუსიკო სკოლაში გიორგობისადმი მიძღვნილ კონცერტზე საფორტეპიანო, საორკესტრო და ვოკალური მიმართულებების მოსწავლეებმა საკუთარი შემოქმედებითი ნამუშევრები წარადგინეს.

დეკემბერი განსაკუთრებით დატვირთული აღმოჩნდა. ბათუმში, ანიმაციური ფილმების XVII საერთაშორისო ფესტივალ „თოფუზზე“, სამხატვრო სკოლის ანიმაციის წრის მოსწავლეები საბა შამუგია, ესმერალდა ჭაავა და მარიამ ფიფია საპატიო ჟიურის წევრებად იყვნენ წარმოდგენილი. ისინი ჩაერთნენ პროფესიონალი ანიმატორების მიერ ჩატარებულ მასტერკლასებში, ვორქშოფებსა და VR ჩვენებებში. ეს იყო მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელმაც ბავშვებს შესაძლებლობა მისცა, საკუთარი ინტერესები პროფესიულ სამყაროსთან დაეკავშირებინათ.

29 დეკემბერს საგუნდო-სამუსიკო სკოლაში გაიმართა საფორტეპიანო მიმართულებისა და ფოლკლორული ანსამბლ „ლილეს“ კონცერტი. ამავე დღეს სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა საშობაო ნამუშევრები ზუგდიდის არტ-გალერეაში გამოიფინა, ხოლო სოფელ დარჩელის საჯარო სკოლის წინასაახალწლო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულმა ანსამბლმა „ოდაბადე“. წლის ბოლო დღეებში საშობაო კონცერტები გაიმართა N2 სამუსიკო სკოლაშიც, სადაც საფორტეპიანო, საორკესტრო და ვოკალური მიმართულებების მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა.

2026 წლის 13 იანვრიდან გაერთიანებაში საგაკვეთილო პროცესი ახალი შემართებით გაგრძელდა. განახლდა და დაზუსტდა სასწავლო პროგრამები, მოსწავლეთა ინდივიდუალური და ჯგუფური გეგმები, ასევე საკონკურსო მიმართულებები. პარალელურად, სკოლებში გაგრძელდა პრაქტიკული და თეორიული ღია გაკვეთილები, კამერული კონცერტები, კლასიკური მუსიკის საღამოები, თემატური გამოფენები და სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტი. წლის პირველი ნახევარი განსაკუთრებით დატვირთული იყო კონკურსებითა და ფესტივალებით.

თებერვალში სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა ბაკურიანში გამართულ რესპუბლიკურ ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა და წარმატებული ჩართულობისთვის სპეციალური ჯილდოები და დიპლომები დაიმსახურეს. მარტში მუსიკალური მიმართულებების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე მნიშვნელოვან კონკურსში. თბილისში, ევგენი მიქელაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში გაიმართა საერთაშორისო კონკურსი „ნორჩი ვირტუოზი“, სადაც საგუნდო-სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო მიმართულების მოსწავლეები წარდგნენ. მარტშივე N1 სამუსიკო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ ფესტივალ-კონკურსში „იპოვე შენი ვარსკვლავი“, ხოლო საქართველოს ხელოვანთა კავშირის მიერ ორგანიზებულ ეროვნულ კონკურს-ფესტივალში „მომავლის ვარსკვლავები“ მონაწილეობდნენ N1, N2 და საგუნდო-სამუსიკო სკოლების მოსწავლეები.

18 ივლისს, ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ორგანიზებითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის ფესტივალის “მდუმარე ნოტები-2026”-ის ფარგლებში, გაიმართა კონცერტი “ქართული და მსოფლიო კინომუსიკა”

14 სექტემბერს განახლდა სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში ახალი 2026-2027 სასწავლო წელი. N1 სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ინიტიატივით, 2026-2027 სასწავლო წელს ჩარიცხული მოსწავლეებისთვის ღია კარის დღე, გაცნობითი ხასიათის საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

ოქტომბრის თვიდან სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში დაინერგა კიდევ ერთი ახალი მიმართულება- სამოყვარულო მუსიკალური ჯგუფი და მუსიკის შექმნის ლაბორატორია. ეს პროექტი ითვალისწინებს სივრცის შექმნას, სადაც მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს, ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე. სადაც მთავარი არის არა პროფესიონალიზმი და აკადემიური განათლების მიღება, არამედ მონაწილეობის სურვილი, საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენა, მუსიკისგან სიამოვნების მიღება და ერთმანეთთან თანამშრომლობით ახალი გამოცდილების მიღება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი

ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით ხდება ბიბლიოთეკების მართვის ცენტრში შემავალი ბიბლიოთეკების - ერთი ცენტრალური, სამი საქალაქო და 27 სასოფლო ბიბლიოთეკა - ფილიალის განვითარების ხელშეწყობა.

სულ 2025 წლის 1 ნოემბრიდან 2026 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით ბიუჯეტის შესრულება- 1 131 928,96 ლარი. ბიბლიოთეკების მართვის ცენტრში შემოტანილ იქნა -1180 ცალი წიგნი, თანხით-6259.67 ლარის. ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის წიგნადი ფონდი შეადგენს - 187 999 ცალ წიგნს, თანხით - 478 308.51 ლარი. ერთი წლის განმავლობაში მართვის ცენტრი მოემსახურა 6 716 მკითხველს/მომხმარებელს.

ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის მიერ 2025 წლის 1 ნოემბრიდან 2026 წლის 5 ოქტომბრამდე სულ განხორციელდა 120-ზე მეტი სხვადასხვა პროექტი, თითოეული მათგანი რამდენიმე აქტივობას მოიცავდა. კერძოდ:

რესურსცენტრთან შეთანხმებით, ინტენსიურად ტარდებოდა სკოლების მოსწავლეების საბიბლიოთეკო ტურები, სადაც ახალგაზრდები ეცნობოდნენ ბიბლიოთეკის მუშაობის სპეციფიკასა და სერვისებს. **ასეთ ტურში მონაწილეობა**

მიიღო ზუგდიდის საჯარო, კერძო და აფხაზეთის საჯარო სკოლებმა, სულ -37 შემეცნებითი ტური განხორციელდა.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დიდი ქართველი მწერალისა და საზოგადო მოღვაწის იონა **მეუნარგიას დაბადებიდან 173-ე წლისთავთან დაკავშირებით განხორციელდა პროექტი - თარგმნე „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულად და გერმანულად.** პროექტში ჩაერთნენ ზუგდიდის ქართულ-ფრანგული სკოლისა და კახათის №1 საჯარო სკოლის უფროსკლასელები- 2025 წლის 26 ნოემბერი.

ლიტერატურული სპექტაკლი სახელწოდებით „მე - დღიური“... საღამო მიეძღვნა 17 წლის ასაკში ზღვაში ტრაგიკულად დაღუპული დათო კვარაცხელიას ხსოვნას-2025 წლის 12 დეკემბერი;

„ცოცხალი წიგნების“ 2025 წლის შემოქმედებითი ტური დასრულდება სამეგრელოში. პროექტის ფარგლებში მკითხველის წინაშე წარდგნენ თანამედროვე ქართული მწერლობის წარმომადგენლები: ვასილ ბესელია, ილია ერქვანია, ლევან ლორია და სალომეა ლომინაძე.-2025 წლის 24 დეკემბერი.

ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა ავტორის თენგო ჩემინავას წიგნის - „მელოდე“ წარდგენა, რომელიც სიცოცხლეში გამოუქვეყნებელ ლექსებს, ჩანახატებსა და დაუმთავრებელ რომანს შეიცავს-2026 წლის 5 მარტი;

შემოქმედებითი საღამო - „პოეზიელები”. დამსწრე საზოგადოების წინაშე წარდგნენ: გერმანე საზანოელი, ზურაბ ქობალია, პაპუნა ქვარიანი და დეზი ემანულიძე.

საყმაწვილო ლიტერატურის ფუძემდებლის, საბავშვო მწერლის შიო მღვიმელის საიუბილეო საღამო - სიკეთით დაწერილი ბავშვობის ფურცლები. საღამო მიეძღვნა შიო მღვიმელის დაბადებიდან 160 წლის იუბილეს-26 თებერვალი;

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში საზეიმოდ **აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.** პროექტის „ახალგაზრდა ავტორები დიდი ისტორიებით“ ფარგლებში ანაკლიის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ინდივიდუალური ხედვითა და საკუთარი ინტერპრეტაციით შექმნილი წიგნები, რომლებიც თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა და ეხებოდა კულტურის, ისტორიის, ხელოვნების, რელიგიისა და სპორტის საკითხებს. პროექტი განხორციელდა ინგლისური ენის წამყვანი მასწავლებლის ლელა სულეიმანიშვილის ხელმძღვანელობით-26 მაისი.

ფილოლოგიის დოქტორის, სოფიკო ჭაავას წიგნის - **„მეგრული ფოლკლორი (ზღაპრები, ლექსები, ანდაზები და გამოცანები)“ წარდგენა.** შეხვედრაზე ავტორმა ისაუბრა წიგნის შექმნის პროცესზე, საარქივო მასალების მოძიებისა და დამუშავების მნიშვნელობაზე, ასევე იმ უნიკალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე, რომელსაც გამოცემა აერთიანებს.

პროექტ „წიგნი და მკითხველის“ ფარგლებში №1 საჯარო სკოლის მკითხველთა **კლუბ „წიგნიერის“ წევრები პედაგოგ ელისო მიქაიასთან ერთად შეხვდნენ წიგნისმოყვარული საზოგადოება B612-ის ახალგაზრდებს, ზუგდიდის №4 საჯარო სკოლის მოსწავლეებს.** შეხვედრის მთავარი თემა იყო კითხვა - რას ეძებს და რას პოულობს თანამედროვე მკითხველი ლიტერატურულ ნაწარმოებებში?

სოფელ ოდიშში, **ალექსანდრე საჯაიას სახლ-მუზეუმში, ზუგდიდის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ლიტერატურული**

სპექტაკლი - 28. სპექტაკლი მიეძღვნა ცნობილი ქართველი პოეტისა და მთარგმნელის **ალექსანდრე საჯაიას დაბადებიდან 110 წლის იუბილეს-**22 სექტემბერი;

გამოფენა - მარადისობის გზა გაიმართა. გამოფენა მიეძღვნა დიდი ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის - ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 150 წლის იუბილეს-29 სექტემბერი;

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა კავკასიური სახლის სახალხო უნივერსიტეტის 2025 წლის მსმენელთა დაჯილდოება. პროექტში ჩართულები იყვნენ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამა ბიბლიოთეკარის სტუდენტები.

ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის ახალგაზრდობის, განათლებისა და კულტურის ცენტრთან არსებული ხატვის აკადემიის მოსწავლეთა ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენა პედაგოგ ირაკლი კეკუტიასთან ერთად.

.ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ზუგდიდის ცენტრალური ბულვარი ახალგაზრდების, წიგნების, მუსიკისა და იდეების სივრცედ გადაიქცა- 12 აგვისტოს;

.პროექტი - გავუხანგრძლივოთ წიგნებს სიცოცხლე -27 თებერვალი. პროექტის ფარგლებში ხდებოდა დაზიანებული წიგნების რესტავრაციის სწავლება და წიგნების განახლების პროცესში მონაწილეობა, ეს აქტივობა ასევე სისტემატიურად ხორციელდებოდა ბიბლიოტურების დროს.

ლაშქრობა განხორციელდა სენაკის მუნიციპალიტეტში: მხეთის ციხის მონახულებით დაიწყო, ძველი სენაკის საჯარო სკოლა, სადაც სწავლობდნენ: სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, პეტრე ქავთარაძე, ვარლამ თოფურია, კონსტანტინე გამსახურდია და მისი ძმა. ბეთლემში ლაშქრობის სათავგადასავლო ნაწილი გაგრძელდა თოკების პარკითა და ზიპლაინით, მოინახულეს დედამოკას თერმული წყლების ადგილიც, ნოქალაქევი-22 აგვისტო;

ზუგდიდის ამერიკული კუთხეში აქტიურად ტარდებოდა სხვადასხვა მიმართულების შეხვედრები, ფუნქციონირებდა კლუბები.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

2025-2026 წწ სამსახურმა პროგრამებში დანერგა გარკვეული სიახლეები და განახორციელა რამდენიმე პროგრამის ცვლილება:

- სოციალურად დაუცველ ოჯახებს 1-ლი და მე-2 შვილის შეძენისას გაეწვათ ვაუჩერული დახმარება ბავშვის მოვლის და ჰიგიენის საშუალებებისათვის 500 ლარის ოდენობით.
- ამოქმედდა შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა.
- დევნილათა ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიზარდა 100-დან 200 ლარამდე.
- მომვლელის საჭიროების მქონე პირთა ყოველთვიური დახმარება გაიზარდა 100-დან 200 ლარამდე.
- მარტოხელა მშობლის ყოველთვიური დახმარება გაიზარდა 50-დან 100 ლარამდე.
- 2026 წელს დაიწყო ფილტვის კიბოს ადრეული სტადიაზე გამოვლენის ქვეპროგრამა- მაღალი რისკის მქონე 50- დან 70- წლის ჩათვლით მაღალი რისკის მქონე პირებისთვის.

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება

საანგარიშო პეირიოდში, მუნიციპალური სოციალური პროგრამებით ისარგებლა **4 364** მოქალაქემ, რაზეც გაიხარჯა 1 835 000 (ერთი მილიონ რვაასოცდათოთხმეტი ათასი) ლარი, რომელიც პროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

- **სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა: დაკმაყოფილდა 725 ბენეფიციარი, გაიხარჯა 313 800 (სამასცამეტი ათას რვაასი) ლარი -** ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები 300 ბენეფიციარი (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული პირები, მარტოხელა, უმუშევარი პენსიონერები, შშმ პირები და სხვა) უზრუნველყოფილ იქნა ცხელი სადილით ყოველდღიურად. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოფელში მცხოვრებ განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობების მქონე 425 ოჯახს (შშმ პირები, მარტო მცხოვრები მოხუცები და ა.შ) გადაეცა საკვები პროდუქტების ნაკრები ერთჯერადად.
- **ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 9 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 38 800 (ოცდათვრამეტი ათას რვაასი) ლარი, კერძოდ:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანთა კავშირისთვის ყოველთვიური სუბსიდია -2 665 (ორი ათას ექვსასსამოცდახუთი) ლარი, ომის მონაწილის გარდაცვალებისას სარიტუალო ხარჯებისთვის ოჯახის დახმარება 300 (სამასი) ლარი. 2008 წლის აგვისტოს თვეში ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად დაღუპული პირების ოჯახების დახმარება 1000 (ერთი ათასი) ლარი და 9 მაისთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან გათანაბრებული პირების დახმარება 200 (ორასი) ლარით.
- **ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 187 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 53 000 (ორმოცდაცამეტი ათასი) ლარი,** კერძოდ: მრავალშვილიანი ოჯახებისათვის - 18 წლამდე ასაკის 4 ბავშვზე - 200 ლარი; 5 ბავშვზე - 300 ლარი და ა.შ; პირველი-მეორე შვილის შეძენისას სოციალურად დაუცველი ოჯახების ვაუჩერული დახმარება (სარეიტინგო ქულა 65001-ზე ნაკლები) - 500 ლარი; ტყუპის შეძენისას - 1000 ლარი; დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით; ქალთა მიმართ ან/და ოჯახში

ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100-800 ლარამდე.

- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 862 მოქალაქემ, რისთვისაც გაიხარჯა 166 200 (ასსამოცდაექვსი ათას ორასი) ლარი, კერძოდ:** 18 წლამდე ასაკის შშმ და მძიმე ქრონიკული ავადმყოფობის მქონე ბავშვების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარი, სმენა და მხედველობადაქვეითებული, ასევე მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირებს კომუნალური გადასახედების თანადაფინანსებისთვის ფულადი დახმარება 25-25 ლარი 4 თვის მანძილზე. მოვლის საჭიროების მქონე პირთა (შშმ პირები (მწოლიარე ან ეტლით მოსარგებლე), სოციალურად დაუცველი ოჯახები (სარეიტინგო ქულა 65001-ზე ნაკლები)) დაფინანსება ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარით. „თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისი“-ს ფარგლებში სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილობის უზრუნველყოფა.
- **მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 330 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 100 700 (ასი ათას შვიდასი) ლარი.** მარჩენალდაკარგულ ოჯახებს, გაეწიათ ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულს 200 (ორასი)ლარის ოდენობით. მარტოხელა მშობლის ყოველთვიური დახმარება - 100 (ასი) ლარის ოდენობით;
- **ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა: ისარგებლა 49 მოქალაქემ, რისთვისაც გაიხარჯა 14 600 (თოთხმეტი ათას ექვსასი) ლარი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 100 წელს გადაცილებულ პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით, სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) ადგილობრივ გარდაცვლილ ბენეფიციართა ოჯახისთვის - ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარი. მარტოხელა და მარტომცხოვრებ ხანდაზმულებს მიეწოდათ შინმოვლის სერვისი.

- **სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა ბიუჯეტი: გახარჯულია 92 000 (ოთხმოცდათორმეტ ათასი) ლარი -** დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანი ოჯახების, 100 წელს გადაცილებული პირების, მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების, განსაკუთრებით შეჭირვებული ოჯახების მხარდაჭერა (შობა - ახალი წელი და აღდგომა) საკვები პროდუქტებით, რომელიც მიიღო **550 ოჯახმა.** შშმ პირთა და ხანდაზმულთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა.
- **ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა: ისარგებლა 225 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 145 100 (ასოორმოცდახუთი ათას ასი) ლარი. კერძოდ:** ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების და პერიტონეალური დიალიზის პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხარჯების თანადაფინანსება: თითოეულს თვეში 100 - 150 (ასი-ასორმოცდაათი) ლარი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პერიტონიალური დიალიზის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისთვის, რომლებიც სერვისის მისაღებად

გადაადგილებიან სხვა მუნიციპალიტეტის სამედიცინო ცენტრებში - ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება თვეში თითოეულს - 200 (ორასი) ლარი; სოციალურად დაუცველი სტუდენტების (სარეიტინგო ქულით 65001-ზე ნაკლები), მგზავრობის ხარჯების თანადაფინანსება წელიწადში ერთხელ 200 (ორასი) ლარი; სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი დღის ცენტრების ქვეპროგრამაში ჩართული შშმ ბავშვების თანმხლებ პირთა ტრანსპორტირების თანადაფინანსება.

- **სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა: ისარგებლა 294 მოქალაქემ, რისთვისაც გაიხარჯა 345 200 (სამასორმოცდახუთი ათას ორასი) ლარი,** კერძოდ: ხანძრის შედეგად დაზარალებული უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება - 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე. დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება - 3000 (სამი ათასი) ლარამდე. მეწყრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე - 500 (ხუთასი) ლარი. უსახლკაროდ დარჩენილი, ყველაზე მძიმე ეკონომიურ პირობებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების (სარეიტინგო ქულა 65001-მდე), ბინის ქირით უზრუნველყოფა - თითოეულ ოჯახზე 200 (ორასი) ლარი ყოველთვიურად.
- **დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა: ისარგებლა 234 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 40 000 (ორმოცი ათასი) ლარი,** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე დევნილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება 200 (ორასი) ლარი წელიწადში ერთხელ.
- **სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფის და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამით ისარგებლა 851 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 221 000 (ორასოცდაერთი ათასი) ლარი,** კერძოდ: სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის (სარეიტინგო ქულა 35 001-ზე ნაკლები) კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება 25-25 ლარით ოთხი თვის განმავლობაში; ბუნებრივი აირის შეყვანა ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000; განსაკუთრებით მძიმე სოციალური პირობების მქონე ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა წელიწადში ერთხელ 100-500 (ასი-ხუთასი) ლარის ფარგლებში.
- **სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა:** პროგრამა მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას პროექტებში, ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობას. წარმოდგენილი პროექტების შერჩევა ხდება მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ დებულების შესაბამისად (თითო პროექტზე არაუმეტეს 5000 ლარისა) საანგარიშო პერიოდში **2** პროექტის თანადაფინანსებისთვის გაიხარჯა 10 000 (ათი ათასი) ლარი.
- **პროგრამა ,,სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“ - 29 ბენეფიციარი - გაიხარჯა 6700 (ექვსი ათას შვიდასი) ლარი.** საცხოვრისში ჩასახლებული 14 ოჯახისთვის კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება 25-25 ლარის ოდენობით ოთხი თვის განმავლობაში. ასევე საცხოვრისის ბაზაზე ხანდაზმულთა (**15 ბენფიციარი)** დღის ცენტრის ფუნქციონირების ფინანსური მხარდაჭერა.

- **უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა: გაიხარჯა 286 900 (ორასოთხმოცდექვსი ათას ცხრაასი) ლარი -** დასრულდა 3 საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება

საანგარიშო პერიოდში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით ისარგებლა **3 035-მა** მოქალაქემ, რომელთაც საერთო ჯამში დაუფინანსდათ **1 895 114.35** (ერთი მილიონ რვაას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ას თოთხმეტი ლარი და ოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება.

დაფინანსებული მომსახურებები ქვეპროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად :

- **ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია) თანადაფინანსება გაეწია 962** მოქალაქეს. გაიხარჯა - **292 107.00** (ორას ოთხმოცდათორმეტი ათას ას შვიდი) ლარი.

- **პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფიაზე,** თანადაფინანსება გაეწია **24** მოქალაქეს. გაიხარჯა - **23 200.00** (ოცდასამი ათას ორასი) ლარი.

- **სტაციონარული სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) თანადაფინანსება/ დაფინანსება გაეწია 180** მოქალაქეს. გაიხარჯა - **126 401.46** (ას ოცდაექვსი ათას ოთხას ერთი ლარი და ორმოცდაექვსი თეთრი) ლარი.

- **აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში** ჩართულია **195** ბავშვი. გაიხარჯა - **1 015 686.00** (ერთი მილიონ თხუთმეტი ათას ექვსას ოთხმოცდაექვსი) ლარი.

- **სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე 0-18 წლამდე 272** ბავშვს გაეწია სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსება. გაიხარჯა - **102 440.00** (ას ორი ათას ოთხას ორმოცი) ლარი.

- **იშვიათი დაავადებების (ცელიაკია /ფენილკეტონურია/მუკოვისციდოზი) მქონე პირების სპეციალიზირებული საჭმების შესაძენი თანხით უზრონველყოფის ქვეპროგრამით** ისარგებლა **4-მა** მოქალაქემ. ჯამში ქვეპროგრამაზე გაიხარჯა -**21 000.00** (ოცდაერთი ათასი) ლარი.

- **ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსება** გაეწია - **502** მოქალაქეს. გაიხარჯა - **117 782.39** (ას ჩვიდმეტი ათას შვიდას ოთხმოცდაორი ლარი და ოცდაცხრამეტი თეთრი) ლარი.

- **პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის, დამხმარე საშუალებებისა და სხვა ნივთების შესაძენი თანხით უზრუნველყოფა** (ყოველთვიურად არაუმეტეს 200 (ორასი) ლარი) - ისარგებლა **28** მოქალაქემ. გაიხარჯა - **64 600.00** (სამოცდაოთხი ათას ექვსასი) ლარი.

- **განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებებით,** (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) დაფინანსებაზე ისარგებლა **15-მა** მოქალაქემ. გაიხარჯა - **4 499.00** (ოთხი ათას ოთხას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი.

- **18 წელს ზემოთ შშმ პირების სარეაბილიტაციო მკურნალობაზე,** ისარგებლა **6**-მა მოქალაქემ. გაიხარჯა - **2 960.00** (ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარი.

- **კოხლეარული იმპლანტის მქონე ან მაღალი ხარისხის (III-IV) სმენადაქვეითებული ნაოპერაციევი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვების სასმენი აპარატის/პროცესორის ღირებულების თანადაფინანსება -** თითოეულ ბავშვზე მაქსიმალური ლიმიტი 15 000.00 (თხუთმეტი ათასი) ლარი წელიწადში ერთხელ. ისარგებლა **1-მა** ბავშვმა, რაზეც გაიხარჯა **-15 000.00** (თხუთმეტი ათასი) ლარი.

- **0-18 წლამდე კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვებისთვის, იმპლანტის დამხმარე საშუალების შესაძენი თანხით უზრუნველყოფა -** (მაქსიმალური ლიმიტი 600 (ექვსასი) ლარი) - ისარგებლა **2-მა** მოაქალაქემ. გაიხარჯა - **1 198.50** (ერთი ათას ას ოთხმოცდათვრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი.

- **ძვირადღირებული თერაპიის საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამა** - ისარგებლა **400-მა** მოქალაქემ (თითოეულს ერთჯერადად 200.00 (ორასი) ლარი). გაიხარჯა - **80 000.00** (ოთხმოცი ათასი) ლარი.

- **ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამაში ჩაერთო 262** მოქალაქე. გაიხარჯა - **15 500.00** (თხუთმეტი ათას ხუთასი) ლარი.

- **ფილტვის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამით ისარგებლა 182-მა** მოქალაქემ. გაიხარჯა **- 12 740.00** (თორმეტი ათას შვიდას ორმოცი) ლარი.

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით, შუამდგომლობა გაეწია - **737** მოქალაქეს.

ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება

2020 წლის 1 სექტემბრიდან მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში ფუნქციონირებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, ხოლო 2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ამ მიმართულების მუნიციპალური პროგრამები, რომლითაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ისარგებლა 195-მა არასრულწლოვანმა. დაფინანსება გადანაწილდა შემდეგნაირად:

სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა:

ისარგებლა 95-მა ბენეფიციარმა (45 ოჯახი)- გახარჯულია 44 000 (ორმოცდაოთხი ათასი) ლარი.

ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამა:

ქვეპროგრამის ფარგლებში აღინიშნა დაუნის სინდრომის (21 მარტი), აუტიზმის ცნობადობის ამაღლების (2 აპრილი), ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე (1 ივნისი), რისთვისაც გახარჯულია სულ - 2 900 (ორი ათას ცხრაასი) ლარი.

სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების ქვეპროგრამა:

- **აქვა-თერაპიის** მომსახურებით ისარგებლა 10 ბავშვმა, რაზეც გახარჯულია 16 530 (თექვსმეტი ათას ხუთას ოცდაათი) ლარი.
- **ინგლისური ენის** შემსწავლელი წრეების დაფინანსებისთვის 30 ბავშვის მომსახურებაზე გაიხარჯა 13 000 (ცამეტი ათასი) ლარი.

განყოფილება აქტიურად მუშაობს მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების კუთხით. საანგარიშო პერიოდში სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 63 ვიზიტი, რომლის შედეგადაც სხვადასხვა საჭიროების მქონე 28 ბავშვიანი ოჯახი (70 ბავშვი) ჩართულ იქნა შესაბამის მუნიციპალურ პროგრამებში, ამასთან, 10 ოჯახი (23 ბავშვი) გადამისამართებულ იქნა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში მათთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად.

გარდა ამისა, განყოფილება აქტიურად მუშაობს ოჯახების გაძლიერებისა და მშობლების ინფორმირებულობის გაზრდის კუთხით.

2024 წლიდან განყოფილება ახორციელებს 6 სესიისგან შემდგარ საგანმანათლებლო ტრენინგ-მოდულს მშობლებისთვის თემაზე: ,,პოზიტიური მშობლობა“. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტრენინგების 2 ციკლი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამებით მოსარგებლე 13-მა მშობელმა (დედები). ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები. ტრენინგი მიზნად ისახავს ინფორმირებულობის დონის ამაღლებას მშობლობისა და ბავშვის საჭიროებების ძირითად საკითხებთან დაკავშირებით. ტრენინგების ახალი ციკლი დაგეგმილია მ/წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“

2025 წლის 01.11-დან 2026 წლის 01.11-მდე საანგარიშგებო პერიოდში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში სასწრაფო და რუტინული შეტყობინების საფუძველზე დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დზეი) დარეგისტრირებული იქნა ინფექციური დაავადებების 1462 შემთხვევა. ტუბერკულოზზე საეჭვო 830 შემთხვევა, რომელთა შორის აქტიური ტუბერკულოზი მგბ(+) დაუდასტურდა 10-ს, მგბ(-) 20 მათ შორის რეზისტენტული ტუბერკულოზის (RR/MDR) დაუდგინდა 3 პაციენტს, ინფექციის კერებში 93 კონტაქტირებულ პირს ჩაუტარდა სკრინინგული კვლევა, დამყარდა მეთვალყურეობა აქტიური ტუბერკულოზის გამოვლენის მიზნით.

ტუბერკულოზით დაავადებული „შეწყვეტილი მკურნალობის ან ცუდი დამყოლობის“ მქონე ბენეფიციარი არ დაფიქსირებულა. მართვადი ინფექციებიდან რეგისტრირებულია ყივანახველას 2 შემთხვევა, აღებული იქნა სისხლი ლაბორატორიული დიაგნოსტირებისათვის 2 შემთხვევიდან ირივე შემთხვევა უკუგდებულ იქნა, გამოვლენილ კერებში ჩატარდა ეპიდკვლევა იმუნიზაციის სტატუსის დადგენის მიზნით, შეივსო ეპიდკვლევის ბარათი, გადაეცა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს და შეტანილ იქნა დაავადების ელექტრონულ ინტეგრირებულ სისიტემაში.

ზუგდიდის 27 სამედიცინო დაწესებულებასა და სოფლის 29 ამბულატორიაში ჩატარდა 55 გეგმიური მონიტორინგი ეპიდზედამხედველობაზე, შეივსო შესაბამისი ფორმები. დაწესებულების ნაწილს მიეცა შენიშვნები ინფექციური დაავადებების აღრიცხვინობის არასწორი წარმოების გამო, მიეცათ შესაბამისი ვადები ხარვეზების აღმოსაფხვრელად, გადამოწმების შემდეგ ხარვეზები აღმოფხვრილი იქნა.

საანგარიშგებო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ანტირაბიული ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები ხორციელდებოდა დაგეგმილად, კოორდინირებულად და არსებული სტანდარტების შესაბამისად. განხორციელებული ღონისძიებების მთავარი მიზანი იყო პოსტექსპოზიციური ანტირაბიული მკურნალობის მიმღებ პაციენტთა შორის ჰიდროფობიის შემთხვევების ნულოვანი მაჩვენებლის შენარჩუნება, რაც სრულად იქნა მიღწეული.

ანტირაბიული პროფილაქტიკის ეფექტიანობის ძირითად ღონისძიებების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კლინიკებისთვის ანტირაბიული ვაქცინებისა და იმუნოგლობულინების უწყვეტ მიწოდებას, სტრატეგიული მარაგების არსებობასა და ანტირაბიული მომსახურების სისტემატურ მონიტორინგს. პარალელურად მიმდინარეობდა დაზარალებულ პირთა სრულყოფილი აღრიცხვა და ცხოველის მიერ დაკბენა/დადორბლის შემთხვევებზე სასწრაფო შეტყობინებების დროული გადაცემა შესაბამის სტრუქტურებთან.

საანგარიშგებო პერიოდში დაფიქსირდა **2 720** შეტყობინება ცხოველის მიერ დაკბენა/დადორბლის შემთხვევებზე. ანტირაბიული მკურნალობა დაენიშნა **2720** პირს. მათგან სრული კურსი **889** პირმა დაასრულა, პირობითი კურსი **1831** პირმა, ხოლო **133** პირმა მკურნალობა შეწყვიტა. მკურნალობის შეწყვეტის თითოეულ შემთხვევაზე დამყარდა აქტიური ეპიდზედამხედველობა, ჩატარდა ინდივიდუალური შეფასება და განხორციელდა შესაბამისი რეაგირების ღონისძიებები.

2025 წლის 1 ნოემბრიდან 2026 წლის 10 ოქტომბრამდე ზუგდიდის ტერიტორიაზე სულ განხორციელდა 10039 აცრა. მ.შ გეგმიური 9209: ბცჟ ვაქცინაცია ჩაუტარდა 615

ახალშობილს; ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო 623 -ს, იმუნიზაცია ჰექსაქციმით (6 ვალენტიანი ვაქცინა) ჩატარდა 1326 აცრა, ტეტრაქსიმით(18 თვ;5 წლის ასაკში)1432, წითელა-წითურა-ყბაყურის საწ. 1, 2 დოზით აიცრა 1289 ბავშვი, როტა 1, 2 დოზით- 747, პნევმოკოკით 1316, აპვ ვაქცინით-1101, ტდ ვაქცინით-760 აცრა და არაგეგმიური 830 აცრა(აპვ გოგონები 13-45 წ-172 აცრა, აპვ ბიჭები 13-26 წ- 85 აცრა,პნევმოკოკი 60 წლ >8 აცრა), ბ -ჰეპატიტი 565(სამედიცინო პერსონალი და C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირები).

ჰოსპიტალიზებულ პაციენტთა რაოდენობამ შეადგინა 9 864, მათ შორის რესპირატორული ინფექციის გართულებით 866. ასევე, ხორციელდება 29 საექიმო ამბულატორიიდან და 18 სამედიცინო დაწესებულებიდან ყოველკვირეული ინფორმაციის მიღება ამბულატორიული მომართვიანობის შესახებ, მათ შორის გრიპის და გრიპისმაგვარი დაავადებების შესახებ.

ქალაქის 30, რაიონის 69 და 18 კერძო ბავშვთა დაწესებულებაში ჩატარდა 114-მონიტორინგი სკოლამდელ დაწესებულებაში, რომელიც ტარდებოდა ცენტრის მიერ შემუშავებული გეგმა- გრაფიკით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მონიტორინგი 68 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის 7 კერძო სკოლაში. შემოწმდა სანიატიული-ჰიგიენური ნორმები გაიცა სათანადო რეკომენდაციები და ეცნობა რესურსცენტრს.

პრევენციული ღონისძიებები გატარდა ანაკლია, განმუხური ადმინისტრაციული ერთეულებში კარდაჯარის პრინციპით და ქალაქის ტერიტორიაზე ენტომოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით, ღონისძიება განხორციელდა 2 ეტაპად, სულ ჩატარდა 1 160 000 კვმ ფართობის საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების დეზინსექცია.

პირველადი შერჩევითი შემოწმება-მონიტორინგი ჩაუტარდა 92 ინდ. მეწარმე ბიზნეს ოპერატორს. მეორადი შემოწმება-მონიტორინგი 24, აგრეთვე ორ ბიზნეს-ოპერატორზე შევსებულ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, (43^2 მუხლის შესაბამისად) მონიტორინგის პროცესში მემოწმებულ იქნა 60 სტილისტი, 2 მანიკურ-პედიკურის, 1 ტატუსა და 1 ელექტროლიზისის სპეციალისტები.

სულ ჯამურად საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარებული სკრინინგის რაოდენობა არის HCV-543(მათ შორის დადებითი-3 შემთხვევა). HIV-543 (დადებითი-0), HBV-386 (მათ შორის დადებითი შემთხვევა -7).

საზედამხედველო ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სტომატოლოგიურ კაბინეტებში ჩატარდა 46 მონიტორინგი.

ზუგდიდის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი აქტიურ მონაწილეობას იღებს საერთაშორისო დღეების აღნიშვნაში. იქმნება და იბეჭდება საინფორმაციო ბუკლეტები, რომლებიც ვრცელდება საზოგადოების თავშეყრის ადგილებსა თუ სხვადასხვა დაწესებულებებში. ასევე ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებებში გაერთიანება და წვლილის შეტანა მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის თვალსაზრისით.

პროგრამულ კოდზე 060101- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება შესრულდა: **ა) მუნიციპალური ბიუჯეტის ფარგლებში 520900.90 ლარის** (ხუთას ოცი ათას ცხრაასი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ღირებულების სამუშაოები; **ბ) საკუთარი სახსრების ბიუჯეტის ფარგლებში** - 1008,63 ლარი (ერთი ათას რვა ლარი და სამოცდასამი თეთრი) - გამოიყო შტატით მომუშავეთა ანაზღაურებაზე.

ზედამხედველობის სამსახური

1. ექსპლუატაციის განყოფილება

აღნიშნული პერიოდისათვის ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით მერიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე განახლდა ინფორმაციული ელექტრონული ბაზა, სადაც რეგისტრირებული ხელშეკრულებების რაოდენობა შეადგენს 277 (ორასსამოცდაჩვიდმეტი).

აქედან დასრულებული ხელშეკრულებების რაოდენობაა - 184 (ასოთხმოცდაოთხი), მათ შორის:

1) სოფლის მხარდაჭერის პროგრამით - 39 (ოცდაცხრამეტი);

2) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული - 23 (ოცდასამი);

3) ადგილობრივი - 39 (ოცდაცხრამეტი);

4) სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები - 25 (ოცდახუთი);

5) სამოქალაქო - 35 (ოცდათხუთმეტი);

6) დელეგირებული (სკოლები) - 23 (ოცდასამი) ხელშეკრულება.

მიმდინარე ხელშეკრულებების რაოდენობაა 93 (ოთხმოცდაცამეტი), მათ შორის:

1) სოფლის მხარდაჭერის პროგრამით - 30 (ოცდაათი);

2) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (მათ შორის გამყოფი ხაზი/საზღვრის პირა და ქალაქის ქუჩები) - 34 (ოცდათოთხმეტი);

3) ადგილობრივი - 11 (თერთმეტი);

4) სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები - 9 (ცხრა);

5) დელეგირებული (სკოლები) - 9 (ცხრა) ხელშეკრულება.

განხილულ იქნა და მომზადდა აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაცია და გადაეგზავნა სათვინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს.

50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარზე მეტი ღირებულების პროექტები გადაეცა საზედამხედველო კომპანიას - შპს „ექსპერტ ჰაუსს“ და მომზადდა აღნიშნულთან დაკავშირებული წერილები.

აყვანილ იქნა კონტროლზე აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად განსაზღვრული ვადები; ავანსის გარანტიის ვადები; ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადები; ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ვადები; 1 წლის ვადით დაკავებული 2,5% ვადები; შესრულებულ სამუშაოებზე საგარანტიო ვადები.

ვადაგადაცილებით შესრულებულ სამუშაოებზე შედგა სათანადო დოკუმენტაცია და მასალა გადაეგზავნა იურიდიულ განყოფილებას შესაბამისი რეაგირებისათვის (მათ შორის შესაწყვეტ ხელშეკრულებებზე; ასევე, საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის), რის შემდეგაც განხორციელდა საჭირო პროცედურები. საჯარიმო თანხამ აღნიშნული პერიოდისათვის ჯამში შეადგინა 439 981,75 (ოთხასოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაერთი ლარი და 75 თეთრი) ლარი.

განხილულ იქნა და მომზადდა სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში და ხელშეკრულებებში შესაბამისი ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაცია;

მიეწოდა ინფორმაცია სხვადასხვა სამსახურს (მათი საჭიროებების მიხედვით), ობიექტებზე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია; აგრეთვე, დაფინანსების წყაროების მიხედვით დარჩენილი ნაშთების (სახელშეკრულებო ღირებულებას და ფაქტიურ ღირებულებას შორის სხვაობა) შესახებ;

ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 41 (ორმოცდაერთი) მშენებლობადამთავრებული ობიექტი, რისთვისაც განხორციელდა შესაბამისი პროცედურები.

აღნიშნული პერიოდისათვის ყველა შემოსულ კორესპონდენციას გაეცა დროული და სათანადო პასუხი.

შენიშვნა – ანგარიში ასახავს როგორც 2026 წლის 1 აგვისტომდე მოქმედი საორგანიზაციო განყოფილების მიერ შესრულებულ ინფრასტრუქტურული პროექტების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს, ისე რეორგანიზაციის შემდგომ ექსპლუატაციის განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. წარმოდგენილი მაჩვენებლები ერთიან საანგარიშო პერიოდს ეხება და არ წარმოადგენს მხოლოდ ახალი განყოფილების მიერ რეორგანიზაციის შემდეგ შესრულებულ სამუშაოებს.

2. მონიტორინგის განყოფილება

საანგარიშო პერიოდში სამშენებლო ინსპექტირებისა და მონიტორინგის ფუნქციის ფარგლებში კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტების რაოდენობამ შეადგინა 277 (ორასსამოცდაჩვიდმეტი).

აქედან დასრულებულია 184 (ასოთხმოცდაოთხი), მათ შორის:

1) სოფლის მხარდაჭერის პროგრამით - 39 (ოცდაცხრამეტი);

2) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული - 23 (ოცდასამი);

3) ადგილობრივი - 39 (ოცდაცხრამეტი);

4) სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები - 25 (ოცდახუთი);

5) სამოქალაქო - 35 (ოცდათხუთმეტი);

6) დელეგირებული (სკოლები) - 23 (ოცდასამი) ხელშეკრულება.

მიმდინარე ხელშეკრულებების რაოდენობაა 93 (ოთხმოცდაცამეტი), მათ შორის:

1) სოფლის მხარდაჭერის პროგრამით - 30 (ოცდაათი);

2) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (მათ შორის გამყოფი ხაზი/საზღვრის პირა და ქალაქის ქუჩები) - 34 (ოცდათოთხმეტი);

3) ადგილობრივი - 11 (თერთმეტი);

4) სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები - 9 (ცხრა);

5) დელეგირებული (სკოლები) - 9 (ცხრა) ხელშეკრულება.

სამუშაოებზე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების კონტროლის შედეგად დაფიქსირებული ვადების დარღვევისათვის და აგრეთვე, საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის შედგა სათანადო დოკუმენტაცია, რომელიც გადაეგზავნა მერიის შესაბამის სამსახურებს და შედეგად მიმწოდებელ კომპანიებს დაეკისრა ჯარიმა, რომლის ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 439 981,75 (ოთხასოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაერთი ლარი და 75 თეთრი);

განხილულ იქნა ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული საკითხები, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, აუცილებლობიდან გამომდინარე;

საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ექსპლუატაციის პერიოდში (საგარანტიო პერიოდი), ობიექტების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად ჩატარდა საჭირო პროცედურები;

ასევე გაწეულ იქნა კონტროლი იმ ობიექტებზე, რომლებზეც ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს საზედამხედველო კომპანია - შპს „ექსპერტ ჰაუსი“.

მიეწოდა ინფორმაცია მერიის სამსახურებს, მათი საჭიროებიდან გამომდინარე, ობიექტებზე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ (მათ შორის შუალედურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის პროცენტული მაჩვენებელი);

განყოფილებაში შემოსულ ყველა კორესპონდენციას გაეცა დროული და სათანადო პასუხი.

შენიშვნა – განყოფილების შედეგებში ასახულია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამშენებლო ინსპექტირებისა და მონიტორინგის შესაბამისი ფუნქციების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები, მათ შორის რეორგანიზაციამდე განხორციელებული საქმიანობა. 277 ობიექტი და 439 981,75 ლარის საჯარიმო თანხა იგივე საერთო საანგარიშო მაჩვენებლებია, რომლებიც ექსპლუატაციის განყოფილების ნაწილშიც ფიგურირებს; ისინი არ უნდა დაჯამდეს, როგორც დამოუკიდებელი შედეგები.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განყოფილება

საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ იქნა 15 (თხუთმეტი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომლებზეც შედგა შესაბამისი ოქმები, კერძოდ:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის I ნაწილით – 1 ოქმი; 55² მუხლით – 4 ოქმი; 148-ე მუხლის II ნაწილით – 1 ოქმი; 55⁶ მუხლით – 6 ოქმი; 150¹ მუხლის III ნაწილით – 3 ოქმი. სულ – 15 ოქმი.

გამოვლენილ იქნა უნებართვო მშენებლობის 34 (ოცდათოთხმეტი) შემთხვევა (შესაბამისი სამართალდარღვევებიდან შემოსული თანხა – 119 000 ლარი) და სანებართვო პირობების დარღვევის 17 (ჩვიდმეტი) შემთხვევა (შემოსული თანხა – 44 800 ლარი).

ავარიულ და გამხმარ მდგომარეობაში მყოფი ხეებისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების კომისიამ განიხილა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებები, რომლებსაც გაეცა სათანადო პასუხი.

საანგარიშო პერიოდში განყოფილებაში შემოსულ კორესპონდენციებს გაეცა სათანადო პასუხები.

განყოფილება ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებდა ზედამხედველობასა და კონტროლს შემდეგ მიმართულებებზე:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქალაქო მეურნეობის კეთილმოწყობის, გარე იერსახის, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის, გარე ვაჭრობის და ავტოტრანსპორტის პარკირების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების,

დადგენილებების, ბრძანებების, განკარგულებების, ინსტრუქციებისა და წესების შესრულებაზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა სახის სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე და აღნიშნულ საქმიანობაზე, დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე.

სანებართვო პირობების დარღვევით მშენებარე ობიექტების მშენებლობის შეჩერებასთან, დემონტაჟთან და შესაბამისი საჯარიმო სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

რეკლამის, აბრის განთავსების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე, მათ დადგენილ წესებთან შესაბამისობაში მოყვანაზე. აგრეთვე, რეკლამაზე, აბრაზე სახელმწიფო ენის დაცვის მოთხოვნებისა და ტრანსლიტერაციის შესაბამისობაზე.

უკანონო, უსახური და ამორტიზებული ჯიხურების, პავილიონების, მცირე არქიტექტურული ფორმის მანქანა-დანადგარების, დახლების, სხვადასხვა კონსტრუქციების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, აბრების, ათიშების, პლაკატებისა და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენაზე, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელებაზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე.

ხეების და მწვანე ნარგავების გეგმაზომიერ განვითარებაზე, მათ მოჭრაზე, ამოძირკვაზე და დაზიანებაზე.

მშენებარე შენობა-ნაგებობების საპროექტო, ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტაციებთან შესაბამისობაზე.

უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ კომისიაზე დოკუმენტების მომზადებაზე.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში(წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე) სათანადო დოკუმენტაციის მომზადებასა და საჭირო პროცედურების განხორციელებაზე.

კანონმდებლობით დადგენილი წესით წესრიგის დაცვას მშენებლობის დაწყებასა და მის დასრულებაზე.

არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებასა და კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებაზე.

შენიშვნა – საანგარიშო პერიოდის შედეგებში გათვალისწინებულია რეორგანიზაციამდე მოქმედი რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოები. რეორგანიზაციის შედეგად შესაბამისი მიმართულების საქმიანობა ანგარიშში წარმოდგენილია ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა განყოფილების სათაურით. მონაცემები მოიცავს მთლიან საანგარიშო პერიოდს.

ადმინისტრაციული სამსახური

წარმოდგენილი ანგარიში ასახავს ადმინისტრაციული სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის ძირითად შედეგებს. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული რეფორმები და მართვის თანამედროვე მიდგომები მიზნად ისახავდა სამუშაო პროცესის ოპტიმიზაციასა და მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს კვლავაც წარმოადგენდა მომსახურების ხარისხის ამაღლება, ღიაობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და საზოგადოების აქტიური ჩართულობა.

კანცელარიის განყოფილება უზრუნველყოფს შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციას, ასევე გასაგზავნი კორესპონდენციების ადრესატებისთვის მიწოდებას მათთვის სასურველი ფორმით (ელ. ფოსტა, ფოსტა თუ სატელეფონო ზარით შეტყობინება), გარდა ამისა განყოფილება უწევს კონსულტაციას მოქალაქეებს წარმოსადგენ განცხადებებთან დაკავშირებით და ახორციელებს მერიაში მატერიალური სახით წარმოდგენილ, რეგისტრაციას დაქვემდებარებული სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებების რეგისტრაციას.

კანცელარიის თანამშრომელი იმავდროულად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური პირის ცხოვრების ფაქტის დამდგენი კომისიის მდივანია, არქივზე პასუხისმგებელი პირიც ამავე განყოფილების თანამშრომელია, რომლის ძალისხმევითა და მერიის შესაბამისი სამსახურების ხელშეწყობით მოწესრიგებულია დოკუმენტაციის დამუშავებისა და დაარქივების პროცესი.

მერიის შინაგანაწესში შევიდა ცვლილება და კანცელარიის თანამშრომლებისთვის დაინერგა შესვენების განსხვავებული, მცოცავი გრაფიკი, რამაც მოქალაქეებს მისცა საშუალება დღის მანძილზე ჰქონოდათ უწყვეტი წვდომა მერიის სერვისებზე სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით.

ასევე შემუშავდა მომსახურების შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის კითხვარი, რომელიც განთავსდა მოქალაქეთა მისაღებ სივრცეში.

სტატისტიკური ინფორმაცია:

• შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა: 13 264:
• გასული კორესპონდენციის რაოდენობა: 10 692;
• ადმინისტრაციული ხელშეკრულებები: 864;
• შრომითი ხელშეკრულებები: 8, ცვლილება -101;
• ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები: 21, ცვლილება- 7;
• მემორანდუმი: 1, ცვლილება -1.

ადმინისტრაციული სამსახურის **სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება** უზრუნველყოფს მერიაში მომზადებული სამართლებრივი აქტების, პროექტების, ხელშეკრულებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების და სხვა დოკუმენტების სამართლებრივ გამართულობას, მათი შესაბამისობის კონტროლს მოქმედ კანონმდებლობასთან, მუნიციპალიტეტის ნორმატიულ და სამართლებრივ აქტებთან; განყოფილება იცავს მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების სასამართლოებში, სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში.

განყოფილების თანამშრომლები, მიმაგრებულები იყვნენ დარგობრივად მერიის სამსახურებისთვის, უწევდნენ მათ კონსულტაციას და აქტიურად მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტში მოქმედ ყველა კომისიაში, საბჭოსა და სამუშაო ჯგუფში.

განყოფილება კონსულტაციას უწევდა მერიის დაქვემდებარებაში შემავალ ყველა შპს-სა და ა(ა)იპ-ის, სტრუქტურულ ერთეულებს, საჯარო მოსამსახურეებს და მერის წარმომადგენლებს. სისტემატიურად ეხმარებოდა მოქალაქეებს ისეთი ტიპის საკითხებში, როგორიცაა: ქონებრივი დავა, განქორწინება, კერძო საკუთრების დარეგისტრირება, პირადი საბუთების მოწესრიგება და სხვა.

განყოფილებამ საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო წინა წლების მიმდინარე 15 და 2026 წელს დაწყებულ 4 პროცესში, ასევე საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ მომზადდა სხვადასხვა ტიპის ბრძანებების და დადგენილებების პროექტები, მათ შორის 64 ბრძანება მეწარმეებისათვის პირგასამტეხლო თანხების დაკისრებისა და ხელშეკრულებების შეწყვეტის თაობაზე.

სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება ახორციელებდა თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ მომსახურებას. განყოფილების სპეციფიკიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე ჩართული იყო ყველა სტრუქტურის ფუნქციური პრობლემების გადაჭრასა და მოგვარებაში.

2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 01 ოქტომბრამდე შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა შეადგენს 184, გასული კორესპონდენციის რაოდენობა შეადგენს 147, შიდა კორესპონდენციის რაოდენობა შეადგენს 352 ვიზა დადებული დოკუმენტების რაოდენობა 3011.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ხელმძღვანელობს პრინციპებით, რომლებიც დამსახურებაზე, სამართლიანობასა და თანასწორობაზეა დაფუძნებული.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პრიორიტეტია მერიაში პროფესიონალი კადრების მოზიდვა, არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამით წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტი პროფესიული საჯარო მოხელე იღებს მონაწილეობას, რაც თავისთავად გულისხმობს მეტ კვალიფიციურ კადრს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ 2026 წლის 5 იანვრიდან - 24 თებერვლამდე შემუშავებულ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმა, რომელიც დადგენილი წესის შესაბამისად ატვირთულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე ehrms.ge -ზე.

საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები საანგარიშო პერიოდში გაიარა 156 (ას ორმოცდათექვსმეტი) მოხელემ, მათ შორის სასწავლო გეგმით დამტკიცებული (ფასიანი) საბაზისო ტრენინგ-კურსი „პიროვნული და პროფესიული უნარების განვითარება“ გაიარა ორმა მოხელემ, „მოხელის მენეჯერული უნარები“ ერთმა მოხელემ. დამატებით ტრენინგები, კერძოდ: „ეფექტიანობის აუდიტი“ - 2 პირი; „ფინანსური მართვა და კონტროლი“ - 9 მოხელემ; „ხელოვნური ინტელექტი საჯარო სამსახურში - 16 მოხელემ; „ინვენტარიზაციის პროცესის მართვა საჯარო სამსახურში“-3 მოხელემ; „ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვა /ანგარიშგების პრინციპები საჯარო სექტორში" - 5 მოხელე.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს არაერთ ორგანიზაციასთან, ტრენინგ-ცენტრებთან, სამთავრობო სექტორთან და მათი მხარდაჭერით სისტემატურად ტარდებოდა სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები, კერძოდ; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის მიერ დაგეგმილ სწავლება ტრენინგი თემაზე: „ქონების მართვა“; ამავე, ორგანიზაციის მხარდაჭერით ტრენინგი „შესყიდვები“; „ბუღალტერია“; საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის („ათეა“) ჩატარდა სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები, კერძოდ: „ბავშვზე ორიენტირებული ბიუჯეტირება“
- მეთოდოლოგია და პროგრამული ინსტრუმენტი ‘’; „გამარტივებული შესყიდვები’’; „საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის არსი, მისი განხორციელების ძირითადი პრინციპები და პროცედურა“; ,,სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებითი ცვლილებები, სიახლეები და მიმდინარე პროცესები“; „ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სამსახურში“; „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების, მათ შორის „ზიპლაინის“ მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები“; „სამუშაოს ანალიზი, პერსონალის შერჩევა და ადაპტაცია“; „სივრცითი დაგეგმარება“; „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ეფექტური კომუნიკაციის ეთიკა და ეტიკეტი“;
„მუნიციპალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მშმ პირთა ჩართულობა“; „ეთიკა და ღირებულებათა სისტემა საჯარო სამსახურში” ფინანსთა სამინისტროს ფინანსთა აკადემიის მხარდაჭერით: „ბიუჯეტირების ელექტრონული სისტემა“ და სხვ. ჯამში 2025 წელთან შედარებით 2026 წელს ტრენინგების რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 35% -ით.

საანგარიშო პერიოდში მერიაში ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა

კონკურსი 21 (ოცდაერთი) ვაკანტურ პოზიციაზე, აქედან: 8-ღია კონკურსის წესით, 16-შიდა კონკურსის წესით, 1 -დახურული კონკურსი. სულ: 25 ვაკანტურ პოზიციაზე შემოვიდა 106 (ასექვსი) განაცხადი. აპლიკანტებიდან ექვსივე ვაკანტურ პოზიციაზე გამოვლინდა გამარჯვებული.

ზუგდიდის მერია პირველივე დღიდან აქტიურადაა ჩართული პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დანერგილ სტაჟირების პროგრამის განხორციელებაში. 2026 წლის 01 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების შესაბამისად გამოცხადდა სტაჟირების კონკურსი 18 (თვრამეტი) ვაკანსიაზე. სულ სტაჟირების კონკურსზე შემოვიდა 127 (ას ოცდაშვიდი) განაცხადი. სტაჟირების კონკურსზე გამოვლინდა 9 (ცხრა) გამარჯვებული.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა 2026 წლის 29 აპრილიდან 10 ივლისის ჩათვლით გაიარეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკა 108 (ას რვა) საათის ოდენობით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში, ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განვითარების, მოქალაქეზე და მის საჭიროებებზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისათვის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურებში ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელებისთვის, სამსახურების მიზნებისა და ფუნქციების, საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობების ახლებური განსაზღვრისა და ჩამოყალიბებისთვის, აგრეთვე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მთლიანად ან/და ნაწილობრივ ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მაისის №ბ24. 24261338 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი. საშტატო რიცხოვნობა შემცირდა 27 ერთეულით.

2026 წლის 26 ივნისს მთავრობის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მერის ბრძანებით დამტკიცდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი დამატებითი მოთხოვნები.

ასევე, მერის ბრძანებით დამტკიცდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციები (სამუშაო აღწერილობები) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესი.

საანგარიშო პერიოდში შეფასდა, შეფასებას დაქვემდებარებული პროფესიული საჯარო მოხელეები. დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, უშუალო ხელმძღვანელებთან გასაუბრების ფორმით ჩატარდა საბოლოო შეფასება. ასევე, გამოსაცდელი ვადით მიღებულ თანამშრომლებზე გაკეთდა დანიშვნიდან კვარტალური შეფასებები. თითოეული თანამშრომელი ელექტრონულად გაეცნო შეფასების საბოლოო შედეგს.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სრულად არის დამუშავებული ყველა შემოსული კორესპონდენცია, განყოფილებაში დამუშავდა, მზადდებოდა პროექტები და გამოიცემოდა სხვადასხვა სამართლებრივი აქტები.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი აქტივობა. აღნიშნული ღონისძიებები მიზნად ისახავდა საზოგადოების დროულ და ამომწურავ ინფორმირებულობას მიმდინარე თუ დასრულებულ პროექტებზე, ისევე, როგორც იმ მუნიციპალურ სერვისებზე, რომლებითაც მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ. მერიის საქმიანობა და აქტივობები აქტიურად შუქდებოდა საინფორმაციო სააგენტოებსა და ტელევიზიებში.

განყოფილების საქმიანობა სრულად შეესაბამებოდა მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ მიზნებს. განსახორციელებელი ღონისძიებების ნუსხა მკაფიოდ არის განსაზღვრული და გადანაწილებული პრიორიტეტების მიხედვით.

ძირითადი შედეგები და ციფრული მაჩვენებლები (2025-2026 წწ.):

- აუდიტორიის ზრდა: ამ ეტაპზე ოფიციალურ გვერდს 32 000-ზე მეტი გამომწერი ჰყავს, რაც ყოველწლიურად მზარდი დინამიკით ხასიათდება.
- ვიდეო შინაარსი: მომზადდა 85-ზე მეტი ვიდეომასალა და მოკლე ვიდეორგოლი (Reels).
- საინფორმაციო აქტივობა: ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე გამოქვეყნდა 290-ზე მეტი ახალი ინფორმაცია, რომელიც მოიცავდა მუნიციპალურ სერვისებს, მიმდინარე ინფრასტრუქტურულ/სოციალურ პროექტებსა და კულტურულ ღონისძიებებს.
- ჩართულობა და რეაგირება: მერიის ოფიციალური ფეისბუქგვერდი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია / City Hall of Zugdidi Municipality“, როგორც სიახლეების ოპერატიული განთავსების, ისე მოქალაქეთა ჩართულობისა და მათ კითხვებზე სწრაფი რეაგირების თვალსაზრისით, მოწინავე პოზიციას ინარჩუნებს (Google Analytics-ის მონაცემებზე დაყრდნობით). გვერდი სრულად პასუხობს მომხმარებელთა ინტერესებსა და საჭიროებებს.

საერთაშორისო ურთიერთობები და პროტოკოლი: საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილება უზრუნველყოფდა სხვადასხვა ქვეყნის ელჩებთან შეხვედრების ორგანიზებას, უცხოური დელეგაციების ვიზიტების პროგრამების შედგენასა და ოფიციალური მიღებების მაღალ დონეზე გამართვას.

საზოგადოებრივი ჩართულობა: განყოფილებამ ასევე უზრუნველყო „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პრიორიტეტული პროექტების გამოვლენის პროცესის სრული საჯაროობა, კერძოდ: დასახლების საერთო კრებებისა და მოსახლეობასთან კონსულტაციების პროცესის აქტიური გაშუქება და გამჭვირვალობა.

ცხელი ხაზი: შემოსულია 2450 ზარი.

მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობისა და მატერიალურ-ტექნიკურმა განყოფილებამ საანგარიშო პერიოდში უზრუნველყო სხვადასხვა სახის ინფორმაციის მომზადება და გადაგზავნა მოქალაქეებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით განყოფილებაში შემოვიდა 37 კორესპონდენცია. პასუხი მომზადდა 31 წერილზე, ხოლო განხილვის პროცესშია 6 კორესპონდენცია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფორმაციის გაცემისას პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების საფუძველზე, საანგარიშო პერიოდში, განყოფილებამ ორგანიზება გაუწია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ჩატარების პროცედურულ საკითხებს, რაც მიზნად ისახავდა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევას.

განყოფილება სისტემატურად აკონტროლებდა დამეწყრილი ოჯახების მდგომარეობას და პერიოდულად ახორციელებდა საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოდან გეოლოგთა ჯგუფის გამოძახებას დაზიანებული სახლების მდგომარეობის შესწავლის მიზნით. საანგარიშო წელს, მერის მოთხოვნით გამოძახებულ იქნა და გეოლოგთა მიერ შემოწმდა 64 ოჯახი, აქედან: 48-ს მიენიჭა შესაბამისი კატეგორია, ხოლო ერთ ოჯახს არ მიენიჭა კატეგორია, ველოდებით დასკვნას 15 ოჯახზე.

კატეგორია მინიჭებული 48 ოჯახიდან 9 ოჯახს მიენიჭა პირველი კატეგორია,

ამ ეტაპზე გამოძახებულია გეოლოგთა ჯგუფი, რათა შემოწმდეს მეწყერის შედეგად დაზარალებული კიდევ 6 ოჯახი.

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ 2026 წლის მარტის თვეში, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დავალებით, შეამოწმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერის შედეგად დაზარალებული 40 ოჯახი, აქედან 12 ოჯახს მიენიჭა პირველი კატეგორია.

განყოფილების თანამშრომლები სისტემატიურად უწევდნენ კოორდინაციას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობას.

ძლიერი ქარის, თოვლისა და ნალექის პერიოდში განყოფილება უწყვეტ რეჟიმში იღებდა და ამუშავებდა პირველად ინფორმაციას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, განყოფილებაში შემოდიოდა ინფორმაცია სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისგან და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელებისგან: დაზარალებული მოსახლეობის, გზების, ავარიული ხეების, ელ. ბოძების, ელ. მომსახურების და სხვა პრობლემების შესახებ. რის შემდგომაც განყოფილება დამუშავებულ ინფორმაციას გადასცემდა შესაბამის სამსახურებს.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 31 აგვისტოს N1993 განკარგულების საფუძველზე, ადგილობრივ თვითმმართველობებს დაევალათ, პროგრამა ,,ჩემი პირველი ნერგი“-ს განხორციელებისთვის, დასახლებულ პუნქტებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე ფართობების განსაზღვრა, სადაც დაიგეგმება გამწვანების ღონისძიებები და 2026 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით რეგისტრირებულ ყველა პირველკლასელს მიეცემა შესაძლებლობა დარგოს ნერგი და დააჯვირდეს (ჩაერთოს) მისი ზრდა-განვითარების პროცესს. განყოფილების მიერ უზრუნველყოფილ იქნა ზემოაღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საკითხების მოგვარება.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულების საფუძველზე, განყოფილება ზედამხედველობას უწევს საჯარო სკოლებისთვის საჭირო საწვავი ბრიკეტის მიწოდებას.

განყოფილება ახორციელებს ინსპექტირებას: საჯარო სკოლების სხვადასხვა სახის ტექნიკითა და საბავშვო ბაღების ინვენტარით მომარაგების მიმართულებით.

განყოფილებამ **მატერიალურ-ტექნიკური** მიმართულებით საანგარიშო პერიოდში უზრუნველყო შემდეგი სამუშაოების შესრულება:

- ✓ **ოფისის ხარჯი -** 442105.66 (ოთხას ორმოცდაორი ათას ას ხუთი ლარი და 66 თეთრი) ლარი.
- ✓ **შენობა- ნაგებობის დაცვის ხარჯი** - 386524 (სამას ოთხმოცდაექვსი ათას ხუთას ოცდაოთხი) ლარი.
- ✓ **წარმომადგენლობითი ხარჯი** - 39419,65 (ოცდაცხრამეტი ათას ოთხას ცხრამეტი ლარი და 65 თეთრი) ლარი.
- ✓ **ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები** - 340956,21 (სამას ორმოცი ათას ცხრაას ორმოცდათექვსმეტი ლარი და 21 თეთრი) ლარი.
- ✓ **სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი** - 13848,67 (ცამეტი ათას რვაას ორმოცდარვა ლარი და 67 თეთრი) ლარი.
- ✓ **სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის ხარჯი** - 130663,60 (ას ოცდაათი ათას ექვსას სამოცდასამი ლარი და 60 თეთრი) ლარი.
- ✓ **არაფინანსური აქტივების ხარჯი**-397836 (სამას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას რვაას ოცდათექვსმეტი) ლარი.

შრომის უსაფრთხოების განყოფილების ინიციატივით საანგარიშო პერიოდში შეიქმნა მერიის შენობის ელექტრო-გაყვანილობის სისტემა, რომელიც ძირითადად აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს, თუმცა საჭიროებს სრულყოფას.

აღნიშნულ პერიოდში მოხდა მერიის შენობის სარდაფის ამოტუმბვა დაგროვილი წყლის მასებისგან და მისი ამოწმენდა; მუდმივი კონტროლი ეწეოდა გათბობა-გაგრილების ტემპერატურულ რეჟიმს შენობაში, რომელიც გამართულად ფუნქციონირებს; ასევე კონტროლდებოდა სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა მოთხოვნები; განხორციელდა მერიის შენობის ყველა სართულის სამუშაო ოთახებისა და სივრცეების შესწავლა, რათა ერთ დასაქმებულზე გამოყოფილი სამუშაო სივრცე შესაბამისობაში იყოს კანონით დადგენილ ნორმებთან; შეიქმნა განათების ხარისხი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილ ნორმებს.

კანონით დადგენილ ვადებში ტარდებოდა სახანძრო, სანიტარულ-ჰიგიენური და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე ინსტრუქტაჟი.

ეკონომიკის სამსახური

1. ქონების მართვისა და მოსაკრებლების განყოფილება

საანგარიშო პერიოდში ქონების მართვისა და მოსაკრებლების განყოფილებაში განსახილველად შემოვიდა 1559 განცხადება და მომართვა.

აუდიტორული დასკვნებისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების შესყიდვების განსახორციელებლად საანგარიშო პერიოდისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან (კოდი 0213) გამოიყო 20.0 ათასი ლარი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების, მათ შორის მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების, არასაცხოვრებელი ფართების და ხაზოვანი ნაგებობების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი და შიდა აზომვითი ნახაზების მომზადებაზე 2025 წლის 28 თებერვალს გაფორმებული

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N43 ხელშეკრულებისა (საერთო ღირებულება 6930,0 ლარი) და 2026 წლის 04 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 53 ხელშეკრულების (საერთო ღირებულება 8650,0 ლარი) ფარგლებში საანგარიშო პერიოდისათვის მომზადებული 18 საკადასტრო და შიდა ფართის აზომვითი ნახაზების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა - 6075 ლარი.

საანგარიშო პერიოდისათვის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებულ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი ერთეული უძრავი ქონება: ქ. ზუგდიდი, მეუნარგიას ქუჩა N9-ის მიმდებარედ 49კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 43.31.49.851). გაყიდვის ფასი - **30 500** (ოცდაათი ათას ხუთასი) ლარი. (სახაზინო კოდი: 300823390)

საანგარიშო პერიოდისათვის ადგილობრივ ბიუჯეტში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე შემოსულია - **72 784** ლარი. (სახაზინო კოდი: 3388).

საანგარიშო პერიოდისათვის სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე და სახელმწიფო სარგებლობაშია, ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია - **928 977** ლარი (სახაზინო კოდი: 3309).

საანგარიშო პერიოდისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია - **165 419** ლარი. (სახაზინო კოდი: 3392).

საანგარიშო პერიოდისათვის სასყიდლიანი იჯარის ფორმით **პირდაპირი** განკარგვის წესით გაფორმდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთები, ბოძის ნაწილი- წერტილები, ბანკომატი) 10 საიჯარო ხელშეკრულება ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, რომელთა წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა შეადგენს - **42 864** ლარს.

ამასთან, პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის ფორმით (პირობებით) 30 წლის ვადით, 1 (ერთი) ლარად შ.პ.ს. „ოდიში 1919“-ს გადაეცა ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქუჩა N15-ში მდებარე 28006,0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 43.31.61.618) და სოფელ განმუხურში მდებარე 16543კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (ს/კ: 43.29.42.486; 43.29.42.131; 43.29.42.134; 43.29.42.133 და 43.29.44.063). (მერის ბრძანება Nბ24.242604414; 13.02.2026); უძრავი ქონების აღნაგობის ხელშეკრულება N1 (23.04.2026).

საანგარიშო პერიოდისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს - **228410** ლარს (სახაზინო კოდი: 3047).

საანგარიშო პერიოდისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა დასხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს - **152889.38** ლარს (სახაზინო კოდი: 3212).

საანგარიშო პერიოდისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს - **7,152.00** ლარს (სახაზინო კოდი: 3224).

საანგარიშო პერიოდისათვის სახელმწიფო მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა), რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე და არ არის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრება, ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია - 199731 ლარი (სახაზინო კოდი: 3043).

საანგარიშო პერიოდში შ.პ.ს. ზუგდიდის მუნიციპალურ ტრანსპორტს“ საკუთრებაში გადაეცა ორი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება RENAULT DUSTERI სახელმწიფო ნომრით WA 569 WW და OPEL ASTRA G სახელმწიფო ნომრით SS 604 EE . (მერის ბრძანება ბ24.24261052. 15.04.2026 და ბ24.242615915. 09.06.2026).

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების შესაბამისად ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 12 მოქალაქეს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართები. ორ მოქალაქეს ეთქვა უარი.

მოსაკრებლების შესახებ

2021 წლის 01 იანვრიდან დღემდე იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა რეგისტრირებული ხელშეკრულებების ოდენობა შეადგენს 439 ერთეულს. ამასთან, სტაბილურ გადამხდელთა რიცხოვნობა შეადგენს 640 ფიზიკურ, სსიპ, სახელმწიფო დაწესებულებებს და სხვა იურიდიულ პირებს. საანგარიშო პერიოდში

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შემოსულმა თანხამ შეადგინა 863 859 ლარი (3189 სახაზინო კოდი). მათ შორის, ქალაქში მცხოვრებ მოსახლეობის მიერ დასუფთავების მოსაკრებელი (სულზე 50 თეთრი, მაქსიმალური გადასახადი ოჯახზე 2.0 ლარი) საანგარიშო პერიოდში გადახდილია 95 648 ლარი და იურიდიული და ფიზიკური (სოფლის მოსახლეობის) პირების მიერ საანგარიშო პერიოდში შემოსულმა თანხამ შეადგინა 768 211 ლარი.

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა ხელშეკრულებების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან შემოსულია 262770 ლარი (სახ.კოდი 3287).

მშენებლობის ნებართვების გაცემიდან მიღებულ მოსაკრებელზე საანგარიშო პერიოდში შემოსულმა თანხამ შეადგინა 123374 ლარი (3090 სახ. კოდი);

2. <u>სტრატეგიული განვითარების და საინვესტიციო პოლიტიკის განყოფილება</u>

1. EU Black Sea CBC პროექტი - „მწვანე ქალაქები, ერთად მწვანე ქალაქებისთვის“

საანგარიშო წელს გაგრძელდა შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (EU Black Sea CBC) ფარგლებში დაფინანსებული პროექტის განხორციელება (აპლიკაციის ნომერი: **BSB00460**) - „მწვანე ქალაქები, ერთად მწვანე ქალაქებისთვის“. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 303,302.62 ევროს. მათ შორის: 90% - გრანტი; 10% - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამონაწილეობა.

2. პროექტი „მდგრადი ურბანული განვითარება საქართველოში“ (GIZ)

პროექტის მიზანია ურბანული ლაბორატორიის ჩართულობით წინასწარ შერჩეული სივრცის სამეზობლო განვითარების კონცეფციის შემუშავება, რომელიც მოიცავს: მცირე მასშტაბიან ურბანულ ინტერვენციებს; სადემონსტრაციო და საინვესტიციო პროექტების კონცეფციებს.

3. ენერგომენეჯმენტის სისტემის (EnMS) დანერგვა

საანგარიშო წელს გაგრძელდა GIZ-ის პროექტის „მდგრადი ურბანული განვითარება საქართველოში“ ფარგლებში მეორე კომპონენტის - ენერგომენეჯმენტის სისტემის (EnMS) - დანერგვის პროცესი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. აღნიშნული კომპონენტის განხორციელება მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში ენერგორესურსების ეფექტიანი მართვის სისტემის დანერგვას, ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებასა და ენერგიის მოხმარების ოპტიმიზაციას.

4. პროექტი „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება საქართველოში“ (LEDP)

განყოფილების ერთ-ერთი მიმდინარე პროექტია „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება საქართველოში“ (LEDP), რომელიც უკვე მესამე წელია ხორციელდება HELVETAS Swiss Intercooperation-თან პარტნიორობით. პროექტში, საქართველოს ხუთ მუნიციპალიტეტთან ერთად, ჩართულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტიც, ხოლო მის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC).

პროექტის მიზანია კოლხეთის ეროვნული პარკის და მისი მიმდებარე თემების გარდაქმნა მდგრადი ეკონომიკური საქმიანობების ცენტრად, ადგილობრივ ხელისუფლებას, კერძო სექტორსა და თემებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების გზით.

5. გრანტების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფა

საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება ახორციელებს მუნიციპალიტეტის მიერ გრანტების მიღებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფას.

6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი განვითარების გეგმის შემუშავების კოორდინაცია

სტრატეგიული განვითარების და საინვესტიციო პოლიტიკის განყოფილება ახორციელებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის კოორდინაციას. აღნიშნული მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან, მათ შორის საქართველოს მთავრობის შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთან. განხილულ იქნა სექტორული პრიორიტეტები, განვითარების ძირითადი მიმართულებები და დაგეგმვის პროცესში გასათვალისწინებელი ღონისძიებები. ამჟამად მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის განხილვის პროცესი. პარალელურად დაგეგმილია დოკუმენტის საჯარო განხილვის ჩატარება და შემდგომ მისი წარდგენა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად.

3. <u>მუნიციპალური სერვისების, ბუნებრივი რესურსების და გარემოს მართვის განყოფილება</u>

2026 წ. 1 იანვრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით *განყოფილების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ*

1. **მუნიციპალური სერვისები :**
   1) დამისამართების აბრები --
   2) gazifikacia --
   3) el.მომარაგება --
   4) wyalმომარაგება, წყალარინება --
   5) წერილები შემოსულ განცხადებებზე რეაგირებაზე: (ა(ა)ი. „კეთილმოწყობის მართვის“; აა(ი)ვ. „ზუგდიდდასუფთავებას“; შპს. „ანაკლია განმუხური ბულვარი“)
2. **ბუნებრივი რესურსები და გარემოს მართვა ---**
3. **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები („ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების მხარდაჭერის პროგრამა“) ----**

1. მუნიციპალური სერვისები:

---

1) დამისამართების აბრები

- მიმდინარეობს (კოდი: 020703) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ქუჩების დასახელებებისა და ამ ქუჩების გადასახვევებში განსათავსებელი *„ქუჩის დასახელებისა და მიმართულების მაჩვენებელი აბრა (2 ცალმხრივი აბრა ერთმანათთან მიერთებით) ბოძით (თანმდევი მომსახურებით _ მოწყობა-მონტაჟით)“*

შესყიდვა:

1. ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე გამავალი, ზუგდიდი - ანაკლიას დამაკავშირებელი ცენტრალური საავტომობილო გზა და გადასახვევებში არსებული ქუჩები: ინგირი (18 ერთ); კახათი (25 ერთ); ახალკახათი (16 ერთ); დარჩელი (13 ერთ); კიროვი (7 ერთ);
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმ. ერთეულებში: ერგეტა (4 ერთ.); ცვანე (4 ერთ.); ცაიშის (4 ერთ.); რიყე (4 ერთ.); ახალაბასთუმანის (4 ერთ); ჭკადუაში (9 ერთ); აღნიშნულ სოფლების ქუჩებში ჯამში - *108 ერთეული აბრა ბოძით.*

საწყისი ღირებულება - **70 200 (სამოცდაათი ათას ორასი) ლარი**

დასრულებული ტენდერით სახელშეკრულებო ღირებულება - **47 952 (ორმოცდაშვიდი ათას ცხრაასორმოცდათორმეტი) ლარი.**

- **წერილი საჯ. რეესტრის სამისამართო სააგენტოს -** სოფ.: დარჩელის, კიროვის, ცვანე, ნუმერაციის მოწესრიგებაზე.
- **წერილი საჯ. რეესტრის სამისამართო სააგენტოს -** ქ. ზუგდიდი, მაია წყნეთელის ქუჩის ნუმერაციის მოწესრიგებაზე.

2) გაზიფიკაცია

- ***ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების გაზიფიცირებაზე:***

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სრულად გაზიფიცირებულია: ქალაქი და 48 ადმინისტრაციული ერთეულიდან - 46 ადმინისტრაციული ერთეული. აქედან სრულად გაზიფიცირებული (გაზი მიეწოდებათ ოჯახებში) ქალაქის და 46 ადმ ერთეულის მოსახლეობას.

დასრულდა **ცვანეს და ერგეტას** - ადმ. ერთეულების საშუალო და დაბალი წნევის გაზსადენის ქსელის სამშენებლო სამუშაოები. გასაშვებია ექსპლუატაციაში.

3) ელ. მომარაგება

- ***ობიექტების დაერთებებზე -*** მომზადდა დოკუმენტაციები და შესყიდულ იქნა მიერთების მომსახურებები სს. „ენერგო პრო ჯორჯია“-დან მუნიციპალური პროგრამით მოწყობილ ობიექტების ელ. მომარაგებასთან (დაერთება) დაკავშირებით:

1. ახალსოფელი ა. როგავასა და ლ. დადიანის ქ. გარე განათების სიმძლავრის გაზრდაზე

2. დიდინეძის კახათი ც. დადიანის ქ. გარე განათება ელ.მომარაგება
3. დიდინეძის კახათი ც. დადიანის ქ. მინი სპორტული მოედნის გარე განათება ელ.მომარაგება
4. კახათი მ. კოსტავას ქ. გარე განათება ელ.მომარაგება
5. ყულიშკარი საფიფიოს უბანი ჭაბურღილი ელ. მომარაგება
6. დიდინეძი დ. აღმაშენებლის მე-6 ჩიხი, ჭაბურღილის ელ. მომარაგება
7. ნაცატუ სათოლორაიოს უბანი ჭაბურღილის ელ. მომარაგება
8. ინგირი კოტე მახარაძის ქ. წყალმომარაგების სისტემის ჭაბურღილი ელ.მომარაგების სიმძლავრის გაზრდა.
9. ქ. ზუგდიდი თამარ მეფის N10 საცხ. კორპუსის ლიფტის ელ. მომარაგება
10. უჩაშონა წყალმომარაგების სისტემის ჭაბურღილის ელ. მომარაგება.
11. ოდიში - საქლორატორო შენობის ელ. მომარაგება
12. ჭაქვინჯი - დიდობერის უბანი ჭაბურღილის ელ. მომარაგება
13. ჭაქვინჯი - დიდობერის უბანი საქლორატორო შენობის (წყალმომარგ. სისტემა) ელ. მომარაგება

➢ **განაცხადები:**

9. ჯახათი საბ/ბაღის ელ. მრიცხველის გადათფორმებაზე
10. რიყის საბ/ბაღის ელ. მრიცხველის გადათფორმებაზე
11. ააიპ სოფლის განვითარების სააგენტოს ელ. მრიცხველის გადათფორმებაზე.

➢ ***წერილები (შუამდგომლობები) ს.ს. ,,ენერგო-პრო ჯორჯიას“:***

- ქ. ზუგდიდში მშენებარე სკვერის ტერიტორიაზე მიწისქვეშ განთავსებული ელ. სადენის გადატანაზე
- ელ. ტრანსფორმატორის შემოღობვაზე - 2 განცხად.
- ადმ. ერთეულებში ამორტიზირებული და ავტოავარიების შედეგად დაზიანებული ელ. მომარაგების ბოძების შეცვლაზე. - 2
- ამორტიზირებული მაღალი ძაბვის ელ.მომარაგების ელ.სადენების რეაბილიტაც. - 3
- ელ. მომარაგების ელ. ტრანსფორმატორების სიმძლავრის გაზრდასთან დაკავშირებით რეაბილიტაციაზე - 1.
- საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში განთავსებული ელ.მრიცხველებთან არსებული ელ.სადენების მოწესრიგებაზე - 1
- გაყვანილობის ბოძების გვერდზე გადაწევაზე
- შუამდგომლობა მოქალაქის მოთხოვნაზე ელ მრიცხველის გადატანაზე

4) წყალმომარაგება

- ცენტრალურ საკანილიზაციო სიტემის რეაბილიტაციაზე (ამოტუმბვა/დასუფთავებაზე) შუამდგომლობა - 11 განცხადება

4) განცხადებები რეაგირებაზე

(ა(ა)იპ. : „კეთილმოწყობას“; „ზუგდიდდსუფთავებას“;)

- წერილიები (დავალება) ა(ა)იპ. „კეთილმოწყობის მართვის ცენტრს“-:

1. ტექნიკის მოთხოვნაზე (გრეიდერი, ტრაქტორი, ექსკავატორი, ბულდოზერი) - 48
2. მოთიბვა - 81
3. გარე განათების სისტემების რეაბილიტაციაზე (ნათურის შეცვლა , ბოძი, კაბელი და ა.შ) - 64
4. წყალსაქაჩი ტუმბოს რეაბილიტაცია - 5
5. საკანალიზაციო სისტემის ამოწმენდა -5

6. მინი სტადიონის რეაბილიტაცია - 2
7. წყალმომარაგების სისტემის (მილების, ტუმბოს, რეაბილტაცია რეზერვუარების გამენდა) რეაბილიტაცია - 42
8. სანიღვრე არხი ამოწმრნდაზე - 24
9. ხეივანი სვერში განთავსებული სკამების შეღებვაზე - 7
10. განათების ბოძის აღდგენაზე - 5
11. დიდთოვლობის დროს გზების გაწმენდაზე - 6 განცხადება.
12. სხვა განცხადებები (სასაფლაოს და მინი სტადიონის დაზიანებული ღობე, ჭიშკარი, დაზიანებული ცხაურის შეკეთება, ხიდების მდინარის კალაპოტის გაწმენდა, წყალსაწრეტის გაწმენდა, ნაპირსამაგრი სამუშაოები) - 63 განცხადება.

- წერილები (დავალება) ა(ა)იპ. ,,ზუგდიდდასუფთავებას“ -:

- სანაგვე ურნების განთავსებაზე - 8 განცხადება.
- ანაკლიაში საზათხულო ბანაკის ტერიტორიაზე სანაგვე ურნების განთავსება ტერიტორიის დასუფთავებაზე -1
- სანაგვე ურნების შეღებვაზე - 2
- ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლისა და ბულვარის გაწმენდითი სამუშაოების გასახორციელებლად საჭირო ტექნიკის (ექსკავატორი) მოთხოვნაზე - 6 განცხადება.

- ქაღალდის შეგროვება და დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით-1 განცხადება.

- **წერილები შპს ანაკლია განმუხურის ბულვარი**

1. ბანაობის ამკრძალავი ბანერის განთავსებაზე-1 განცხადება
2. შავი ზღვის ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2025-2027 წლების გეგმის ანგარიში-1 განცხადება.
3. სტუდენტურ-სამეცნიერო ექსპედიციის ჩატარებასთან დაკავშირებით-1 განცხადება

1. ბუნებრივი რესურსები - წიაღისეული
(მოსაზრებები, სსიპ წიაღის ეროვნული საგენტოდან შემოსული, აუქციონზე გასატანი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო ობიექტებზე)

- *მომდინარე წლის 9 თვის განმავლობაში, ზუგდიდის მუნიციპლიტეტის მერიაში შესათანხმებლად შემოვიდა, აუქციონზე გასატანი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების 7 სალიცენზიო ობიექტი.*

- თანხმობა შეთანხმებაზე - 3 სალიცენზიო ობიექტზე.
- უარი შეთანხმებაზე - 3 სალიცენზიო ობიექტზე.
- მიმდინარე პასუხგაუცემელი (განხილვის პროცესშია) - 1 სალიცენზიო ობიექტი.

კერძოდ :

1. სოფ. რუხი ქვიშა ხრეში (საგენტოს წერ. N22/2449) - თანხმობა
2. სოფ. ცაიში კირქვა (საგენტოს წერ. N22/2416) -*უარი*
3. სოფ. რუხი ქვიშა ხრეში (საგენტოს წერ. N22/1365) -*უარი*
4. სოფ. რუხი ქვიშა ხრეში (საგენტოს წერ. N22/2856 -*უარი*
5. სოფ. დიდინეძი სააგურო თიხა (საგენტოს წერ. N 22/5980) - თანხმობა

6. სოფ. რუხი-ახალაბასთუმანი ქვიშა ხრეში (საგენტოს წერ. N22/6498 - თანხმობა
7. სოფ. დარჩელი (საგენტოს წერ. N 22/6745) განხილვის პროცესშია

➢ *წერილები:*

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს - ენგურის კალაპოტიდან ნატანი ჭარბი ინერტული მასალისგან გაწმენდა ამოტანის საჭიროებაზე

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს - განმუხურში ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირდაცვით/ნაპირაღდგენით სამუშაოების განხორციელებისათვის, შპს „საქმილსადენმშენი“ (ს/ნ: 221267064) 3 (სამი) თვის ვადით გათავისუფლებაზე თანხმობა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს - მდინარე ენგურის სააუზო უბნის მართვაზე.

გარემოს დაცვის ზედამხედველობის სამსახურს - ინფორმაციული - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისგან გათავისუფლების საფასურის გადახდის სახაზინო დოკუმენტის მიწოდებაზე.

3. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“

➢ *მიმდინარე წელს 9 თვეში გაეწია დახმარებები (კონსულტაცია) ამხანაგობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით 6 პოტენციურ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას.*

-- დაფუძნდა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრაცია რეგისტრაცია გაიარა 4 - მა ახალდაფუძნებულმა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ:

1. **„დავით აღმაშენებლის N6 “ -** ქ. ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის ქ. N6 “
2. **„ოცნება“ -** ქ. ზუგდიდი, ვლადიმერ ხორავას ქ. N2.
3. **„შალვა დადიანის 33“ -** ქ. ზუგდიდი, შალვა დადიანის ქ. N33
4. **„დანი“ -** ქ. ზუგდიდი, თბილისის ქ. N6 “

➢ *2026 წლის 9 თვეში ბიუჯეტის **„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით“,** განხორციელდა თანადაფინანსების პრინციპით, მერიაში რეგისტრირებული სხვადასხვა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ წარმოდგენილი 13 **პროექტი:***

1. ***სადარბაზოს რეაბილიტაცია და რკინის კარის მოწყობაზე - 6 პროექტი***
2. ***სამგზავრო ლიფტების რებილიტაციაზე - 3 პროექტი (მათ შორის 2 პრ. მიმდინარე)***
3. ***შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციაზე - 2 პროექტი***
4. ***სამგზავრო ლიფტის მოწყობა და შახტის რეაბილიტაცია -1 პროექტი***
5. ***შიდა წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია - 1 პროექტი (მიმდინარე)***

კერძოდ:

1. **ბა. „თოლია“- ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას N11. *I I და I I I - სადარბ. რეაბილი.-* 20 666,88 ლ**
2. **ბა. „არწივი“ - ქ. ზუგდიდი, ქუჯის N10 . *IV - სადარბაზოს რეაბილიტ.* - 15 354,75 ლ**
3. **ბა. „ალიანსი“- ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას N9 . *I ,I I ,I I I - სადარბაზოს რეაბილიტ.-* 48 350,82 ლ**
4. **ბა. „რენესანსი“ - ქ. ზუგდიდი, ბუკიას ქ. N5-ში *სადარბაზოს VI სართულზე ხანძრის* შედეგად დაზიანებული ფართის (ციბის უჯრედის) რეაბილიტაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი პროექტის ღირებულებით - 7267,35 ლ.**

5. **ბა. ,,კუჩხობონი“.** ქ. ზუგდიდი, ბუკიას ქ. N34-ში კორპ ***სადარბაზოს კარის*** მოწყობის - **3262,54 ლ.**
6. **ბა. ,,რენესანსი“** - ქ. ზუგდიდი ბუკიას ქ. N5 კორპ. I სართ. სად. ***ცენტრალური ლითონის კარის*** და კუტიკარის მოწყობის - **3 444,88 ლ.**
7. **ბა. „ცოტნე** დადიანის ქუჩა N3“ - კორპუსის მე-2 სადარბაზოში არსებული ***სამგზავრო ლიფტის*** *რეაბილიტაციის* პროექტი ღირებულებით - **16024,44** ლ.
8. **ბა. თანადგომა -** ქ. ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზ. N28 კორპ. ეზოს შიდა ***საკანალიზაციის*** **სისტემის რეაბილიტ. - 26 184,63 ლ. გაშვებულია**
9. **ბა. „თუთარჩელა“-** ქ. ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზ. N30 -ში კორპუსის ეზოს ***შიდა საკანალიზაციის ქსელის*** რეაბილიტ.“ - **29 886,79 ლ.**
10. **ბა. „მეკონსერვე 2“-** ქ. ზუგდიდი, თამარ მეფის N10 კორპუსის სადარბაზოს სამგზავრო ლიფტის მოწყობა და შახტის რეაბილიტაცია - **141 316 ლარი.**
11. **ბა. აფხაზეთი“** - ქ.ზუგდიდი, ბარამიას ქუჩა N46 (ყოფილი ბარამიას N7) 1 კორპუსის სარდაფში წყალმომარაგების მილების რეაბილიტაცია - **5064, 27 ლ (მიმდინარე)**
12. **ბა. „ოდაბადე“** - ცოტნე დადიანის I სად. ***სამგზავრო ლიფტის რეაბილიტაცია*** **12 547,88 ლ (მიმდინარე)**
13. **ბა. „მეგობრობა 2008“** - ცოტნე დადიანის ქუჩა N3 კორპუსის 1-ლი სადარბაზოს სატვირთო **ლიფტის** რეაბილიტაციის პროექტი ღირებულებით - **16845,92 ლ. (მიმდინარე)**

2026 ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენდა - 341 316 ლარს.
*ათვისებულია მიზნობრივად - **341 152,9 ლარი.***

4. ტრანსპორტის განყოფილება

საგზაო ნიშნების მოწყობისა და მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის დაფინანსების მიზნით (კოდები: 020103, 0105), 2026 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 856 600 ლარი. აღნიშნული თანხიდან 511 600 ლარი გათვალისწინებულია 020103 - „საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების“ პროგრამის, ხოლო 345 000 ლარი - 0105 „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეომეთვალყურეობის კამერების დამონტაჟების“ პროგრამის ფარგლებში. გამოყოფილი ფინანსური რესურსები შესაბამისი პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას მოხმარდა.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, 2026 წლის 19 მაისს გაფორმდა №138 ხელშეკრულება (NAT260008549), რომლის სახელშეკრულებო ღირებულებამ 13 099 ლარი შეადგინა. ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისთვის საჭირო საინფორმაციო, მათრთხილებელი და ამკრძალავი საგზაო ნიშნების შესყიდვა.

ამასთან, მოძრაობის მოწესრიგებისა და ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ანსარს“ შორის გაფორმდა №139 ხელშეკრულება (NAT260008545), ღირებულებით 17 600 ლარი. შესყიდვის ფარგლებში გათვალისწინებული იყო საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო სიჩქარის შემანელებელი ბარიერების შეძენა და შესაბამის ლოკაციებზე განთავსება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში - ქალაქ ზუგდიდში, ასევე ანაკლიისა და განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულებში, საავტომობილო გზების სავალ ნაწილზე საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოების შესრულების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ჯორჯიან აუდიტ გრუპს“ შორის 2026 წლის 21 ივლისს გაფორმდა №211 ხელშეკრულება. აღნიშნული მრავალწლიანი შესყიდვის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 323 755 ლარს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ტრანსპორტის განყოფილების მომართვის საფუძველზე, 2026 წლის 9 ოქტომბერს, შესყიდვების სამსახურის მიერ განხორციელდა ბაზრის კვლევა (NAT260021293), რომლის მიზანს წარმოადგენდა პუშკინისა და შარტავას, რუსთაველისა და კოსტავას, აგრეთვე ხუბულავასა და რუსთაველის ქუჩების კვეთებზე ახალი შუქნიშნების შესყიდვა. აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით, ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი სახელშეკრულებო პროცედურები. შესყიდვის ღირებულება განისაზღვრება 181 212 (ას ოთხმოცდაერთი ათას ორას თორმეტი) ლარით.

შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი"

შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი"-ს სარგებლობაში ორმოცდაორი სამგზავრო ავტობუსია, აქედან 25 ერთეული არის OTOKAR-ის მარკის, ხოლო 17 ერთეული ISUZU-მარკის. სამგზავრო ავტობუსები დილის 06:30 საათზე გადიან ავტოპარკიდან და დაწესებული გრაფიკის მიხედვით 07:00 საათიდან მოძრაობენ სამარშრუტო ხაზებზე, ხოლო საღამოს ,,სანპეტროლიუმ ჯორჯია"(გალფის) ავტოგასამართ სადგურზე, ავტობუსების საწვავის ავზის შევსების შემდგომ ავტობუსები ავტოპარკში ბრუნდებიან 18:30 სთ-დან 21:30 სთ-მდე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ავტობუსების მოვლა-პატრონობა, სისუფთავე და ტექნიკურად გამართულობა, რაც ძალიან დიდი შრომის შედეგია. მიუხედავად მძღოლების მრავალწლიანი გამოცდილებისა შეძლებისდაგვარად მიმდინარეობს პარკის გაახალგაზრდავება, რომელიც კომპანიას დაეხმარება პროფესიულ განვითარებასა და დასახული მიზნების მიღწევაში.

ყოველ საღამოს ავტობუსების ავტოპარკშიშემოსვლისთანავე 18:30 სთ-ზე იწყება რეცხვა-დასუფთავების პროცედურები და მთავრდება23:00 საათამდე. ამავდროულად მიმდინარეობს შემოსული ავტობუსების ვიზუალურიდათვალიერება მექანიკოსების და მძღოლების თანდასწრებით. ოტოკარის და ისუზუს მარკისავტობუსებზე გაუმართაობის შემთხვევაში მეორე დღესვე ვუგზავნით ინფორმაციას ჩვენს მომსახურე კომპანიას, რომლებიც ძალიან მოკლე ვადაში ახდენენ მანქანების შეკეთებას, უნდა აღინიშნოს, რომ გაუმჯობესდა შიდა და გარე საუბნო გადაადგილებები. გაჩერებებზე მოწყობილია ელექტრონული ტაბლოები, სადაც ასახულია მოძრაობის გრაფიკი, მოსვლის და გასვლის დროის ჩვენებით, 42-ვე ავტობუსს წელიწადში ორჯერ უტარდება ტექნიკური დათვალიერება.

წლის განმავლობაში გადაყვანილია 2571216 მგზავრი, მათ შორის შშმ პირი 13305, სტუდენტი 96115, ვეტერანი 21223, სოც დაუცველი ბენეფიციარი 32810,

მოსწავლე 168813, ბაგა-ბაღის მასწავლებელი 66180, სხვა მგზავრი 2172770. სულ შეღავათით ისარგებლა 398446 მგზავრმა, აქედან უფასოდ იმგზავრა 79485 მგზავრმა.

შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი"-ს მიღებულმა შემოსავალმა 2025 წლის 1 ოქტომბრიდან 2026 წლის 1 ოქტომბრამდე შეადგინა 7132800 ლარი, მათ შორის საკუთარი შემოსავალი მგზავრთა გადაყვანისგანშეადგენს 1963100 ლარი, სუბსიდია კი 5169700 ლარს, სულ ხარჯმა შეადგინა 7158900 ლარი; შრომის ანაზღაურება ადმინისტრაციის ხელფასი იყო 623500 ლარი, შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასი იყო 2447200, დიზელის საწვავის საფასური 2366700 ლარი, ავტობუსების ტექნიკური მომსახურეობა და ტექნიკური რემონტი 1638775 ლარი, ოფისის ხარჯი 51309 ლარი, ბენზინის ხარჯი 31416 ლარი. 2024 წელს ერთი მგზავრის გადაყვანა დაგვიჯდა 1,88 ლარი. 2025 წელს 1,99 ლარი, ხოლო 2026 წელს ერთი მგზავრის გადაყვანა დაგვიჯდა 2,77 ლარი.

შპს ,, ზუგდიდის მუნიციპალურ ტრანსპორტში" ადრეულ ვადებში ვახდენთ საჭიროების იდენტიფიცირებას, ასევე ვახდენთ ბაზრის კვლევას და თანხა იხარჯება რაციონალურად ჯანსაღი კონკურენციის პირობებში. ვხელმძღვანელობთ აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციებით და ყოველი თვის ბოლოს, მერიის შიდა აუდიტის სამსახურს ვუგზავნით ბანკის ყოველთვიურ ნაერთ ამონაწერს საწარმოს ანგარიშიდან შემოსული და გასული ოპერაციების ჩვენებით. ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში გათვალისწინებულია სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნები.

ააიპ ,,სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი''

ა(ა)იპ ,,სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს მიერ 2025 წლის 1 ოქტომბრიდან 2026 წლის 1 ოქტომბრამდე გახარჯულია **1714,3** ათ. ლარი. მ/შორის სპორტული ღონისძიებებისთვის **156,2** ათ. ლარი.

2025 წლის 1 ოქტომბრიდან 2026 წლის 1 ოქტომბრამდე ზუგდიდელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 20-ზე მეტ საერთაშორისო და 80-მდე რესპუბლიკურ, რეგიონალურ და ადგილობრივ სპორტის 10-ზე მეტი სახეობის ტურნირში, მათ შორის: ძალოსნობა, კრივი, კიკბოქსინგი, ტაეკვონდო, ჭადრაკი, ხელბურთი, კალათბურთი, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, სპორტული კარატე, კუდო.

ზუგდიდში ჩატარდა **20-მდე** სპორტული ღონისძიება, რომელიც დაფინანსებული იყო ადგილობრივი ბიუჯეტით. მათ შორის: „ზუგდიდის საშობაო ტურნირი კლასიკურ ჭადრაკში“, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ღია პირველობა ძალოსნობაში“, სალიცენზიო ტურნირები ძიუდოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჩემპიონატი ჭაბუკთა და გოგონათა შორის ჭადრაკში, საქართველოს მე-3 სასკოლო ოლიმპიადა: „ნონა გაფრინდაშვილის თასი 2026-ის რაიონული პირველობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის “ (ჭადრაკი), საჭადრაკო ტურნირი „თავორიტი-2026“, „ცოტნე დადიანის თასი - 2026“ ძიუდოში, „ზუგდიდის მერიის თასი - 2026“ ძიუდოში, „კოლხეთის თასი - 2026“ ძიუდოში, მასობრივი

სპორტული ღონისძიებები: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ღია პირველობა ქვიშის ფრენბურთში“, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ღია პირველობა ქვიშის ფეხბურთში“, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ღია პირველობა ქვიშის ჭიდაობაში“ (ჩატარდა „ანაკლია-განმუხურის ბულვარში“), ტრადიციული ტურნირი ცხენოსნობაში „მარულა - 2026“ და სხვ..

24-მა ზუგდიდელმა სპორტსმენმა მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმში 2026 წლის 2-6 ივნისს გამართულ პირველ „ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში“.

2026 წლის 23 ივნისს ა(ა)იპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს ორგანიზებით გაიმართა „მსოფლიო ოლიმპიური დღისადმი“ მიძღვნილი გარბენი.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური თამაშები, სპორტის 9 სახეობაში: კალათბურთი (3X3); კალათბურთი (5X5); ხელბურთი; მინი-ფეხბურთი; გეზრბენი; მაგიდის ჩოგბურთი; ბადმინტონი; ფრენბურთი; მხიარული სტარტები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის **16 საჯარო და კერძო სკოლის 124-მა** სკოლის მოსწავლემ.

აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს ბიუჯეტიდან 4 ზუგდიდელი შშმ პირი დაფინანსდა დაბა ბაკურიანში გამართულ „ეტლით თხილამურები-2026“ ღონისძიებაზე გასამგზავრებლად **3150** ლარით.

2025 წლის დეკემბერში ზუგდიდის ძალოსანთა ნაკრები გუნდი საქართველოს ჩემპიონი გახდა დიდებში და 15-წლამდელთა ნაკრები გუნდი ჭაბუკებში.

სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩემპიონი და პრიზიორი გახდა **130**-ზე მეტი სპორტსმენი. მათგან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე თავი გამოიჩინა **25-მა** ზუგდიდელმა სპორტსმენმა.

შპს ,,ანაკლია-განმუხურის ბულვარი”

შპს ,,ანაკლია-განმუხურის ბულვარი”-ს მიერ გატარებულია შემდეგი სახის ღონისძიებები:

- განხორციელდა ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ზოლის ფიტოსანიტარული მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის (შუალედური დასჯვნის) საფუძველზე განხორციელდა მინერალური სასუქის შესყიდვა და ნაწილით ხე-მცენარეების შეწამლვა და ნიადაგის გაკერება, აღნიშნული სამუშაოებისთვის ჯამში გაიხარჯა 7400 ლარი.

- განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის მინდვრის საფარის განახლება- მოვლის სამუშაოები კერძოდ ქვიშის დაყრა . საქონლის/მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 3800 ლარი;
- ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისთვის შეძენილი იქნა 24931 ლარის ელექტრო და 32705 ლარის სამეურნეო საქონელი, საერთო ღირებულებით 57636 ლარი.
- განხორციელდა ანაკლის სანაპირო ზოლზე განთავსებული ქვიშის ფრენბურთის მოედნებზე ქვიშის შეტანა და განახლება 8400 ლარის ფარგლებში. ასევე გამოიცვალა ფეხბურთის კარის ბადეები 259,98 ლარის ფარგლებში.
- ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის დაზიანებული ხის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის შეძენილიქნა 12250 ლარის წიწვოვანი ჯიშის მასალა და რეაბილიტაციის მომსახურება 9900 ლარი. საერთო ღირებულებით 22150 ლარი.
- განხორციელდა განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე განთავსებული სპორტული მოედნების დაზიანებული შემომზღუდავი ბადეების ახლით შეცვლა, რეაბილიტაციის ღირებულება 15310 ლარის ფარგლებში.

ა(ა)აიპ ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე“

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე” წარმოადგენს სკოლისგარეშე, მრავალპროფილიან სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მოზარდებს, ახალგაზრდებს ეხმარება თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებასა და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში. უზრუნველყოფს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, საყმაწვილო ჟურნალისტიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების ათვისებისათვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე სწავლებასა და პოპულარიზაციას.

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის“ 2025 წლის 1 ოქტომბრიდან 2026 წლის 1 ოქტომბრამდე ბიუჯეტის ასიგნება შეადგენს 1 197 036 (ერთი მილიონ ას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ოცდათექვსმეტი) ლარს. ამ პერიოდისათვის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში დასაქმებულია 69 თანამშრომელი.

მიღებული ასიგნება გაიხარჯა გეგმაზომიერად, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით. სასახლის საკუთარი სახსრების ფაქტობრივი შემოსავალი (სწავლის საფასური, დარბაზის იჯარა, სხვა შემოსავლები) შეადგენს 92 003

(ოთხმოცდათორმეტი ათას სამ) ლარს. აღნიშნული შემოსავლებიც დაიხარჯა დაგეგმილი საბიუჯეტო მუხლების მიხედვით, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების შესაბამისად. სულ გაფორმდა **49 ხელშეკრულება**, რომლებიც შესყიდვის ფორმების მიხედვით ასე გადანაწილდა: **გამარტივებული შესყიდვა:** 43 ხელშეკრულება; **კონსოლიდირებული ტენდერი:** 4 ხელშეკრულება; **ელექტრონული ტენდერი:** 1 ხელშეკრულება; **გამარტივებული შესყიდვა (ექსკლუზივი):** 1 ხელშეკრულება.

ინფორმაცია საშემსრულებლო და შემეცნებითი ჯგუფების მუშაობის შესახებ:

- **ინტელექტკლუბი:**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ინტელექტკლუბების ერთობლივი საგანმანათლებლო კონფერენციის „ნორჩი მკვლევარი 2025“
- ინტელექტკლუბმა ინტელექტუალური თამაში ‘’რა? სად? როდის?’’ 9-ჯერ ჩაატარა.
- ასტრიდ ლინდგრენი დაბადებიდან 118 წელს მიეძღვნა ლიტერატურული საღამო სახელწოდებით: „იყო ერთი ლინდგრენი“.
- ინტელექტკლუბმა ,,რა? სად? როდის? ტურნირი ,,მოაზროვნე’’ 4-ჯერ ჩაატარა.
- ინტელექტკლუბმა ,,რა? სად? როდის?’’ ვიქტორინა-კონკურსი ,,მე ზუგდიდელი ვარ“ ჩაატარა.
- ინტელექტკლუბმა ,,რა? სად? როდის?’’ ინტელექტუალური თამაში ,,ყველაზე ჭკვიანი’’ 2-ჯერ ჩაატარა.
- ინტელექტკლუბმა ვიქტორინა- კონკურსი „ჩვენ ვკითხულობთ“ 3-ჯერ ჩაატარა.
- ინტელექტკლუბმა ,,რა? სად? როდის?“ სასახლის აღსაზრდელების მშობლების მონაწილეობით ინტელექტუალური თამაში ‘’მოაზროვნე’’ ჩაატარა.
- ინტელექტკლუბმა ,,რა? სად? როდის?’’ დავითობასთან დაკავშირებით ვიქტორინა- კონკურსი ,,დავით აღმაშენებელი -მესიის მახვილი” ჩაატარა.

- **ჟურნალისტთა კლუბმა ‘’სარკმელი’’:**

- ნორჩ ჟურნალისტთა კლუბის წევრებმა ტერენტი გრანელის დაბადების დღესთან დაკავშირებით ლიტერატურული შეხვედრა გამართეს.
- ნორჩ ჟურნალისტთა კლუბმა ‘’სარკმელი’’ ფილმის ‘’რა გვაიძულებს დაწკაპუნებას’’ (რეჟისორი: მარტეინ კიოტი, ნიდერლანდების სამეფო, 2016 წელი) ჩვენება გამართა.
- ნორჩ ჟურნალისტთა კლუბმა „სარკმელი“ ანა კალანდაძის ხსოვნას საგაკვეთილო შეხვედრა მიუძღვნა.

- ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო ცენტრში სასახლის ნორჩ ჟურნალისტთა კლუბის „სარკმელი“ პროექტი მედიაფესტივალი ,,სარკმელი 2026“ ჩატარდა.

- **სამეკლისო-სპორტული ცეკვების სტუდია ,,ეზი“:**

- წალენჯიხაში ჩატარდა სამეკლისო სპორტული ცეკვების ფესტივალი ,,წალენჯიხის თასი 2025“ სადაც მონაწილეობდა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სამეკლისო სპორტული ცეკვების სტუდია ,,ეზი”. მოცეკვავეებმა ჟიურის მოწონება დაიმსახურეს და I, II , III- ადგილები მოიპოვეს

- საქართველოს ცეკვისა და სპორტული ცეკვის პროფესიონალთა ეროვნული საბჭოს ორგანიზებით, თბილისში , სარეიტინგო ტურნირი " შემოდგომის თბილისი" ჩატარდა, სადაც ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდია "ეზის" მოცეკვავეები მონაწილეობდნენ.
- თანამედროვე ცეკვების ანსამბლი „DANCE DYNASTY“ ქ. ბათუმში გამართულ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში „PRIMAVERA IN WONDERLAND“ მონაწილეობდა.გამარჯვებული თასებით, მედლებით, დიპლომებითა და სიმბოლური საჩუქრებით დააჯილდოვეს.
- თანამედროვე ცეკვების ანსამბლი „Dance Dynasty“ ქ. ბათუმში გამართულ X საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე „WONDERLAND 2026“ მონაწილეობდა და პირველი ადგილი მოიპოვა.

- სასახლის სტუდია „რიბირაბოს“ ანსამბლი „გინცი“ ჩეხეთში, ქ.კარლოვი ვარში საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე იმყოფებოდა. ანსამბლი „გინცი“ ფესტივალ „სულიკო 2025“-ზე საქართველოს სახელით წარსდგა. კონკურსზე ქართული კულტურა და მემკვიდრეობა მაღალი პასუხისმგებლობით თავიანთი შესრულებული მუსიკალური ნომრებით წარმოაჩინეს. ანსამბლმა „გინცი“ უმაღლესი ჯილდო გრანპრი მოიპოვა.
- ქართული ცეკვის ანსამბლი ‘’მტრედები“ გასტროლებზე იმყოფებოდა ბაკურიანში შემოქმედებით ფესტივალზე, სახელწოდებით „ ფანტელი“. ფესტივალზე ქორეოგრაფი და მონაწილეები ეროვნულ-კულტურული ტრადიციების დამკვიდრებისა და ზნეობრივ-ესთეტიკური ინტერესების განვითარებისთვის სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

- პროექტის „ახალგაზრდული ხმა“ ფარგლებში საინტერესო შეხვედრა გაიმართა. ახალგაზრდები ამჯერად ფოტოგრაფ საბა ჯანჯღავას შეხვდნენ, რომელმაც მოზარდებს მასტერკლასი ჩაუტარა თემაზე: „ვიზუალური თხრობის ხელოვნება, ფოტოგრაფია და კინო“.

- პროექტების მართვისა და სტრატეგიული განვითარების განყოფილებამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების თვითმმართველობის თავმჯდომარეებს, მოადგილეებსა და წევრებს უმასპინძლა.

ა(ა)იპ „სამეგრელოს დაწინაურების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ (DMO)

პროგრამის კოდი: 02 08

პროგრამის დასახელება: სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზაციისაკენ მიმართული აქტივობების კოორდინაცია

1. პროგრამის აღწერა და ძირითადი ამოცანები

1.1. პროგრამის აღწერა

პროგრამის მიზანია მდგრადი ტურიზმის პრინციპების დაცვით სამეგრელოს რეგიონისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება, ტურისტული ნაკადების მოზიდვა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა. აღნიშნული ინიციატივა ეფუძნება საქართველოს ტურიზმის ეროვნულ სტრატეგიას

და ორიენტირებულია რეგიონის პოზიციონირებაზე როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

1.2. ძირითადი ამოცანები და საქმიანობის მიმართულებები

ახალი ტურისტული პროდუქტებისა და თემატური მარშრუტების შემუშავება: ინტერმუნიციპალური პროექტებისა და თემატური ტურების დაგეგმვა, რაც ხელს შეუწყობს ვიზიტორთა დაყოვნების ხანგრძლივობისა და დანახარჯების ზრდას.

სექტორთაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია: საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის მჭიდრო პარტნიორობის უზრუნველყოფა ერთობლივი მარკეტინგული აქტივობების განსახორციელებლად.

მარკეტინგული და საინფორმაციო კამპანიების უზრუნველყოფა: ზუგდიდის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ეფექტიანი ფუნქციონირება, ინფო-ტურების ორგანიზება, საინფორმაციო/სარეკლამო მასალების მომზადება და სოციალურ ქსელებში აქტიური პოპულარიზაცია.

ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა და კვალიფიკაციის ამაღლება: ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა სისტემატური გადამზადება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფს სამეგრელოს, როგორც კონკურენტუნარიანი და მიმზიდველი ტურისტული მიმართულების დამკვიდრებასა და სექტორში მომსახურების სტანდარტების ამაღლებას.

2. ნარატიული ანგარიში

2.1. ბიუჯეტის მიმოხილვა და საინფორმაციო ცენტრის საქმიანობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით (პროგრამული კოდი 02 08) სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზაციისთვის გამოყოფილი იყო:

2025 წელს: 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი;

2026 წელს: 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

აღნიშნული რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი მიემართა ზუგდიდის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ფუნქციონირებაზე. ცენტრი წარმოადგენს ა(ა)იპ „სამეგრელოს DMO“-ს სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ვიზიტორთა სრულყოფილ ინფორმირებას პირისპირ, ტელეფონითა და ელექტრონული ფოსტით.

ვიზიტორები იღებენ ამომწურავ ინფორმაციას:

განთავსებისა და კვების ობიექტების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განრიგის, მუზეუმების, მარნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ;

დაცული ტერიტორიების, ეროვნული პარკებისა და კურორტების შესახებ;

ინდივიდუალური ტურისტული მარშრუტების დაგეგმვისა და მიმდინარე კულტურულ-სპორტული ღონისძიებების თაობაზე.

ცენტრში უფასოდ ვრცელდება საპრომოციო-ბეჭდვითი მასალები (რუკები, ბროშურები, გზამკვლევები). გარდა ამისა, ცენტრი ახორციელებს ვიზიტორთა უკუკავშირის ანალიზს და გამოვლენილ პრობლემურ საკითხებს უზიარებს ადგილობრივ ხელისუფლებასა და საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას.

2.2. საპრომოციო მასალები და ვიზიტორთა სტატისტიკა

საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და DMO-სთან თანამშრომლობით მომზადდა და დაიბეჭდა ინგლისურენოვანი საპრომოციო მასალები:

ფოთის, ზუგდიდის, მარტვილის, ტობავარჩხილისა და ზუგდიდიდან 50 კმ-ის რადიუსში არსებული კულტურულ-ისტორიული ძეგლების ფლაერები და შესაბამისი რუკები;

სამეგრელოს რეგიონის ერთიანი საინფორმაციო ბუკლეტი.

ვიზიტორთა სტატისტიკური დინამიკა:

2024 წელი: საბაზისო მაჩვენებელი;

2025 წელი: 1 200 ვიზიტორი;

2026 წელი: 1 500-ზე მეტი ვიზიტორი.

ვიზიტორთა ძირითადი ნაკადი დაფიქსირდა ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან (ესპანეთი, შვეიცარია, პოლონეთი, გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, იტალია). ასევე შეიმჩნევა ზრდის ტენდენცია აზიის ქვეყნებიდან, ისრაელიდან და ახალი ზელანდიიდან.

ინფორმაციის ციფრული გავრცელება ხორციელდება სოციალური მედიის ოფიციალური გვერდების – „VISIT SAMEGRELO“ და „VISIT ZUGDIDI“ მეშვეობით.

2.3. საერთაშორისო გამოფენები და პარტნიორობა

საერთაშორისო ტურისტული გამოფენები (2025 წელი): DMO-მ მონაწილეობა მიიღო თურქეთსა და საფრანგეთში გამართულ გამოფენებში (200-ზე მეტი ქვეყნის ჩართულობით), სადაც ჩატარდა B2B შეხვედრები საერთაშორისო ტუროპერატორებთან და მედიასაშუალებებთან.

გამოფენა „EBIT 2026“ (ბათუმი): 2026 წლის 30 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-17 საერთაშორისო გამოფენაში.

2.4. დონორულ ორგანიზაციებთან წარდგენილი პროექტები

სსიპ ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი: საპროექტო განაცხადი აუდიოგიდებით აღჭურვის შესახებ წარედგინა ადგილობრივ განვითარების ჯგუფს (LAG).

სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“: ასოციაცია „ილი“-სთან თანამშრომლობით (კო-აპლიკანტი) მომზადდა პროექტი „ინოვაცია და ტურიზმი: ახალგაზრდების ჩართულობა და რეგიონული განვითარების მხარდაჭერა“ (ითვალისწინებს ტრენინგებსა და სამეგრელოს გასტრონომიული რუკის მომზადებას).

ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტი „Iter Vitis“: წარდგენილია განაცხადი ენდემური მეღვინეობის განვითარებისა და საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მიზნით. საპილოტე დაწესებულებად შეირჩა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშჯარის №2 საჯარო სკოლა.

CENN-ის საგრანტო პროგრამა: DMO გახდა პროგრამის წევრი რეკრეაციული და ეკოტურიზმის პროექტების ერთობლივი განხორციელების მიზნით.

ეკოტურისტული ციფრული რუკა (CENN-ის საგრანტო კონკურსი): პროექტი ითვალისწინებს ზუგდიდსა და ჩხოროწყუში 40-მდე ეკოტურისტული ობიექტის იდენტიფიცირებას, 10-15 საფეხმავლო მარშრუტის ჩაწერას (Wikiloc), Google My Maps-ისა და Google Business Profile-ის ბაზების შექმნას.

2.5. განხორციელებული პროექტები და ინიციატივები

36-საათიანი იდეათონი „შექმენი კოლხეთის ბრენდი“: ჩატარდა Helvetas-ის (LEDP პროექტი, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებით), Commschool-ის, GITA-სა და DMO-ს პარტნიორობით. იდეათონში მონაწილეობდა 13 გუნდი (50-მდე მონაწილე), რომლებმაც შეიმუშავეს კოლხეთის ეროვნული პარკისა და მიმდებარე 6 მუნიციპალიტეტის ბრენდინგისა და პოზიციონირების კონცეფციები.

პირველადი დახმარების ტრენინგი: საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, 22-23 მარტს ზუგდიდში ჩატარდა თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგი სექტორში დასაქმებული გიდებისა და განთავსების/კვების ობიექტების წარმომადგენლებისთვის.

გასტრონომიული კულტურის პოპულარიზაცია: მომზადდა 9 თემატური მინი-ფილმი (სამეგრელოს 8 მუნიციპალიტეტისა და ერთიანი ავთენტური სამზარეულოს შესახებ) და 80 ფოტოკოლაჟი.

თანამშრომლობა ინფლუენსერებთან: DMO-მ უმასპინძლა ქართველ ბლოგერს – IFIF ANA-ს, რეგიონის ისტორიისა და ტურისტული ლოკაციების პოპულარიზაციის მიზნით.

აკადემიური სექტორთაშორისი თანამშრომლობა: გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან, რაც ითვალისწინებს ტურიზმის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა სტაჟირებასა და პრაქტიკულ სწავლებას.

ინფოტური „ენგურატრაქციაზე“: შიდა ტურიზმის სტიმულირების მიზნით, რეგიონის 8 მუნიციპალიტეტიდან შერჩეული ახალგაზრდებისთვის მოეწყო ტური ენგურჰესის ტურისტულ ინფრასტრუქტურასა და ახალ ზიპლაინზე.

სასტუმრო სექტორის პროფესიული გადამზადება: ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტრენინგ-კურსი სამეგრელოს რეგიონში მოქმედი სასტუმროებისა და საოჯახო სასტუმროების მენეჯერებისთვის (ოპერაციული მართვა, ფინანსური კონტროლი, გაყიდვები, სტუმრის გამოცდილება).

„ღვინის გზის“ მარშრუტი: DMO-ს რეკომენდაციით მარშრუტში ჩაერთო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში მოქმედი კომპანია „კოლხური ღვინო“.

3. ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 02 08 პროგრამული კოდიდან გამოყოფილი 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი გაიხარჯა შემდეგი მიზნობრიობით:

1. საიმიჯო-საპრომოციო ვიდეორგოლის „ჰამო სამეგრელოს“ მომსახურების შესყიდვა 2025 წლის ბიუჯეტი - 2 512.50 ლარი.
2. საიმიჯო-საპრომოციო ვიდეორგოლის „ჰამო სამეგრელოს“ მომსახურების შესყიდვა 2026 წლის ბიუჯეტი - 5 000.00 ლარი.
3. ანაკლია-განმუხურის საზღვაო სეზონის ოფიციალურ გახსნასთან დაკავშირებული ფეიერვერკების შესყიდვა თანადაფინანსება - 5 000.00 ლარი.
4. ზუგდიდის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ოპერატორის სახელფასო ფონდი შრომის ანაზღაურება - 13 500.00 ლარი

სულ გახარჯული ასიგნებები - 23 500.00 ლარი

შენიშვნა: 2026 წლის 02 08 პროგრამული კოდით გამოყოფილი 30 000 ლარიდან ამ ეტაპზე სულ გახარჯულია 23 500 (ოცდასამი ათას ხუთასი) ლარი.

შიდა აუდიტის სამსახური

წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის სტრუქტურული ერთეულების - შიდა აუდიტის განყოფილებისა და მონიტორინგის განყოფილების - მიერ 2025 წლის 01 ნოემბრიდან 2026 წლის 05 ოქტომბრამდე გაწეული საქმიანობის შედეგებს, რომლებიც ეფუძნება სამსახურის 2024-2026 წლების სტრატეგიულ და 2025-2026 წლების წლიურ გეგმებს. საანგარიშგებო პერიოდში მუშაობა მიმართული იყო მუნიციპალური სახსრების, პროგრამებისა და მერიის სტრუქტურული ერთეულების

ეფექტიანობის, კანონშესაბამისობის, შიდა კონტროლის მექანიზმებისა და დისციპლინური ნორმების დაცვის უზრუნველყოფისკენ.

საანგარიშგებო პერიოდში შიდა აუდიტის განყოფილებამ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- **დასრულებული შიდა აუდიტორული შემოწმებები:**
  - ა(ა)იპ ზუგდიდდასუფთავების ცენტრის შესაბამისობის აუდიტი. შეუსაბამობებისა და ხარვეზების აღმოფხვრისა და პროცესის გაუმჯობესების მიზნით გაიცა 10 რეკომენდაცია.
  - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზაციული კულტურის ეფექტიანობის აუდიტი. მერიის ორგანიზაციული კულტურის, მართვისა და შიდა კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესების, გამოვლენილი ხარვეზებისა და შესაბამისი რისკების აღმოფხვრის მიზნით გაიცა 24 რეკომენდაცია.
  - ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის შესაბამისობის აუდიტი. შეუსაბამობებისა და ხარვეზების აღმოფხვრისა და პროცესის გაუმჯობესების მიზნით გაიცა 11 რეკომენდაცია.

- **გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი:** განხორციელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023-2024 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული კულტურული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამის (პროგრამის კოდი: 05 02 04) ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. შედგა შესაბამისი მონიტორინგის ანგარიში.

- **მიმდინარე შიდა აუდიტორული შემოწმებები:** გეგმის შესაბამისად, ამჟამად მიმდინარეობს შპს ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტის შესაბამისობის აუდიტი.

- **საჯონსულტაციო მომსახურება:** კონსულტაცია გაეწია მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ 4 იურიდიულ პირს:

  > - ა(ა)იპ მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი;
  > - ა(ა)იპ კეთილმოწყობის მართვის ცენტრი;
  > - ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი;
  > - ა(ა)იპ მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლე.

გაწეული მომსახურების საფუძველზე მომზადდა 3 კონსულტაციის ანგარიში და ჩატარდა 1 თემატური პრეზენტაცია.

საანგარიშგებო პერიოდში მონიტორინგის განყოფილების მიერ გატარდა კომპლექსური ღონისძიებები სამსახურებრივი გადაცდომების გამოვლენის,

სამართლებრივი რეაგირებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების კონტროლის მიმართულებით:

- **ჩატარებული შემოწმებები და დოკუმენტირება:** საანგარიშგებო პერიოდში ჯამში ჩატარდა 66 ინსპექტირება და 30 მონიტორინგი. მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს და არ არის დასრულებული 2 მონიტორინგი. ჩატარებული ღონისძიებების საფუძველზე შედგენილ იქნა ინსპექტირების 13 ოქმი და 24 დასკვნა, ასევე მონიტორინგის 8 ოქმი და 11 დასკვნა.

- **დისციპლინური პასუხისმგებლობა კერძო სამართლის იურიდიულ პირებში:** შედგენილი ინსპექტირების და მონიტორინგის დასკვნების საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების 103 მოსამსახურის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომა, ხოლო 4 მოსამსახურეს მიეცა სიტყვიერი გაფრთხილება.

- **დისციპლინური წარმოება მერიის საჯარო მოსამსახურეებზე:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებით ჩატარდა 2 დისციპლინური წარმოება, რის საფუძველზეც მომზადდა დისციპლინური წარმოების დასრულების 2 დასკვნა. აღნიშნული დასკვნების საფუძველზე მერიის 2 საჯარო მოსამსახურეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა. მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს და არ არის დასრულებული 1 დისციპლინური წარმოება.

- **ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საგარანტიო ვადებში ხარვეზების გამოვლენის მიზნით დათვალიერდა 85 ინფრასტრუქტურული პროექტი. მათ შორის, 30 ობიექტზე დაფიქსირებულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიმართ გაიცა 30 მითითება.

- **გაცემული სავალდებულო მითითებები:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიმართ სხვადასხვა პროცედურულ საკითხზე გაიცა 7 მითითება.

- **თანამდებობრივი შეუთავსებლობის კონტროლი:** შესაბამისი ინსტრუქციის საფუძველზე ჩატარებული პროცედურების შედეგად გამოვლენილ იქნა მერიის 2 საჯარო მოსამსახურის შესაძლო თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტი.

აღნიშნული საქმის ამსახველი მასალები შემდგომი რეაგირებისთვის ოფიციალურად წარედგინა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს.

განყოფილება	საქმიანობის/აქტივობის დასახელება	რაოდენობა
შიდა აუდიტის განყოფილება	ჩატარებული ა(ა)იპ ზუგდიდდასუფთავების ცენტრის შესაბამისობის აუდიტი	1
	შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები	10
	ჩატარებული ორგანიზაციული კულტურის ეფექტიანობის აუდიტი	1
	ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები	24
	ჩატარებული ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის შესაბამისობის აუდიტი	1
	შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები	11
	კულტურული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამის (პროგრამის კოდი: 05 02 04) მონიტორინგი (მომზადებული ანგარიში)	1
	მომზადებული კონსულტაციის ანგარიშები ა(ა)იპ-ებისთვის	3
	ჩატარებული თემატური პრეზენტაციები	1
მონიტორინგის განყოფილება	ჩატარებული ინსპექტირების საერთო აოდენობა	66
	შედგენილი ინსპექტირების ოქმები / დასკვნები	13 ოქმი / 24 დასკვნა
	ჩატარებული მონიტორინგის საერთო	30
	შედგენილი მონიტორინგის ოქმები / დასკვნები	8 ოქმი / 11 დასკვნა
	დისციპლინური პასუხისმგებლობა (ა(ა)იპ-ების თანამშრომლები)	103 მოსამსახურე (+4 სიტყვიერი)

	ჩატარებული დისციპლინური წარმოება მერიის საჯარო მოსამსახურეებზე	**2 წარმოება (2დასჯვნა)**
	დისციპლინური პასუხისმგებლობა (მერიის საჯარო მოსამსახურეები)	**2 მოსამსახურე**
	საგარანტიო ვადებში შემოწმებული ინფრასტრუქტურული პროექტები	**85 ობიექტი**
	ზედამხედველობის სამსახურისთვის გაცემული მითითებები (ხარვეზებზე)	**30 მითითება**
	გამოვლენილი სავარაუდო თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტი	**2 ფაქტი**